



2017/11

ყოველთვიური ლიფერაცენტრი -  
სამსახურის ქურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

---

ქურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
თანამდებობის მსარბაჭირობით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



## სარჩევი

მანანა ყიფიანი ჭრილობა, რომელსაც შენი <sup>1</sup> სახელი ჰქვია	3	თემურ გაბუნია დუელი	59
პროზა ირაკლი ლომოური მოთხოვები	5	ნესტან ფიფია წიგნი ტრაგედიასა და იმედზე	67
პოეზია (დებიუტი) გიორგი გულაუ ლექსები	23	ერთველი მთალი ოსური ენაზე გიორგი სოსიაშვილი მესაფლავენი მოთხოვბა	70
დავით ახლოური ლექსები	27	ოსურად თარგმნა რაზიათ ქუმარიტოვმა	
პროზა ნუნუ ქადაგიძე მოთხოვები	32	ახალი თარგმანები ალაპევერდი ტაქლალი ლექსები თარგმნა ბალათერ არაბულმა	91
გივი ქობულაშვილი ანტიკური ხანის ფილოსოფოსები მოთხოვბა	46	ბერტოლდ ბრეხტი ნოველები თარგმნა ხათუნა თოდუამ	95
ერითია. ესეისტია ლევან ბებურიშვილი ახალგაზრდობა და ეროვნული ცნობიერება	51		

---

## მანანა ყიფიანი

### ჭრილობა, რომელსაც შენი სახელი ჰქვია!

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა და მაინც არ გვასვენებს კითხვა: ასეთი რა მოუშუშებელი ჭრილობა აქვს ქართველ ადამიანს ილიას მკვლელობის გამო? ეს მტანჯველი განცდა მხოლოდ ცოდვის-გან შეიძლება ჩნდებოდეს, ცოდვისგან, რომელსაც რიგიანად ვერ ინანიებ.

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ხალხი დაგიწყებს გმობასაო“, – ერთხელ ილიაობაზე საგურამოელ გლეხებს უმღლერიათ ეს სიმღერა და ილიასაც ხმა აუყოლებია. გლეხებს უთქვამთ, ილია ხელს ნუ გვიშლი, გაჩუმდიო. – ვერ გავჩუმდები, ძალიან მიყვარს, უნდა ვიმღეროო, – ილია, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გავჩუმდებითო. – თქვენს გაჩუმებას ისევ ჩემი გაჩუმება სჯობსო, – უთქვამს დანანებით.

როგორ ჰყვარებია ეს სიმღერა ილიას... სხვა სიტყვები კი არ უთხრა სასიკვდილო ეტლში წამომართულმა მომხდურებს, საუკუნო ყიყვებსა და ეშ-მაკებს: ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავთ, ხალხი დაგიწყებთ გმობასა, რას ჩადიხართ, ილია ვარო!..

როგორი დაშორებული თაობა ვართ

იმ ავტედითი დღიდან და რა მტანჯველად გვაწევს ილიას მკვლელობა სულსა და გულზე. ალბათ, იმიტომ, რომ დღესაც ვცოდავთ მის წინაშე, დღე-



საც სასიკვდილოდ ვიმეტებთ, როდესაც მისი გზიდან ვუხვევთ, როდესაც ვერ ვეწევით სამშობლოს სიყვარულის

ულელს ისე, როგორც უნდა ვეწეოდეთ! საკუთარი უძლურება გვტანჯავს, უსიყვარულობა, უმზრუნველობა;

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვებაო“, – ჯერ სიყვარული უნდა სცნო და მერე თავისით გაგიკრთება ძილი და შვება, რადგან ვინც გიყვარს, იმის უბედურებას ვერ შეეგუები, მამა-პატრონის საზრუნავს სამუდამოდ აიკიდებ და ასე გაუდგები გზას, არც შენ მოისვენებ და არც სხვას მოასვენებ.

... და რამდენადაც ძილი და შვება ჩვენ ჯერ არ გაგვკრთომია, ამდენად, სიყვარულიც არ გვაქვს და მზრუნველობასაც არაფერი გვავალებს.

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული...“ – ილიას ამ ამონაკვნესას, სამშობლოს სიყვარულის ამ ორსიტყვა ქარტიას, ერთი გვიანი პოეტის თითქოს-და აღტაცებით ნათქვამი, მაგრამ სინამდვილეში საკუთარი უძლურების გამმჟღავნებელი ამონაკვნესი ვამჯობინეთ მგონი: – „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი!“ – რატომ არ უნდა გქონდეს სულაც სამშობლო, იმიტომ რომ ლამაზია?! იმიტომ რომ ლამაზსა და მშვენიერს საგანგებო მოვლა-პატრონობა სჭირდება, რისი ძალებიც ჩვენ არ გვაქვს?! აქედან ხომ სულ ერთი ნაბი-


ჯია თეიმურაზ ხევისთავამდე?! როგორ ჰგავს ეს ამოძახილი აბესალომის ამოძახილს: ვის გინდათ ქალი ეთერი, მე სანადიროდ მივალო...

რა უფრო მოუხდებოდა და ეკადრებოდა დღეს ილიას ხსოვნას – ურაპატრიოტიზმი თუ თვალგასწორებული სიმართლე?!

ვუთხრათ ჩვენს წინაპარს სიმართლე:

– ჩვენ ვერ ვისწავლეთ შენეული სიყვარული სამშობლოსი, ჩვენ ვერ გვიყვარს ჩვენი სამშობლო ისე, როგორც შენ გიყვარდა, ჩვენ ვერ გვიკრთება ძილი და შვება ისე, როგორც შენ გიკრთებოდა, ჩვენ ვერ ვიცით სულგანაბული ყურისგდება სამშობლოს გულისცემისა და ამიტომაც ლამე თენდება ეგრეთ ჩვენი უგვანოდ და დღე ლამდება. რამდენმა თაობამ ჩაიარა შენ წინ და აპა, ჩამოდგა ჩვენი თაობაც და აქაც ჭირს კაცი, რომ ფიქრი ანდო, გრძნობა შენი გაუზიარო... ერთადერთი, რაც შეიძლება მოვახერხოთ, არის ის, რომ საკუთარ თავს თვალი გავუსწოროთ და გამუდმებით ვეხებოდეთ იმ ჭრილობას, რომელსაც შენი სახელი ჰქვია ანუ – „ოჳ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება“. ერთი კია, რომ ძილში ვკვნესით და ეგება საკუთარმავე კვნესის ხმამ გაგვაღვიძოს როსლაც!..

## ირაკლი ლომოური



### შერსულში ილიას გადასარჩენად ციკლიდან „ქრონოსკოპისტის ჩანაწერები“ (ფანტასტიკური მოთხოვა)

ჰერკულეს ლაიონელი უკვე გაგაცანით<sup>1</sup> – ერთი ახირებული ბერიკაცია, თუმცა სიტყვა „ახირებული“ იმის ნახევარსაც კი ვერ გამოხატავს, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს... გუშინ ჩემს ოფისში მოპრძანდა, კვლავაც გაუფრთხილებლად. არქაული შავი ხავერდის შარვალ-კოსტიუმი და თეთრი ქათქათა პერანგი ეცვა, ყელზე შავი რაღაც ეკეთა, პეპლის ფორმა ჰქონდა – ერთი სიტყვით, საფრთხობელას თუ სამუზეუმო ექსპონატს ჩამოჰვავდა... ხელში ძველებული ჩანთა ეჭირა, ნამდვილი ანტიკვარიატია, – მისალმების ნაცვლად მითხრა. – ასეთებს XX საუკუნეში „კონსულებს“ ეძახდნენო... არა, უკაცრავად, „დიპლომატებსო“!

ეს ყველაფერი მართლა სიტყვებით მითხრა, აზრით კი არ გადმომცა. თავზე ვერცხლისფერი ფერომაგნიტური

სალტე-ბლოკატორი ეკეთა – ანუ ტელეპეტიურად ვერ გავესაუბრებოდი... ჯანდაბა!

ჰერკულესი ჩემი მაგიდის წინ მდგარ ფართო, ღრმა, კლონირებული დინოზავრის ტყავის გრავისავარძელში ჩაეშვა, ღილაკს თითო დააჭირა – სავარძელი ჰაერში 50-იოდე სანტიმეტრზე აიწია და ნარნარად აქანავდა... ანუ სავარძელ-სარწეველად იქცა. „ამ რწევა-რწევაში ჩვენს დევგმირ ჰერკულესს პატარა ბავშვივით არ ჩაეძინოს“, – გავიფიქრე მოურიდებლად. მოხუცი ჩემს აზრებს მაინც ვერ გაიგებდა. ტელეპატიის პრინციპული წინააღმდეგია, ჰოდა, ახია მასზე. რასაც მინდა, იმას ვიფიქრებ!

თვალი თვალში გამიყარა – როგორ მოახერხა ამ რწევა-რწევაში, არც კი ვიცი, – და საზეიმოდ გამომიცხდა:

– ყმაწვილო, თქვენ გერგოთ ბედნიერება, ისტორიაში შეხვიდეთ... და იქვე დარჩეთ! სამუდამოდ!

– გმადლობთ, სერ, – გულთბილად გაულიმე, – მირჩევნია, უბრალო ქრინოპილოტად დავრჩე იქ, სადაც ვარ – ყოველდღიურობაში...

<sup>1</sup>მოთხოვაში „ორუელის სპილო“. გამოქვეყნდა ჟურნალში „ახალი საუნჯე“ №10, 2015.

– ჯერ ისმინდეთ! – სიტყვის დამთავრება არ მაცალა. – თქვენ გაემგზავრებით წარსულში და გადაარჩენთ ილია ჭავჭავაძეს!

– ვის?

– ყმაწვილო! – მოხუცმა აღშფოთებისგან რწევაც კი შეწყვიტა, სავარძელი იატაკზე მოწყვეტით დაუშვა, მარცხენა ფეხი ბრაზით დაბაკუნა. – ახლა არ მითხრათ, რომ ილია ჭავჭავაძე არ გაგიგიათ!

– არა.

მეგონა აღშფოთდებოდა, მაგრამ მოულოდნელად თავი ჩაქინდრა და მწარედ ამოიხსრა. მერე კი უცნაურად გამომხედა, თითქოსდა სინანულითა თუ სიბრალულით...

– არადა, თქვენ კავკასიის ჯორჯიოდანა ხართ წარმოშობით... თქვენი წინაპრები ქართველები იყვნენ... ილია ჭავჭავაძე კი არც გაგიგიათ!.. ილიამ შექმნა ქართველი ერი!

– შექმნა? როგორ? – ვერ გავიგე, – რა, გენური ინჟინერი იყო?

– სულიერად შექმნა, ყნაწვილო! მენტალურად! – ხელები გაასავსავა მოხუცმა, – ამდენს კი უნდა ხვდებოდეთ, ჩემო კეთილო!

– და რატომ უნდა გადავარჩინო?.. უფრო სწორად, ვისგან? და როგორ?

– ოო, აი, ეს მომწონს, – უეცრად დამიტკბა ჰერკულესი, კიდეც გამიღიმა ცალყბად, – მომწონს თქვენი ცნობისწადილი, ყმაწვილო!.. ვისგან და, მკვლელებისგან, ცხადია!

– ვინ მოკლა?

– ქართველებმა მოკლეს!

– როგორ? აკი ქართველი ერი შექმნაო?.. რა გამოდის, ქართველმა თავისივე შემოქმედი მოკლა?

– მოკლეს გარენარმა, ჭკუანალრძობმა ქართველებმა! რევოლუციონერებმა!.. ყმაწვილო, გსმენიათ რევოლუციონერებზე?

– მსმენია, – თავი დავუქნიე. გამახსენდა, შარშან როგორ გადავაფრინე

1792 წელში ერთი მეცნიერ-ისტორიკოსი, თავისი თვალით უნდოდა ენახა, როგორ სჯიდნენ რევოლუციონერები ერთმანეთს ჰილიოტინაზე... ჰილიოტინის შესახებ ფსიქოგრაფიკულ ნაშრომსა ქმნიდა.

– ერთი სიტყვით, ყმაწვილო, თქვენ გაემგზავრებით 1907 წლის 30 აგვისტოს, ილიაზე თავდასხმის დღეს, წინამურთან, საგურამოს გზაზე... მკვლელებს ტყეში ჩაუსაფრდებით და როდესაც ილიას მოკვლას დააპირებენ, გაანეიტრალებთ!

ნერწყვი გადავყლაპე. უცებ წარმოვიდგინე წვერებიანი ახმახები ხელში ბლასტერებით. თუმცა მაშინ ბლასტერები, ალბათ, ჯერ კიდევ არ არსებოდა. მოკლედ, იარაღით ხელში... წამიერი პაუზის მერე ვიკითხე:

– და როგორ უნდა გავანეიტრალო? დავხოცო?

– ო, არა, არა! – ჰერკულესმა ხელი ღიმილით აიქნია. – ჩვენ ხომ ცივილიზებული ადამიანები ვართ! თქვენ მათზე ჩემი ჰიპნატორით იმოქმედებთ, გათიშვათ, ილიას გადაარჩენთ (ილია ვერც გაიგებს, რომ მასზე თავდასხმას აპირებდა ვიღაც, ისე გაივლის იმ ადგილს ეტლით)... თანაც რევოლუციონერებს ტერორს შეაჯავრებთ, რევოლუციონერობის ბაცილას ჩაუკლავთ!

– სერ ჰერკულეს! – უცებ გონზე მოვედი, მივხვდი, ამ უაზრო ლაპარაკში დროს ტყუილად ვკარგავ. – თქვენ ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ, წარსულში ვერაფერს შევცვლი, წარსულში მხოლოდ ვირტუალურად შემიძლია ფრენა, ქრონოპლანით, ანუ ქრონოსკოპით, და მისი დანახვა – ასე ვთქვათ, გვერდიდან – მეტი არაფერი... და რომც შემეძლოს რაიმეს შეცვლა, განა არ იცით, ეს სასტიკად აკრძალულია!..

– აკრძალული, აკრძალული! – ბერიკაცმა თითქოს გამომაჯავრა. – ჩვენ, ქრონონატურტილოსოფოსები, ასეთ ბრიყვულ აკრძალვებს არ ვცნობთ!..

აკრძალვა იმისთვისაა გამოგონილი, ფილოსოფოსმა რომ დაარღვიოს!

— სერ ჰერკულეს, რატომ ვკამა-თობთ? რატომ ვკარგავთ დროს? — რაც შემეძლო მოთმინებით, მიმტევებლუ-რად ვუთხარი და თავაზიანად გავუღი-მე. — წარსულს ვერ შევცვლი, რადგან ამის ფიზიკური საშუალება, უბრალოდ, არ არსებობს!

— არ არსებობდა! დღემდე! — შემის-ნორა ჰერკულესმა და ამაყად განაგ-რძო: — მაგრამ უკვე არსებობს!

შავი „დიპლომატი“ გახსნა და იქი-დან რაღაც ამოილო, ხელში შეათამაშა. დავაკვირდი, გარეგნულად ჩვეულებ-რივ „ფენს“, ანუ თმის საშრობსა ჰეგავ-და. მოზრდილი, მსხვილი პისტოლეტის ფორმა ჰქონდა.

— უკაცრავად, ეს რა, ფენია?

— ფენი კი არა, ქრონ-ნო-პიპ-ნა-ტო-რია! — ჩამომარცვლა ჰერკულესმა სა-ზემოდ. და „ფენი“ ისე შემართა, გეგო-ნება, ჰაერში გასროლას აპირებსო.

— ქრონოპიპნატორი რას ნიშნავს?

— ქრონოპიპნატორი ნიშნავს ყვე-ლაფერს! — გამოაცხადა მოხუცმა, მე-რე კი ოდნავ ხმას დაუნია, საქმიანად ალაპარაკდა. — ჩვენში

დარჩეს და, ამ აგრეგა-ტის გამოგონებისთვის ნობელის პრემია მეკუთ-ვნის. ოლონდ ერთი კი არა, არამედ... მმ... სამი! იცით, რა არის ნობელის პრემია?

— ვიცი. ჯილდო იყო ეგეთი, არქაულ ეპოქაში აძლევდნენ მეცნიერული აღმოჩენებისთვის...

— არა მხოლოდ მეც-ნიერულისთვის... — ჩაი-ლაპარაკა ჰერკულესმა, მაგრამ არ ვაცალე.

— და რატომ სამი, სერ?

— პირველი პრემია მე-

კუთვნის იმაში, რომ დროში ფიზიკური გადაადგილების რეალური საშუალება შევქმნი, ანუ ნამდვილი დროს მანქანა გამოვიგონე! მეორე იმაში, რომ ადამი-ანთა ფსიქიკური განწყობის ჰიპნოზური შეცვლა-პროგრამირების იარაღი დავამ-ზადე, დისტანციურ-მომენტალურ-მენ-ტალური!..

— და მესამე?

— მესამე კი იმაში, ყმაწვილო, რომ ეს ორი ეპოქაულური გამოგონება ერთ მომცრო, პორტატულ მექანიზმად გა-ვაერთიანე! — ჰერკულესი გაიპადრა. — და ფენის, ჩვეულებრივი საყოფაცხოვ-რებო ფენის კორპუსში ჩავამონტაჟე!.. ისე, ფენიც მუშაობს, თმის გასაშრობა-დაც შეგიძლიათ გამოიყენოთ!

— აკი ვთქვი, ფენია-მეთქი... — მო-ხუცის გასაბრაზებლად ჩავილაპარაკე ვითომცდა სასხვათაშორისოდ. მის ამ „სათამაშოს“ სერიოზულად ვერ აღვიქ-ვამდი — გარეგნულად ნამდვილი ფენი იყო, ოლონდ უკაბელო და „უჩანგლო“, ანუ დენში შესაერთებლის გარეშე.

ჩემდა მოულოდნელად, არ გაბრაზე-ბულა. ჩაიცინა და განაგრძო:

— მოკლედ, ყმაწვილო, ჩემი გენია-



ლური ქრონოპიპნატორით გაიჭრებით  
წარსულში...

— უკაცრავად! — გავაწყვეტინე, —  
თქვენ თვითონ რატომ არ გაიჭრებით  
წარსულში? ეს გენიალური გამოგონე-  
ბაც თქვენია და თქვენვე გადაარჩენთ  
იმ თქვენს ილია ჭავჭანიძეს...

— ჭავჭავაძეს! — მკაცრად შემისწორა  
მოხუცმა...

— დიახ, ჭავჭავაძეს... მე რაღაში  
გჭირდებით?

— ყმანვილო! — დამიყვავა ჰერკუ-  
ლესმა, — მე ჭარმაგი, მხცოვანი, ლვან-  
ლმოსილი ნატურფილოსოფოსი გახ-  
ლავარ... ამ მისის ალსასრულებლად  
კი სხარტი, მოხერხებული, გამბედავი  
ახალგაზრდა კაცია საჭირო... აი, ზუს-  
ტად ისეთი, თქვენ რომ ხართ!

წამით დავიფიქრდი. „ქათინაურს მე-  
უბნება? უნდა „შემაბას?“ თუმცა, არ  
დავმალავ, მისი სიტყვები მესიამოვნა.  
ოლონდ ჰერკულესმა იმავე წამს ცივი  
წყალი გადამასხა. ყინულივით ცივი თუ  
არა, საკმარისად გრილი.

— თანაც ამ მისის ალმსრულებელს  
დიდი ინტელექტი არ სჭირდება... გან-  
საკუთრებული ჭკუა არ მოეთხოვება...  
რადგან ყველაფერი წინასწარ მაქვს  
გათვლილი, ზედმინევნით!.. მიკრონა-  
მებში!.. ანუ მისისთვის ზედგამოჭრი-  
ლი ხართ, ყმანვილო, ზედგამოჭრილი!

რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ხმა  
არ ამოვილე. გავიძუტე. მიკრონამით.

— მაშ, თანახმა ხართ, ყმანვილო?  
— მკითხა ხელების ფშვნეტით. — იცო-  
დეთ, ისტორიაში შეხვალთ, ისტორია-  
ში! ილია გადარჩება, დამოკიდებელ  
საქართველოს უპატრონებს, სოციალ-  
დემოკრატებისგან გადაარჩენს!

— სერ, არ გეწყინოთ, მაგრამ... პირ-  
დაპირ გეტყვით, არ მჯერა, რომ ეს  
თქვენი „ფენი“ დროის მანქანაა, — უალ-  
რესად თავაზიანად ვუთხარი, — მაგრამ,  
რომც დავიჯერო ეს თქვენი ზღაპარი  
წარსულში ფიზიკურად მოგზაურობის  
და იქ მოქმედების შესაძლებლობის შე-

სახებ, ერთ კითხვაზე უნდა გამცეთ  
პასუხი. ვთქვათ, იმ მომენტში ილიას  
გადავარჩენ. მაგრამ რევოლუციონერე-  
ბი ხომ მაინც მოკლავენ მერე? თუკი  
გადაწყვეტილი აქვთ მისი მოკვლა? იქ  
ხომ ვერ დავსახლდები?

— ოჳო! ერთობ ჭკვიანური კითხვაა,  
ყმანვილო! — მოხუცმა ინტერესით გა-  
მომხედა. — თქვენ თურმე ინტელექტის  
გაელვებებიც გახასიათებთ, რაც ფრი-  
ად სასიამოვნოა... საქმეც ისაა, ჩემი  
ბატონო, რომ ჰიპნატორის მეშვეობით  
თქვენ მათ განწყობას სამუდამოდ შე-  
უცვლით, ძალადობის, ტერორისა და  
რევოლუციური გადატრიალებების სა-  
მუდამო სიძულვილს ჩააგონებთ... რე-  
ვოლუციონერობას შეაჯავრებთ!..

— როგორ?

— უმარტივესად! ჰიპნატორს მიუშ-  
ვერთ და გაიფიქრებთ: „რევოლუცია სა-  
ზიზორობა! ტერორი გულის ამრევი!“

— კი მაგრამ, ეს ხომ მხოლოდ იმ რე-  
ვოლუციონერებზე იმოქმედებს, ვისაც  
იქ გადავეყრები...

— არა, ჩემო ბატონო, სხვა რევოლუ-  
ციონერებზეც!

— როგორ?

— როგორ და, ეს განწყობა ეპიდე-  
მიასავით გავრცელდება რევოლუციო-  
ნერებს შორის! ფსიქოკოდირებული ვი-  
რუსის მეშვეობით!

— ფსიქოკოდირებული ვირუსის მეშ-  
ვეობით!?

— დიახ. ესეც მე გამოვიგონე! კომ-  
პიუტერული ვირუსის მსგავსი კოდი-  
რებული ფსიქოგრამაა, ვირუსივით  
გავრცელდება, უბრალო ლაპარაკში  
შეუმჩნევლად გადავა ერთი რევოლუ-  
ციონერიდან მეორეზე, თქვენ თუ იმ  
ფრაზას ერთს მაინც ჩააგონებთ... და  
უსწრაფესად გავრცელდება მათ წრე-  
ში... და რევოლუცია აღარც მოხდება!  
და საბჭოთა კავშირიც არ შეიქმნება!  
და მილიონობით ადამიანი „გულაგს“  
გადაურჩება!

— რას?

– კარგი, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, მერე აგისხნით, – ხელი აიქნია ბერიკაცმა. – ისე, ამ გამოგონებაში მეოთხე ნობელის პრემია მექუთვნის, კაცმა რომ თქვას, – ჩაილაპარაკა კმაყოფილებით და მომიძრუნდა: – მაშა ასე, თანახმა ხართ, ჩემი ახალგაზრდა მეგობარო?

– სერ, როგორ ვიქნები თანახმა, როდესაც თქვენ წარსულის შეცვლას აპირებთ! ეს ხომ ყველაფერს შეცვლის! საერთოდ ყველაფერს!

– დიახ, მაგრამ უკეთესობისკენ!

– საიდან იცით?

– ჰმ! საიდან! – შეურაცხყოფილივით მიპასუხა. – ტემპორალური კონტინუუმის ვარიაციული ალბათობის გამოსათვლელი პსი-ალგორიტმი ამას ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს!.. სხვა-თა შორის, ესეც ჩემი გამოგონებაა!.. – მოხუცი გაიბადრა, თვალები სიამოვნებისგან მოხუჭა, დაუმატა, – ესეც მეხუ-თე ნობელი!

– სერ, ჯერ ერთი, ეს თქვენი მაღალინტელექტუალური ტერმინები არა-ფერს მეუბნება! მერე, ხომ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ახალ, შეცვლილ სამყაროში მე, უბრალოდ, აღარ ვარსებობ?.. რა გამოვა, დავბრუნდები ჩემს დროში, XXIII საუკუნეში, და გავქრები?

– არა, ყმანვილო, რადგან სწორედ თქვენ შეცვლით წარსულს. ეს ნიშნავს, რომ მომავალშიც, იმ შეცვლილ მომავალშიც იარსებებთ. მეტსაც გეტყვით, დიდი შანსია, რომ მამათქვენი დაგხვდეთ აქ, როდესაც წარსულიდან დაბრუნდებით!

– მმ... მართლა? და რატომ? როგორ?

– რადგან თქვენ მიერ უკეთესობისკენ შეცვლილ სამყაროში დესტრუქციული ტენდენციების კუთრი კოეფიციენტი ხარისხობრივად ნაკლები იქნება... სულ მცირე, 2,5 გიოდელით.

– გიოდელით?

– ერთეულის დასახელებაა... არქა-

ული ეპოქის ცნობილი მათემატიკოსის საპატივცემულოდ ვუწიდე.

– ესეც მეექვსე ნობელი? – ირონიულად ჩავილაპარაკე, თუმცა მოხუცმა ირონია ვერ შენიშნა. თავი სრულიად სერიოზულად დამიქნია, დიახ, ნამდვილად ასეაო, ყმანვილო. ჰერკულესის სიტყვებზე დავფიქრდი, „იქნებ, მართალს ამბობს? იქნება, დავბრუნდე და დროში დაკარგული მამა აქ დამხვდეს? ცოცხალი და უვნებელი? თუმცა კი ზღაპარსა ჰგავს... მაგრამ იქნებ?..“

– ისე, – ჩაილაპარაკა ბერიკაცმა. – ქრონოპილოტს გიოდელის სახელი კი უნდა გქონდეთ გაგონილი. ქრონოსკოპი რომ შეიქმნა, მისი თეორიული შრომების დამსახურებაა... არ გეკადრებათ, ყმანვილო, არ გეკადრებათ!...

უცებ გავბრაზდი, წყენით მივუგე:

– სერ, მე ჯერ მხოლოდ 25 წლისა ვარ! შეიძლება ბევრი რაღაც არ ვიცი, მაგრამ საუკეთესო ქრონოპილოტების ათეულში შევდივარ... და თანაც ყველაფერი წინა მაქვს... დღეს ადამიანი, სულ მცირე, 250 წელს ცოცხლობს!.. დავჯდები და წავიკითხავ, რაც საჭიროა! მაგ თქვენს გიოდელსაც!.. აი, თქვენ თვითონ რას წარმოადგენდით ჩემს ასაკში?

– შენს ასაკში? – გაიმეორა ჰერკულესმა და თვალში გამიყარა, მერე კი ცალყბად ჩაიცინა. – აი, მაგას კი არ გეტყვით, რადგან თქვენისთანა მონდომებული, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდების დაკომპლექსება არ მჩვევია!.. ოო, მე ვიყავი თუ ვიყავი... სუპერმეტავუნდერკ...

სიტყვა განწყვიტა, თავი გააკანტურა. დადუმდა. პაუზა გაინელა. მივხვდი, დროს მაძლევდა გასააზრებლად.

გავიფიქრე: „თუ წარსულს შეცვლი, ალბათ, ახალი, პარალელური სამყარო გაჩნდება და ამ ახალ სამყაროში, იქნებ, მართლაც არ იყოს მამაჩემი დაკარგული? ვინ იცის? მოდი, ვცდი!“

— სერ, კარგი, ვცდი, ოღონდ... — და-  
ვიწყე, თუმცა სიტყვის დამთავრება არ  
მაცალა.

— ვაშა! ასეც ვიცოდი! — ტაში შე-  
მოჰკრა ჰერკულესმა. სავარძელი ჰაერ-  
ში ასწია და ციბრუტივით დააბზრიალა.  
“არ გადმოვარდეს!” — გამიელვა. ზოგ-  
ჯერ მართლა ბავშვივით იქცევა ხოლ-  
მე, პატარა ბავშვივით. უნდა გითხრათ,  
ეს მის ახირებულ ხასიათს ოდნავ ანე-  
იტრალებს. სულ მცირე, 1,5 მიკროარ-  
თურმილნით (“ართურმილნი”, მოგეხ-  
სენებათ, სოციოემპათიის საზომი ერ-  
თეულია).

— ოღონდ, სერ, — ხმა გავიმკაცრე, —  
გარანტიები მჭირდება!

— გარანტიები? რისი გარანტიები? —  
გაოცდა მოსუცი.

— უსაფრთხოების!.. რომ არ ჩავი-  
კარგები წარსულში იმ თქვენს ილია  
ჭავჭანიძესთან ერთად!

— ჭავჭავაძესთან!  
— დიახ, დიახ, — მოვუბოდიშესავით.  
— ჭავჭავაძესთან... მოკლედ, რა გარან-  
ტიები შეგიძლიათ მომცეთ? ეგ თქვენი  
ქრონო, რა ჰქვია, ჰიპნატორი, თუ გა-  
მოცადეთ საერთოდ?

— რა თქმა უნდა! საკუთარ თავს  
ჭადრაკს ვეთამაშები ხოლმე... ყმანვი-  
ლო, იცით, რა არის ჭადრაკი?

— სერ, ეს უკვე მეტისმეტია!  
— ჴო, კარგი, კარგი... მოკლედ, ვე-  
თამაშები ხოლმე საკუთარ თავს და  
თეთრებით როცა ვიწყებ, შავებს ყო-  
ველთვის ვუგებ. ქრონოჰიპნატორის  
გამოგონების მერე კი გადავედი წარ-  
სულში, ერთი სვლა შევცვალე და შა-  
ვებმა პირველად დააშამათეს თეთრები!

კმაყოფილი მიღმოდა, ეშმაკური გა-  
მომეტყველებით — ბავშვივით, შოკოლა-  
დი რომ აგნაპნა და გადამალა, ახლა კი  
ელოდება, როდის გაიხედავ გვერდზე.

— სერ, ერთობ შთამბეჭდავი ტესტი  
ჩაგიტარებიათ, მაგრამ მე რეალური  
გარანტიები მჭირდება იმისა, რომ უკან  
დავბრუნდები!

— მაგაზეც ვიზრუნე! ნუ ღელავთ!  
ახლავე კაფსულას ჩაგიყენებთ მაჯა-  
ში, მიკროქრონოსამაშველო კაფსულას,  
რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში,  
თქვენი მენტალური ბრძანებით, ავტო-  
მატურად დაგაბრუნებთ ჩვენს დროში.  
კატაპულტასავითაა.

ეჭვით გავხედე. „ხომ არ იგონებს?“  
— გამიელვა. მაგრამ ჩვენს ფსიქომპა-  
თიურ ეპოქაში ასეთი დონის ტყუილი,  
ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა...  
XXIII საუკუნის ადამიანებს გაცნობიე-  
რებული, აშკარა ტყუილის თქმის უნა-  
რი დაბლოკილი გვაქვს.

— სერ, ჰიპნატორი მომენტალურად  
მოქმედებს? უცებ თიშავს ადამიანს?

— ამაში თავად დარწმუნდებით,  
ყმანვილო! — მითხრა ჰერკულესმა,  
„ფენი“ მომიშვირა და ღილაკს თითო  
დააჭირა. თბილი ჰიპნის ტალღა ვიგ-  
რძენი, თვალთ დამიბნელდა...

როდესაც თვალი გავახილე, სერ ლა-  
იონელის სახე დავინახე, ღიმილით დამ-  
ყურებდა.

— როგორი იყო, ყმანვილო? ტკბი-  
ლად გეძინათ?

წამოვინიე. თურმე იატაკზე ვარ გა-  
შოტილი.

— ჴმ, — რაღაც წავიბურტყუნე და  
წამოვდექი.

ბერიკაცი კითხვითი გამომეტყველე-  
ბით მომაჩერდა.

— თანახმა ვარ, სერ!

●

ტყეში გრილოდა, ჩიტები ჭიკიკებ-  
დნენ, საოცარი სიმშვიდე და სიმყუდ-  
როვე იყო... ხელში ქრონოჰიპნატორი  
მეჭირა. მიმოვიხედე. იმედია, ჰერკუ-  
ლესმა სწორად დააპროგრამა ეს თავი-  
სი „ექს-ფენი“, — გავიფიქრე. — სწორი  
კოორდინატები მისცა, როგორც დრო-  
ში, ასევე სივრცეში. სადღაც გზა უნდა  
გადიოდეს. რამდენიმე ნაბიჯი გავიარე  
და ჩემ წინ, ხეებში მართლაც დავლან-  
დავბრუნდები!

დე გრუნტის გზა. უცებ ვიგრძენი, უფრო სწორად, გვერდითი მზერით დავინახე ვიღაც წვერიანი ახმახი, ხელში გრძელლულიანი საგანი ეჭირა, უთუოდ იარაღი იქნებოდა. ერთიანად მივპრუნდი მისკენ, ქრონოჰიპნატორი დავუმიზნე, მაგრამ ღილაკის დაჭერა ვერ მოვასწარი, კეფაში რაღაც მომხვდა, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, თვალთ დამიბნელდა.

როდესაც თვალი გავახილე, ვიგრძენი, როგორ მერქობა ხელებში მაგრად განასკული თოკი. თურმე ხეზე ვარ მიბმული. ეს იმდენად დაუჯერებელად მომერვენა, რომ კინალამ გამეცინა. თავი ავწიე და ჩემ წინ ვიღაც გაუპარსავი, ულვაშიანი კაცი დავინახე, ხის კუნძზე იჯდა, ჩიბუს ენეოდა, ქამარში მოკლელულიანი იარაღი ჰქონდა გარჭობილი. ქრონოჰიპნატორი იქვე ეგდო, მის ფეხებთან.

— ვინა ხარ?

— თქვენ თვითონ ვინა ხართ?

— მიხა! — დაიძახა კაცმა. ბუჩქებიდან ვიღაც დაბალი, მელოტი კაცი გამოვიდა.

— რა იყო, კობა?

— ეს კაცი სად ნახეთ?

— ტყეში შეგვეჩება, გზასთან. სანამ კინაზს დავეცემოდით, ეს რაღაც ჯანაბა მიუშვირა გიგლას, ჰოდა, თავში ჩავცხე ნაგანის ტარი. რა ვუყო, კობა? ჩავაძალლო? აშკარად პროვოკატორია, მაგის დედაც!..

— მოიცა, მოიცა, ჯერ გავარკვიო, ეს რა ჯანაბაა...

— დამიძახე, თუ რამე, აქვე ვარ, — თქვა კაცმა, მიხა რომ ერქვა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

უცებ კვამლის სუნი ვიგრძენი. ეტყობა, სადღაც ახლოს ცეცხლი ენთო.

— ეს რა არის? — კაცმა ქრონოჰიპნატორი აიღო, დამანახა.

— ქრონოჰიპნატორი.

— რაო?

— დიახ. ასე ჰქვია. ქრონოჰიპნატორი. არ დამიჯერებთ, მაგრამ ესაა დროს მანქანა და თანაც მომენტალური ჰიპნოზის აგრეგატი. ვისაც გინდა, ჩააგონებ, რასაც გინდა.

კაცი წამოდგა, მომიახლოვდა, თვალებში ჩამხედა. თვალი გავუსწორე, დიდხანს მიყურა მდუმარედ. ნაყვავილარი სახე, დიდი ცხვირი და რაღაცნაირი გამჭოლი მზერა ჰქონდა. მკითხა:

— დროის მანქანა იმას ნიშნავს, რომ დროში მოგზაურობს?

თავი დავუქნიე.

— მომავლიდან ხარ?

— დიახ.

— რომელი საუკუნიდან?

— ოცდამესამე.

— კომუნიზმი აშენდა?

— კომუნიზმი რა არის? — კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

კაცმა თავი გააქნია, უკან გაპრუნდა, კუნძზე ჩამოჯდა ისევ, ჩაფიქრდა. საკმაო ხანი იჯდა მდუმარედ. მოთმინებით ვუცდიდი. მივხვდი, ხელი არ უნდა შევუშალო. ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ იმედად ის მრჩებოდა, რომ ამ კაცს ჩემთვის დაუჯერებინა. ჩემი მეგობარი გამხდარიყო. არადა, წინასწარ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იმ ბნელი მეოცე საუკუნის ადამიანს ამის უნარი აღმოაჩინდებოდა. უნარი ჩემი ნათქვამის გააზრებისა და მიღებისა. კაცმა ქრონოჰიპნატორი აიღო და ისევ წინ დამიდგა.

— ამით შეიძლება ჰიპნოზი გაუკეთო მეორე ადამიანს?

თავი დავუქნიე.

— როგორ?

— აი, ამ ღილაკს დააჭერ და გაიფიქრებ იმას, რაც გინდა, რომ ჩააგონო. თუ გინდა, გათიშო, გაიფიქრებ, „გაითიშე“ და გაითიშება.

ულვაშას უნდობლად ჩაეცინა და ქრონოჰიპნატორი მომიშვირა. გავითიშე.

როდესაც თვალი გავახილე, ვიღაც უცნობი დავინახე. კობამ ხმადაბლა უთხრა:

— გიგლა, ბერდანკა აიღე, უნდა ჩა-  
ვაძალლოთ. უანდარმერის აგენტია.

კაცმა გრძელლულიანი იარაღი გა-  
დატენა, დამიმიზნა.

უცებ გავაცნობიერე — უნდა მესრო-  
ლოს! ერთი წამიც და!..

ბედად კაფსულა-კატაპულტა გა-  
მახსენდა. მენტალური ბრძანება გავე-  
ცი. ყველაფერი ისევ დაბნელდა.

თვალი ჩემს ოფიში გავახილე.

ჰერკულესი სავარძელში იჯდა,  
თვლებდა. მის წინ დავეპრეზე იატაკ-  
ზე, ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც  
ნარსულში გავფრინდი.

ლაიონელი წამოხტა, მეცა:

— გადაარჩინეთ ილია?!

— ვერა, — დარცხვენილმა მივუგე, —  
ვერ მოვასწარი, რევოლუციონერებმა  
ეგრევე დამიჭირეს, ხეზე მიმაბეს, ჩემი  
დახვრეტა უნდოდათ!

— ქრონოპიპანატორი სადაა?

— წარსულში დარჩა...

— ყმა-წვი-ლო!!!



მოკლედ, ვერც ილია გადავარჩინე  
და ქრონოპიპანატორიც დავუკარგე სერ  
ჰერკულესს... თუმცა ცოტა ხანში თა-  
ვად იპოვა, რაც უნდა უცნაური იყოს,  
სტალინის სახლ-მუზეუმში, სადაც  
ათასნაირი საჩუქრები ინახება, ბელადს  
რომ მიართვეს თავის დროზე... ქრო-  
ნოპიპანატორი რომ არ ჩაგეგდო კო-  
ბას ხელში, მსოფლიო დიქტატორი ვერ  
გახდებოდაო, მამუნათებს. ახლა წადი  
და გამოასწორე შენი შეცდომაო!

კიდევ კარგი, ქრონოპიპანატორი ჩა-  
მოართვეს.

წარსულის შეცვლა სასტიკად აკძა-  
ლულია...

ფანჯარაში გავიხედე — მოედანზე  
სტალინის ვეება ჰოლოგრაფიული ძეგ-  
ლი აღმართულიყო. კაშკაშებდა.

## კატორლაზე, ანუ ბრიყვული სიზმარი (ფანტასტიკური მოთხოვნა)

სიზმრებს იშვიათად ვხედავ. უფრო  
ზუსტად, იშვიათად მამახსოვრდება.  
მეცნიერები ამტკიცებენ, ნებისმიერი  
ადამიანი ყოველ დამე, სულ ცოტა, სამ  
სიზმარს ხედავსო. არ ვიცი, არ ვიცი,  
ცოტა ეჭვი მეპარება — აბა, მე ერთი მა-  
ინც რატომ არ მამახსოვრდება? თუმცა  
ზოგჯერ ისეთ ბრიყვულ სიზმარს ნახავ  
კაცი, ჯობს საერთოდაც არ ხედავდე.  
ანდა ვერ იმახსოვრებდე.

აი, მაგალითად, გუშინდელ სიზმარს  
მოგიყვებით. გაგეცინებათ.

მძინავს ჩემთვის და უცებ თავში კა-  
კუნი მესმის. ისეთი კაკუნი, თითქოს  
ვიღაც ღია კარზე აკაკუნებს ფრთხი-  
ლად — ნიშანს გაძლევს, ანუ თავაზი-  
ანად გაფრთხილებს, შემოსვლას ვაპი-  
რებო. მახსოვს, დავიჯდანე, გავიფიქ-  
რე, მეთქი, ეს ვინ მოეთრა უდროო  
დროს და უცებ მივხვდი, მძინავს და  
ვიღაც ჩემს სიზმარში აპირებს შემოს-  
ვლას. მივხვდი, მაგრამ არ გამეღვიძა.

— ვინაა?! — ცოტა არ იყოს, გალი-  
ზიანებულმა შევძახე გონებაში. სხვათა  
შორის, წამითაც არ შემშინებია, რაც ამ  
სიტუაციაში სრულიად ბუნებრივი იქ-  
ნებოდა.

— დიდი ბოდიში, რომ გაწუხებთ... —  
გონებაში მორიდებული ხმა გავიგონე...  
ხმა იყო მუღერი, სტვენია, რაღაც უც-  
ნაური აქცენტის მქონე. ასეთი ხმა ექ-  
ნებოდა ფეხბურთის მსაჯს, რომელსაც  
შემთხვევით სასტვენი გადაეყლაპა.

— ვინ ხარ?!

— დიდი ბოდიში კიდევ ერთხელ, —  
უალრესად თავზიანად მეუბნება „სტვე-  
ნია“. — ნება მომეცით, წარმოგიდგეთ...  
დაგენახოთ... გაგესაუბროთ....

— დამენახე, ჰა! — ამდენი რევერან-  
სი ყელში ამომივიდა. გაუსაძლისი პა-  
უზებით ლაპარაკობდა. ვაცნობიერებ,  
რომ სიზმარში ვარ და გაღვიძებას რა-

ტომლაც არ ვჩქარობ. გული ცუდს არა-  
ფერს მიგრძნობს...

უცებ გონებაში გამინათდა, თითქოს  
სტადიონზე მძლავრი პროფესიონერები  
აანთესო ერთბაშად. და რას ვხედავ,  
სრულიად ცარიელ, გაჩახჩახებულ სივ-  
რცეში რაღაც უელესმაგვარი მასა, ღი-  
პიანი მედუზის მსგავსი ობიექტი ლივ-  
ლივებს. ფორმას, ფერსა და ზომას იც-  
ვლის გაუჩერებლად, პულსირებს, იტ-  
ყლარჭება, ფუვდება და იჩუტება. ხან  
ნითელია, ხან ყვითელი და ხან რაღაც  
უცნაური ფერი, რომლის აღსანიშნა-  
ვად ჩვენს ენაზე სიტყვა არ მოიპოვება.  
ლიპზე რაღაც წვრილ-წვრილი ნიშნები  
მოუჩანს შავად ჩამნკრივებულ-ჩაწიკ-  
ნიკებული, სვირინგივით. დავაკვირდი  
– ბევრი ნული და ერთიანია...

– ვინ ხარ?! – გაოცებისგან პირი  
დავალე გონებაში.

– მეშვიდე რანგის კეთილშობილი შა-  
არშოორი ანგროშაარსპატეტეს სისტემი-  
დან... თუმცა თქვენ, აბორიგენები, ჩვენს  
ვარსკვლავს ტაუ პროქსიმას ეძახით.

– ტაუ პროქსიმა? – იდიოტივით  
გავიმეორე.

– დიახ, მაგრამ ახლა ამას მნიშვნე-  
ლობა არა აქვს.

– აბა, რასა აქვს მნიშვნელობა?  
– მნიშვნელობა აქვს იმას, რომ  
უმორჩილესი თხოვნა მაქვს თქვენთან!

– რა თხოვნა?

– ნუ ინერციულებთ! იყავით ლოგი-  
კური, იყავით მშვიდი, უშფოთველი და  
უდრტვინველი ჩვენსავით, კეთილშობი-  
ლი შაარშოორებივით!

– რაო? შაარშოორებივით? – ვთქვი  
და უცებ გამეცინა. დანამდვილებით  
ვიცოდი, რომ მეძინა და ეს რაღაც აბ-  
სურდული ფერად-ფერადი „სტვენია“  
მედუზა სიზმარში მელანდებოდა. გა-  
მეცინა, რადგან სიტუაციის კომიკუ-  
რობა გავაცნობიერე. მაგრამ, რადგან  
არ მეღვიძებოდა, დიალოგში ავყევი.  
მეთქი, კიდევ რა ჭკვიანობას გადმოაფ-  
რქვევს!

– დიახ, დიახ, ძალიან გთხოვთ, ბა-  
ტონო ირაკლი! ძალიან! რადგან თქვენი  
ნერვიულობა და ალოგიკურობა ჩვენზე  
ძალიან მტკიცნეულად მოქმედებს. ვი-  
ტანჯებით!

– ერთი ნუთით! ჩემი ნერვიულობა  
და ალოგიკურობა თქვენზე ასე ცუ-  
დად ვითომ რატომ უნდა მოქმედებ-  
დეს? რა კავშირი გაქვთ ჩემთან?

– ოო, პირდაპირი და უშუალო კავ-  
შირი! მე თქვენი ტუსალი ვიყავი!

– ტუსალი? – მთლად დავიბენი.

– დიახ, ტუსალი! თქვენ კი ჩემი სა-  
კანი!

ისევ გამეცინა. ნამეტანი აბსურდუ-  
ლი სიზმარი იყო.

– მოიცა, მოიცა, ჩემო კეთილშო-  
ბილო შაარ... უკაცრავად, სახელი ვერ  
გავიხსენე!.. რა გინდა ჩემგან, ამიხსენი!

– მეშვიდე რანგის კეთილშობილი  
შაარშოორი!.. დიახ, სწორედ მაგას  
ვცდილობ, რომ აგიხსნათ! და თუ მო-  
მისმენთ, ყველაფერს მიხვდებით! და  
თუ ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ,  
უდიდეს სამსახურს გაუწევთ გალაქ-  
ტიკური ფედერაციის ყველაზე უფრო  
დაჩაგრულ, უუფლებო, საპრალო წარ-  
მომადგენლებს, კატორდელებს!

– მისმინე, ჩემო შაარ! – ერთობ  
სარკასტულად ვეუპნები. – ან ადამია-  
ნურად ამიხსენი, რა გინდა, ან არადა,  
ახლავე გავიღვიძებ და გაქრები! ფაფუ!  
მომბეზრდა ეს უაზრო ლაილაი!

– ბატონო ჩემო, ადამიანურად ვერ  
აგიხსნით, რადგან მეშვიდე რანგის კე-  
თილშობილი შაარშოორი ვარ და არა  
ადამიანი... თუ კეთილს ინებებთ და არ  
გამანყვეტინებთ, ყველაფერს მიხვდებით,  
მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუა-  
ლური განვითარების ტრანსგალაქტიკური  
ინდექსის ზღვარზე იმყოფებით.

– რაო, რაო?!

– რაც გაიგეთ!.. დიახ, თქვენ, ადა-  
მიანები, ინტელექტუალური განვითა-  
რების ტრანსგალაქტიკური ინდექსის  
უმდაბლეს დონეზე ბრძანდებით. რო-

დესაც თქვენი პლანეტა აღმოაჩინა შაგერშპრაუტის ექსპედიციამ, გალაქტიკურ ფედერაციაში დიდი დისკუსია ატყდა, ერთიანი აზრი არ იყო, როგორ მოვქცეულიყვით, გაგვენადგურებინა თქვენი რასა თუ...

— ჰოშ! ვითომ რატომ უნდა გაგენადგურებინათ?! — გავაწყვეტინე.

— იმიტომ უნდა გაგვეგნადგურებინა, რომ თქვენი არანორმალური სააზროვნო აპარატი საზარლად მუშაობს, გაუმჯობესებას არ ექვემდებარება, რაღაც თანდაყოლილი დეფექტი აქვს, ეტყობა! თქვენი ალოგიკურობა, იმპულსურობა, აგრესიულობა, ეგოიზმი სრულიად არაპროგნოზირებადია! სრულიად!

— ერთი ამას დამიხედეთ! ჩვენი სააზროვნო აპარატი არ მოსწონს! და შენ თვითონ რას წარმოადგენ, შე მედუზა, შენა?

— აი, ასეთები ხართ, ეგრევე შეურაცხყოფაზე გადადიხართ, სიმართლეს როდესაც გეუბნებიან!.. თავშეკავების არავითარი უნარი არ გაგარინიათ!.. არა, ნამდვილად ჯობდა თქვენი განადგურება, აღარც თქვენ დაიტანჯებოდით და აღარც ჩვენ!

— სულაც არ ვიტანჯები, მშვენივრად ვარ, მძინავს და სიზმარში გხედავ!.. მაგრამ, ერთი ეს მითხარი, მე როგორდა გტანჯავ, ჩემო კეთილშობილო მედუზავ? — ვუთხარი და თანაც გავითიქრე: „იქნებ, უფრო მეტადაც დაგტანჯო!“

— უფრო მეტად ვეღარ დამტანჯავ, ბატონი ირაკლი! — ჩემი აზრი გაიგო, ეტყობა. — რადგან სასჯელი უკვე მოვიხადე! ჩაო, ბამბინო!.. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემ მერე სხვები მოვლენ ჩემს ადგილას...

— ო, როგორ გამახარე! ერთი არ მეყოფოდი?

— არა, სხვებს ვერ იგრძნობ და ვერც დაინახავ, ასეთი დაუდევრობა თუ არ დაუშვეს კიდევ ციხის დარაჯებმა, შარშურლოგებმა. თუმცა ასეთი რაღაც მი-

ლიონში ერთხელ თუ ხდება... საკნის კარი გააღეს, მაგრამ იმავე წამს არ გამიყვანეს და ამიტომაც მომეცა საშუალება, გაგესაუბრო...

— ვაჲ, ეს თუ საუბარია! რაღაც იდიოტობებსა ჩმახავ!

— იდიოტობებს სულაც არ ვჩმახავ! სამწუხარო რეალობაა, მაგრამ მაცლი, რო აგიხსნა ბოლომდე?

— ჰა, მიდი, ამიხსენი! ხმას აღარ ამოვიღებ!

— მოკლედ, მე შენი ტუსალი ვიყავი, შენ კი ჩემი საკანი!.. უფრო ზუსტად, ჩემი პირადი მტანჯველი კატორლა!.. დიახ, დიახ, მე შენი კატორლელი გახლდი! პირადად შენი, ბატონო ირაკლი! პირადად! — ლამისაა პათეტიკურად გამოაცხადა „მედუზამ“.

— შარო, საიდან მოდიხარო! — ჩემდა უნებურად ჩავილაპარაკე.

— შაარშოორი ვარ, შარო კი არა! — იწყინა „მედუზამ“. — აკი, არ გაგაწყვეტინებო?

— ჰო, კაი, კაი, განაგრძე! ხმას აღარ ამოვიღებ!

— მოკლედ, როდესაც გალაქტიკურ ფედერაციაში დიდი დისკუსია გაიმართა იმაზე, თუ როგორ მოვქცეულიყვათ, გაგვენადგურებია თქვენი რასა თუ არა, ხანგრძლივი კამათის მერე გადაწყდა თქვენი დატოვება, იზოლირება და დასასჯელ, საკატორლო არეალად გამოყენება...

— მოიცა, მოიცა, ეს როგორ?!.. — გავაწყვეტინე.

— რა ვერ გაიგე?! — მანაც გამაწყვეტინა. — ადამიანების გონებას გალაქტიკური ფედერაცია იყენებს, როგორც ყველაზე მკაცრი სასჯელის აღსრულების საშუალებას. ინდივიდუალური პენიტენციური დაწესებულებები გახდით — ამან გადაგარჩინათ სრულ განადგურებას!.. თქვენს სხეულში ყოფნა ჩვენთვის — ლოგიკური, გაწონასწორებული, უშფოთველი ინდივიდებისთვის — ნამდვილი წამებაა!.. ყოველი თქვე-

ნი ალოგიკური მოქმედება ან თუნდაც მცირედი აღელვება თუ გაცხარება ისევე მოქმედებს ჩვენს სათუთ სუბსტანციაზე, როგორც მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმა თქვენს ხისჭორგანიზმზე!.. თქვენს ტყავში ყოფნა ჩვენთვის საშინელი განსაცდელი და სატანჯველია!

— ეგრე მოგიხდებათ! — ვუთხარი ნიშნისმოგებით, მერე ტკბილად გავულიმე და ვკითხე: — შენ რაღა დააშავე ასეთი, კეთილშობილო და საბრალო შაა... შაურო?

— შაარშოორო! — შემისწორა. — მდგრადი ფორმის მიღება ვცადე! არადა, ეს სასტიკად აკრძალულია! მოგეხსენება, აკრძალული ხილი როგორი მიმზიდველია, ჰოდა, ცდუნებას ვერ გავუძელი! და გამიგესა! სამართლიანად დავისავე, ვალიარებ!.. მოკლედ, როგორც თქვენ ხართ შინაგანად სრულიად არამდგრადები, მაგრამ გარეგნულად კონკრეტული, ხისჭი გარსი გაქვთ, ჩვენ, უმაღლესი ინტელექტის მქონე არსებები, პირიქით, შინაგანად სრულიად სტაბილურები ვართ, გარეგნულად კი მარად ცვლადნი... ეს პარალელურ-ანალოგიური მოდუსებია, ფუძემდებლური, კოსმოგონიურ-სტერეოსტრატოოსმოლოგიური პრინციპია... თუმცა ამას შენ ვერ ჩასწვდები!


— ერთი წუთით! და რატომ მიყვები ამ ყველაფერს? რა ჯანდაპა გინდა ჩემგან? — უცებ გამახსენდა, რომ ეს აბსურდული სტვენია მედუზა თავიდან

რაღაცას მთხოვდა თითქოს.

— დიახ, მსურს გთხოვო, რაც შეიძლება მშვიდად იყო მომავალში, არ ინერვიულო! იყო ლოგიკური და განონასწორებული ჩვენსავით, კეთილშობილი შაარშოორებივით, თორემ ცოდოები არიან ისინი, ვინც ჩემ მერე აღმოჩნდება შენს გონება-საკანში!.. შენს სხეულში გამოკეტვა კატორდა კი არა, სადისტური წამებაა!.. ადამიანებს ინტელექტუალური განვითარების დონე, მართალია, ერთობ დაბალი გაქვთ, მაგრამ ჰუმანურობის პრინციპები მაინც, ასე თუ ისე, გაგეგებათ და სიტყვით კიდეც იზიარებთ, რაც უნდა უცნაური იყოს. ჰოდა, ამას გთხოვ, იყავი ჰუმანური, გაუფრთხილდი შენს მომავალ ტუსალებს! მოაზროვნე არსებებმა ერთმანეთზე უნდა ვიზრუნოთ!.. გეხვეწები, აღარ ინერვიულო წვრილმანებზე!

— აღარ ვინერვიულო წვრილმანებზე? ჰა-ჰა-ჰა!.. ისედაც ხო მართლა ხშირად ვნერვიულობდი ხოლმე და ახლა ნახეთ, რა მოგელით! — ვუთხარი და ბოროტად გავულიმე. — სრულიად არალოგიკურად ვიცხოვრებ, იმპულსურად, მხურვალედ და გიურად! ყველაფერს გულთან ახლოს მივიტან, ყველა უსამართლობას გავაპროტესტებ, ყველა სისულელეზე ცოფებსა ვყრი და ყველა წვრილმანზე ავფეთქდები! თავ-ბედს გაწყევლინებთ, ჩემო მომავალო კეთილშობილო ტუსალებო, თავ-ბედს! — და გადავისარხარე.

უეცრად მედუზა გაქრა — ლაპლაპა აბლაბუდასავით რაღაც შემოეხვია და



ელვის სისწრაფით გაათრია.

გამეღვიძა.

„ეს რა ბრიყული სიზმარი იყო!“ – გამიელვა.

მკლავზე დავიხედე – რაღაც წვრილ-წვრილი შავი ნიშნები მომხვდა თვალში, სვირინგივით. დავაკვირდი, ბევრი ნუ-ლი და ერთიანი ალმოჩნდა: 01110011 01101000 01100001 01100001 01110010 01110011 01101000 01101111 01101111 01110010

## ბურახის მოყვარული

(ფანტასტიკური მოთხოვა)

2020 წლის 22 აპრილი. დღის 12 საათი. მოსკოვი, წითელი მოედანი. ციდან ნელ-ნელა ეშვება ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, რომელიც მავზოლეუმის თავზე ჩერდება, ასე, თხუთმეტი-ოცი მეტრის სიმაღლეზე. ჰაერში უძრავად კიდია. მოედანზე საკმაოდ ბევრი ხალხია ყვავილებით ხელში, რადგან ლენინის დაბადების დღეა. ადამიანები გაოცებულები შეჰყურებენ ჰაერში გაჩერებულ ობიექტს, თვალს არ უჯერებენ, რადგან ესაა ობორბლივი ავტომისაბმელი ცისტერნა, საკმაოდ შელახული, რომელსაც ცალ გვერდზე რუსულად აწერია „კვას“, მეორე გვერდზე კი უცნობ ენაზე (სინამდვილეში კი, ქართულად) – „პურახი“. მოედანზე მყოფი პოლიციელები და კრემლის დაცვა დაბნეულია. გადის ორიოდე წამი. იწყება აუკიოტაჟი, ტურისტები გამალებით იღებენ ფოტოებსა და ვიდეოს. პირველი გონის მოეგება და აქტიურ მოქმედებას იწყებს უმცროსი ლეიტენანტი ზაიკინი. ტაბელური იარაღიდან შვიდჯერ დამიზნებით ესვრის ამოუცნობ მფრინავ ობიექტს, მაგრამ ამაოდ, ტყვიები თითქოს უხილავ კედელს აწყდება და ქვაფენილზე კენჭებივით ცვივა.

უცებ ჰაერში თეთრი მტრედებივით

რაღაც აფრიალდება – ცისტერნიდან ასობით ფურცელი გადმოყარეს. მოედანზე შეკრებილები წამში იტაცებენ ქაღალდებს, ჰაერშივე იჭერენ. ნიავქარი რამდენიმე ფურცელს კრემლის კედლის მიღმა გადააფრენს. უეცრად ცისტერნა ადგილს მოწყდება უხმაუროდ, ელვისებური სისწრაფით აფრინდება, ყოველგვარი თანდათანობითი აჩქარების გარეშე და ლრუბლებში გაუჩინარდება...

აი, რა მოხდა წითელ მოედანზე ამ ისტორიულ დღეს.

ნახევრი საათიც არ იყო გასული, რომ ჯერ „ბიბისიმ“, მერე კი სხვა საინფორმაციო სააგენტოებმაც გადმოსცეს ტექსტი, რომელიც ამოუცნობი მფრინავი ცისტერნიდან გადმოყრილ ფურცლებზე იყო დაბეჭდილი შავით თეთრზე, დიადსა და მძლავრ რუსულ ენაზე:

„ულტიმატუმი რუსეთის მთავრობას, პირადად პრეზიდენტ პუტინს!

მოვითხოვ, სამი დღის განმავლობაში ოფიციალურად გამოაცხადოთ, რომ:

ა) დამარხავთ ლენინს;

ბ) გაიყვანთ ჯარებს აფხაზეთიდან და ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან;

გ) უკან წაიღებთ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას;

დ) გაიყვანთ ჯარებს ყირიმიდან და დაუბრუნებთ მას უკრაინას;

ე) გაიყვანთ ოქვენს სამხედროებს აღმოსავლეთ უკრაინიდან და გამოაცხადებთ, რომ არ სცნობთ ე. წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს;

ვ) კალინინგრადს დაუბრუნებთ გერმანიას;

ზ) კურილის კუნძულებს დაუბრუნებთ იაპონიას;

თ) ვაბორგს დაუბრუნებთ ფინეთს;

ი) შეწყვეტთ ე. წ. პრიდნესტროვიეს რესპუბლიკის მხარდაჭერას;

კ) გაიყვანთ ჯარებს სირიიდან, შეწყვეტთ ასაღის მხარდაჭერას;

ლ) ჩაატარებთ პრეზიდენტისა და პარლამენტის დემოკრატიულ არჩევნებს, სადაც ოპოზიციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელს ექნება უფლება, წამოაყენოს თავისი კანდიდატურა;

მ) არჩევნებს ჩაატარებთ გაეროს პატრონაჟითა და უშუალო მონაწილეობით.

თუკი ულტიმატუმის გასაჯაროების მომენტიდან 48 საათის გასვლის შემდეგ ოფიციალურად არ გამოაცხადებთ, რომ მიიღეთ ულტიმატუმის პირობები, და არ შეუდებით მათ შესრულებას, დავინყებ თქვენი სამხედრო პოტენციალის განადგურებას. თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ.

ბურახის მოყვარული.

2020 წლის 22 იანვარი“

ულტიმატუმის გამოცხადებიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ამოუცნობი მფრინავი ცისტერნა ნიუ-იორკში, გაეროს შენობის წინ შენიშნეს. ჰაერში დაეკიდა, ასე, ოციოდე მეტრის სიმაღლეზე. მრავალათასიანი ბრძო ერთ წამში შეიკრიბა. ხალხი მდუმარედ იდგა და ცისტერნას აპყურებდა. ახალი სენსაციის მოლოდინში ასობით ტელე-ვიდეოკამერა მუშაობდა – მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამყვანი ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში გადასცემდა გამოსახულებას. ყველა, რუსეთის არხების გარდა...

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ. ისევ აფრიალდნენ „თეთრი მტრედები“ – ხალხმა ჰაერში დაიტაცა ფურცლები. ინგლისურ ენაზე დაწერილი ტექსტი ტელეუზურნალისტებმა პირდაპირ ეთერში წაიკითხეს:

„მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნევრ სახელმწიფოებს, მსოფლიოს ხალხებს!

მოგინოდებთ ახალი, დემოკრატიული და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის დასამყარებლად!

ომები, აგრესია, მცირე ერების ჩაგვრა, ბუნების განადგურება დაუყ-

ოვნებლივ უნდა შეწყდეს. ყველა კონფლიქტი უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების მაგიდასთან, კომპრომისების ხარჯზე, სისხლისლვრის გარეშე!

მოგინოდებთ, განახორციელოთ ზენოლა რუსეთზე, აიძულოთ, ექსცესების გარეშე შეასრულოს ჩემი ულტიმატუმის პირობები.

მოგინოდებთ, დაიწყოთ მოლაპარაკებები სამართლიანი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად.

ყველა ჯურის ფუნდამენტალისტებს, ტერორისტებსა და ექსტრემისტებს მოვუწოდებ, თავისი ნებით დაყარონიალი და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ. თუ არადა, ინანებენ!

ბურახის მოყვარული.

2020 წლის 22 აპრილი“

გადმიყარა თუ არა ცისტერნამ ფურცლები, იმავე წამს აიჭრა ცაში და თვალს მოეფარა.

ერთი-ორი წუთი იქნებოდა გასული, რომ მფრინავი ცისტერნა ამჯერად ბრიუსელში შენიშნეს, ნატოს შტაბ-ბინის წინ. იქაც იგივე განმეორდა, რაც ნიუ-იორკში – ცნობისმოყვარეთა ბრძო და ტელეუზურნალისტების არმია თვალის დახამსამებაში შეიყარა. ცისტერნამ არც ამჯერად გაუწილა იმედი სეირის მოყვარულებს, „თეთრი მტრედები“ ააფრიალა. ოღონდ ამჯერად ტექსტი კიდევ უფრო ლაკონური იყო:

„ჩრდილოეთ ატლანტიკის თავდაცვითი ორგანიზაციის ნევრ სახელმწიფოებს!

მოგინოდებთ, აქტიურად დაიცვათ დემოკრატიული ფასეულობები, არ შეუშინდეთ რუსეთის შანტაჟს, აიძულეთ, უკან დაიხიოს და თავისი იმპერიული, აგრესიული, ექსპანსიონისტური პოლიტიკა შეცვალოს.

აქტიური მოქმედებისა და ჩემი მოთხოვნების ქმედითი მხარდაჭერის შემთხვევაში, გაგიმხელთ ტექნოლოგიას, რომელსაც ვფლობ. ოღონდ ეს მოხდება მას მერე, რაც რუსეთი შეასრუ-

**ლებს ჩემს ულტიმატუმს.  
ბურახის მოყვარული.  
2020 წლის 22 აპრილი”**

ცისტერნა გაქრა.

მსოფლიო გაოგნდა. გაირინდა.

რუსეთი კი ნამდვილ შოკში ჩავარდა. შეიძლება ითქვას, ერთდროულად სტუ-პორშიც იყო და ისტერიკაშიც. პატრი-ოტები ქუჩებში გამოვიდნენ ლოზუნგე-ბით: „ძირს ულტიმატუმი!“ „რუსეთი უპირველეს ყოვლისა!“ „არ დავნებ-დებით!“ კრემლი არავითარ განცხადებას არ აკეთებდა – განუწყვეტელ რე-ჟიმში მიმდინარეობსო უშიშროების საბჭოს სხდომა. აშშ-ის, რუსეთისა და სხვა დიდი სახელმწიფოების საიდუმლო სამსახურებს არანაირი ინფორმაცია, ვარაუდი ან თუნდაც მცირედი მინიშ-ნება იმაზე თუ ვინაა „ბურახის მოყვარული“, არ გააჩნიათ, ამბობდნენ უურნალისტები სანდო წყაროებზე დაყრდნობით. სიტუაცია აბსურდულ სიზმარსა ჰგავდა, რომელიც ნამდვილ კოშმარში შეიძლებოდა გადაზრდილიყო.

მფრინავი ცისტერნის ფოტო-ვიდეოგამოსახულების ანალიზმა პრაქტიკულად ვერავითარი დამატებითი ინფორმაცია ვერ მოიტანა – შეუიარაღებელი თვალითაც ცხადად ჩანდა, რომ ცისტერნა საკმაოდ ძველი და ერთობ შელახული იყო, წარწერა კი... მართლაც ქართულ-რუსული. ექსპერტების აზრით, მისაბმელი-ცისტერნის მოდელი გახლდათ „АЦПТ-0,9“. კონკრეტულად ეს ცისტერნა გამოშვებული უნდა ყოფილიყო სოკულუკის ქარხანა „ტორგმაშის“ მიერ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში.

ქართულ ენაზე არსებული წარწერის გამო, ბუნებრივია, მთელმა მსოფლიომ საქართველოს მიაპყრო ყურადღება. სხვადასხვა ქვეყნიდან თბილისში იმავე დღეს ჩამოფრინდნენ უშიშროების მრჩეველ-ექსპერტები, სპეცაგენტები და ტელეჟურნალისტები. ხოლო ადგილზე მყოფმა მზვერავებმა და ინ-

ფორმატორებმა მიიღეს ბრძანება, მოეძებნათ თუნდაც უმცირესი მინიშნება, რომელიც ულტიმატუმისა და მოწოდებების ავტორის პოვნის საშუალებას მისცემდათ.

სენსაციამ მსოფლიოს ცუნამივით გადაუარა.

სოციალური ქსელები, ტელევიზია, პრესა მხოლოდ ამ გამაოგნებელ ამბავზე მსჯელობდა – ვინ ზის ცისტერნაში? ვინაა „ბურახის მოყვარული“? რა შეუძლია, რისი ძალა აქვს? როგორ დაფრინავს, რა პრინციპზე მუშაობს მისი ცისტერნა? რა რეაქცია ექნება პუტინს? რა მოხდება, თუკი რუსეთი ულტიმატუმს არ მიიღებს? როგორ აპირებს „ბურახის მოყვარული“ რუსეთის სამხედრო პოტენციალის განადგურებას? და ა. შ.

კამათი და დისკუსია ძირითადად ერთ საკითხზე გაიშალა – რას მოიმოქმედებს რუსეთი? ვარაუდები უამრავი და ურთიერთგამომრიცხავი იყო, თუმცა დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა... შეიძლება ითქვას, ყველა მოსაზრება ჰაერში ეკიდა...

...როგორც მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი 22 აპრილს მოხდა, 23 აპრილს კი მოულოდნელად სახლში მეწვია ჩემი ძეველი ამხანაგი „ნ“ (სახელსა და გვარს, გარკვეული მიზეზების გამო არ ვამხელ). პირობითად „ნუკრის“ დავარქმევ.

ნუკრისთან განსაკუთრებულად ახლო, ანუ მართლა მეგობრული ურთიერთობა არასოდეს მქონია – ამხნაგები ან, სულაც, ძალიან კარგი წაცნობები გვეთქმოდა. ერთი ხანობა მეზობლები ვიყავით, მრავალსართულიან კორპუსში ვცხოვრობდით გვერდიგვერდ, ერთ სართულზე, ოლონდ მეზობელ სადარბაზოებში – ჩვენს ბინებს ერთი კედელი ყოფდა. ჩვენს სართულზე სადარბაზოებს შორის გადასასვლელი აივანი იყო. ის მესამე სადარბაზოში ცხოვრობდა, მე – მეოთხეში. ჩემს სადარბა-

ზოში ლიფტი რატომლაც ხშირად ფუჭდებოდა, ამიტომ მესამე სადარბაზის ლიფტით ვსარგებლობდით ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც, როცა ლიფტში შევედი, ვიღაც ახალგზრდა კაცი შემომყვა. ლიფტი დაიძრა და სართულებს შორის გაჩერდა. ერთი სიტყვით, აღმოჩნდა, რომ ნუკრისთან ერთად გავიჭედე, შუქი ჩაქრა. იმ ნლებში, შევარდნაძის მმართველობის დროს, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მოგეხსენებათ. დაახლოებით ერთი საათი მოგვიწია ლიფტში ყურყუტი და მთელი ეს დრო სამეცნიერო ფანტასტიკაზე საუბარში გავატარეთ. სწორედ მაშინ გავიცანი ნუკრი – მაგ კორპუში ორი-სამი თვის გადასულები ვიქენებოდით.

ერთი სიტყვით, სამეცნიერო ფანტასტიკამ დაგვაახლოვა – საქართველოში ამის მოყვარული არც ისე ბევრია, იმ პერიოდში კი საერთოდაც სანთლით საძებარი იყო. სამეცნიერო ფანტასტიკის კარგი ბიბლიოთეკა მქონდა, რომლის შეგროვება ჯერ კიდევ მამაჩრემბა დაიწყო მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს. მე მგონი, ყველაფერს იწერდა ფოსტით, რაც კი საბჭოთა კავშირში გამოდიოდა. ფანტასტიკა ბავშვობიდან შემიყვარდა, ჰოდა, მამაჩრემბის ბიბლიოთეკის შევსება გავაგრძელე – უამრავი წიგნი დამიკროვდა. ნუკრი ჩემზე უმცროსი იყო რამდენიმდე წლით, თანაც ფანტასტიკის კითხვა გვიან დაეწყო, სტუდენტობისას, ამიტომ, მასთან შედარებით, ამ სფეროში „ექსპერტად“ ვგრძნობდი თავს. ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან და მეკითხებოდა, რას მირჩევ, ნავიკითხოო? მეც ვურჩევდი ხოლმე – და წიგნს ვატანდა. სამიოდე დღეში ისევ მომადგებოდა ხოლმე ახალი წიგნისთვის...

წესით, უნდა დავმეგობრებულიყავით, მაგრამ არ გამომივიდა. ჯერ ერთი, ნუკრი ღვინოს არ სვამდა – პათოლოგიური სიმთვრალე მაქვსო, მე კი ამის გარეშე მეგობრული ურთიერთობების

დამყარება, ეტყობა, ვერ წარმომედგინა. მეორეც, საოცრად გულჩათხრობილი იყო, არაფერს გეტყოდა თავის თავზე, პრობლემებსა თუ განცდებზე. და, აბა, როგორ გინდა ასეთ კაცს დაუმეგობრდე?.. და მესამეც, ჩემი და შეუყვარდა.

თითქმის ტოლები იყვნენ, 25-26 წლისანი, მაგრამ რადიკალურად განსხვავდებოდნენ ხასიათითაც და ინტერესებითაც. უფრო მეტად შეუთავსებელი წყვილი ძნელი წარმოსადგენი იყო.

ნუკრი გამხდარი, დაბალი, რაღაც-ნაირად გალეული, სრულიად არასპორტული, ერთობ ნევრასთენიული სუბიექტი ბრძანდებოდა. დედასთან ერთად ცხოვრობდა. წიგნების მეტი არაფერი აინტერესებდა. ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად. როცა ვკითხე, კონკრეტულად რას აკეთებ-მეთქი, მოკლედ მომიგო, პიეზოელექტრომაგნიტურ ელემენტებსო. მიუხედავად სამეცნიერო ფანტასტიკის სიყვარულისა, ფიზიკაში სრულიად ვერ ვერკვევი, ამიტომ აღარ ჩავეძიე, ჩემი უვიცობა რომ არ გამომუდავნებულიყო.

აი, ჩემი და კი ჯანმრთელი, ლამაზი, მხიარული, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი გახლდათ. თანაც მეტად სპორტული – კარგად ცურავდა ბავშვობიდან, მშვილდოსნობაზეც დადიოდა ერთხანს და ცხენოსნობაზეც. დიანას ვეძახდი ხუმრობით, ქალღვთაების ამბავში. ისე კი, დალი ერქვა, ზედგამოჭრილად. დიდი სპორტსმენი ვერ გამოვიდა (თუმცა თანრიგები კი ჰქონდა), მაგრამ კარგი სპორტული უურნალისტი დადგა. ჰოდა, იმ ჩვენს ბედოვლათ ფიზიკის შეუყვარდა.

ცხადია, ჩემმა დამ ზედაც არ შეხედა, უბრალოდ ვერც კი აღიქვა კაცად. მართლაც, ნუკრი განურული ჩერის ასოციაციას უფრო იწვევდა, ვიდრე მამაკაცისას. ჩვენს დალი-დიანას კი თაყვანისმცემლები არ აკლდა.

ნუკრიმ ჩემთან სტუმრობას მოუხ-

შირა. ადრე ორ-სამ დღეში ერთხელ შემოივლიდა ხოლმე, ოც წუთზე მეტ სანს არ ჩერდებოდა, როგორც წესი, ახლა კი ყოველდღე მოდიოდა და ლამისაა საათობით იჯდა. წიგნები ყოველდღე მიჰქონდა – როდის ას-წრებდა ყველაფრის წაკითხვას, არ ვიცი. წიგნებს ყლაპავდა. ერთ ლამეში წაიკითხავდა და მიბრუნებდა – ახალს მართმევდა. მისი ამ ყოველდღიური ვიზიტებით შევწუხდი. უცნაურია, მა-გრამ ვერ მივხვდი, რა უნდოდა, რატომ იჯდა მიკერძებულივით ჩემს ოთახში. თა-ვიდან ფანტასტიკაზე ვესაუბრებოდი, ბოლოს ყურადღებას აღარ ვაქცევდი, მოურიდებლად ვდგებოდი და გავდიო-დი ოთახიდან, მეთქი, საქმე მაქვს, ის კი იჯდა და წიგნს კითხულობდა... ერთხ-ელაც ველარ მოვითმინე და ვუთხ-არი, ეს რა ქოხ-სამკითხველო ნახე-მეთქი? ადექი და სახლში წაიკითხე, ვაა!.. დალი მინდა ვნახოო, – უცებ დაახეთქა. დალი? – პირი დავალე. ჰო, დალი შემიყვარდაო, მეუბნება თავჩქ-ინდრული, თვალებში ვერ მიყურებს. წამით კიდეც შემეცოდა, მაგრამ მერე გავპრაზდი. თუ შეგიყვარდა, მიდი და თავი მოაწონე-მეთქი, აქ რას მიზიხარ!.. იქნებ შენ უთხრაო? – მუდარით მეუბ-ნება. გამეცინა, ერთი, როგორ წარმო-გიდგნია, რომ შენ მაგივრად საკუთარ დას სიყვარულს ავუხსნი?!.. მოკლედ, გავცოფდი. ავდექი, ოთახის კარი გა-ვალე და დალის გავძახე – ის წუთია დაბრუნებულიყო შინ. დალი შემოვიდა, მეკითხება: – რა იყო?.. ვეუბნები: – რა და, ამ ვაუბატონს შეუყვარდი და სი-ტყვის თქმას ვერ გიბედავს, ახლა მე გავალ და თქვენ თვითონ გაარკვიეთ თქვენი საქმე, ვაჲ!.. მოკლედ, ოთახი-დან გავვარდი. ყელში მქონდა ამოსუ-ლი. მარტო დავტოვე... იქნებ, ბოლო მოელოს-მეთქი ამ უაზრობას.

შევედი სამზარეულოში, გამოვალე მაცივარი, მოვძებნე ლუდის ბოთლი, გავხსენი, მომცრო კათხაში ჩამოვისხი,

დავჯექი და ვსვამ დაგემოვნებით. ვმშვიდდები, ასე ვთქვათ. თანაც ვაყუ-რადებ, მაგრამ ოთხიდან ჩამიჩუმი არ ისმის.

ხუთიოდე წუთი გავიდა და მესმის, ოთახის კარი ბრახუნით გაიღო, წუკრი სამზარეულოში შემოიჭრა გაფითრებუ-ლი, მომაყვირა: „აი, ნახავთ! ნახავთ!“ და გავარდა.

ოთახში შევედი. დალის ვეკითხები: „რა უთხარი ასეთი, გიუივით რომ გაი-ქცა?“

დალიმ მხრები აიჩეჩა.

– რა უნდა მეთქა? რას ვეტყოდი?  
– სრულიად მშვიდად მეუბნება. – რაც ოდითგანვე წერია, ის ვუთხარი... „გი-ჯობს სატრფოსა აჩვენო საქმენი საგ-მირონია“...

გამეცინა.

– და რაო, გაჩვენებო?

– მაგას არ ყვიროდა, აი, ნახავთ, ნახავთ!

მაგ შემთხვევის მერე დალი მალევე გათხოვდა, ქმართან გადავიდა. შვილი გააჩინა.... წუკრიმ და დედამისმა კი გაყ-იდეს ბინა და სადლაც სხვაგან გადასახ-ლდნენ, გარეუბანში. წუკრი ზოგჯერ მირეკავდა, ათასში ერთხელ შემომივ-ლიდა ხოლმე ცოტა ხნით, მომიკითხავდა. ისევ ფანტასტიკაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ წიგნებს აღარ მართმევდა. ინ-ტერნეტში კითხულობდა. გავიდა წლები... ბოლო ხანს წუკრის ასავალ-დასავალი დამეკარგა. ჩემს დას ქმარი დაელუპა, ერთადერთი ქალიშვილი 16 წლის ასაკში გაუთხოვდა. მოკლედ, დალი ჩვენთან დაბრუნდა, მშობლების სახლში. მოხუც დედ-მამას მიხედვა სჭირდებოდა, ქალის ხელი... მე ვერ მოვუვლიდი სათანადოდ, დღემდე უცოლო ვარ...

და უცებ წუკრი გამოგვეცხადა. ოცი წლის მერე. 2020 წლის 23 აპრილს.

თითქმის არ შეცვლილიყო. თუ არ ჩავთვლით, რომ თმა აღარ შერჩენოდა, თუმცა დიდი ქოჩორა ბიჭი არც ახალ-გაზრობაში ბრძანდებოდა.

შემოვიყვანე ოთახში, დაგსვი, პირისპირ დაუუჯექი. მდეუმარედ მიყურებს. უცნაურად. თვალებში თითქოს ნაკვერჩხლები აქვსო, წითლად ულვივის. ასეთი არასოდეს მენახა. თითქოს სხვა კაცი იჯდა ჩემ წინაშე. გარეგნულად ისეთივე იყო, ოლონდ გამელოტებული, მაგრამ თანაც სრულიად სხვა ადამიანი ბრძანდებოდა.

ველოდები, რას იტყვის. და უცებ ჩაიცინა. თითქოსდა ნიშნისმოგებით. და მეკითხება:

– დალი სახლშია?  
– არა, მაგრამ მალე მოვა.  
– ძალიან კარგი. გოგი, „ბურახის მოყვარულზე“ რას ფიქრობ?  
– რაზე? – უცებ ვერ მივხვდი.  
– აი, იმაზე, რაც გუშინ მოხდა.  
– აა! – აზრზე მოვედი. – რა უნდა ვიფიქრო, რაღაც სიგიჟეა. აბსურდი!  
– რატომაა აბსურდი? – ისე მკითხა, გეგონება, ეწყინაო.  
– აბა, რა არის, შენი აზრით?  
– რა და, გენიალური გამოგონება! რომელიც ისტორიას გადაატრიალებს! მარადიულ მშვიდობას დაამყარებს! კაცობრიობას ვარსკვლავებისკენ გზას გაუხსნის!

– რა მიამიტობაა! – გამეცინა. – რა ყველაფრისა გჯერა! ფოკუზებია! ვიღაც ახალი დევიდ კოსერფილდი გამოჩნდა და ოხუნჯობს! მაიმუნობს!

– მაიმუნობსო?! – ნუკრი წამოიჭრა, ჯიბიდან რაღაც პატარა კოლოფი ამოილო მკვეთრი მოძრაობით, ლილაკს თითო დააჭირა და უცებ მისი სხეული თითქმის უხილავმა, გამჭვირვალე, მოცისფრო ნათებამ მოიცვა. ნუკრიმ კიდევ ერთხელ დააჭირა ლილაკს და უცებ ნელნელა აინია ჰაერში, ასე ნახევარი მეტრის სიმაღლეზე გაჩერდა, სამიოდე ნაბიჯი გადადგა ჰაერში, აივნის კარამდე მივიდა, მობრუნდა, ისევ ჰაერში განაგრძო სვლა, ჩემ წინ შედგა, ლილაკს დააჭირა და ნელ-ნელა დაეშვა იატაკზე. მერე კი სავარძელში ჩაჯდა. თვალებში ჩავხედე. ნაკვერჩხლებს თითქოს ვიღაცამ შეუ-

ბერაო, ახლა კი აღარ ღვიოდნენ, არამედ კაშკაშებდნენ, ალისფრად. შემზარა, თვალი მოვაშორე. ფანჯარაში გავიხედე. ხმას ვერ ვიღებდი. რატომდაც ცივმა ოფლმა დამასხა.

– მაშ, გოგი ბატონო, – ნუკრიმ თითები გაატკაცუნა, – არ მოგეწონა ჩემი... გრავიტრონი?

– ეე...  
ნუკრიმ ალმაცერად ჩაიცინა.  
– ენა გადაყლაპე, ბატონო გოგი?  
– ეე... ესე იგი... რა... შენა ხარ ის... „ბურახის მოყვარული“? – როგორც იქნა, მეტყველების უნარი დამიბრუნდა. – ესე იგი, შენ ზიხარ იმ რაღაც აბსურდულ ცისტერნაში?!

– ვზივარ? სულაც არა! მაგრამ ვმართავ კი... დისტანციურად!

– ნუკრი, ესე იგი, შენ... შენ შექმენი... ანტიგრავი... ტატორი?!.. ესე იგი...  
– უცებ თითქოს დენმა დამიარა ტანში, გამაჟრულა. – ესე იგი, შენ მსოფლიოს მბრძანებელი შეგიძლია გახდე!

– დიახაც, – ჩაიცინა. – შემიძლია! და უკევ ვარ კიდეც, ფაქტობრივად! ოლონდ ეს ჯერ არავინ იცის... შენ გარდა! ცოტა ხანში კი დალისაც ეცოდინება! დალი რომ არა!.. – ნუკრიმ თვალები წამით მოხუჭა. – დალი მაძლევდა სტიმულს! დალი მაძლევდა ძალას!.. შთაგონებას!.. დიახ, დალი!.. მთელი ოცი წელი თავაუღებლად ვიმუშავე იმისთვის, რომ „საგმირო საქმე“ მეჩვენებინა და... აი...

ზარი დაირეკა. გავვარდი, კარი გავალე. დალი იყო.

– დალი, დალი!  
– რა იყო, მოხდა რამე? – დაფეთებული მეკითხება. – დედა როგორაა? მამა?

– კარგად არიან, ნუ გეშინია! მაგრამ... ჩემითან ნუკრია!.. „ბურახის მოყვარული“ ნუკრი ყოფილა! ნუკრი! გესმის!.. ნუკრი!

– ნუკრი? – დალი დაიბრნა.  
– წამოდი, ჩემარა, წამოდი! უნდა

გაჩვენოს! გამოგონება! თავისი გამო-  
გონება! გენიალური გამოგონება!

ლამისაა ძალით წავიყვანე ჩემი  
ოთახისკენ, კარი მკვეთრი მოძრაო-  
ბით შევაღე, ჰეროლდივით საზეიმოდ  
გამოვაცხადე:

– დალი!.. დალი მოგიყვანე, ნუკრი!

გვერდზე გავდექი, გზა დავუთმე.  
დალი ოთახში შევიდა. ალარ შევყევი.  
კარი მივხურე, სამზარეულოში გავედი.  
მაცივარი გამოვაღე, არაყის ბოთლი  
მეგულებოდა, ორასიოდე გრამი მაინც  
იქნებოდა მორჩენილი. დავჯექი, ჭიქა-  
ში ჩავისხი და წყალივით დავლიე. გემო  
ვერც კი ვიგრძენი. არ მიშველა. თავში  
ისევ ის დომხალი მქონდა. თან საოცრად  
მიხაროდა, თან ვერ ვიჯერებდი... ესე  
იგი, რა?.. ნუკრი მსოფლიო მბრძანებე-  
ლი გახდება, მე კი... მე კი მისი მარჯვე-  
ნა ხელი ვიქნები!.. და უცებ გამიელვა:  
„დალიმ უარი რომ უთხრას?!“ გავი-  
ფიქრე ეს თუ არა, იმავე წამს მივხვდი:  
უარს ეტყვის! წამდვილად უარს ეტყ-  
ვის!.. არ არსებობს ამქვეყნად ძალა,  
რომელიც დალის აიძულებს, ნუკრის  
ცოლად გაჰყვეს... სულაც რომ უკვ-  
დავების წამალი გამოიგონოს, მაინც  
უარს ეტყვის... რა ვქნა? რა ვიღონო?..  
მივაყურადე... ოთახიდან ჩამიჩუმი არ  
ისმოდა... მაგრამ იქნებ? იქნებ?!

ავდექი, ოთახის კართან მივედი,  
უკვე უნდა დამეჭირა სახელურზე, მა-  
გრამ შევდექი, ვერ გავტედე... დავრჩი  
ასე, ჰეროში ხელაწეული. მერე გავი-  
ფიქრე: „უნდა მივაკაკუნო... და შევალ!“  
და უცებ დალის შეკივლება გავიგონე.  
ოთახში შევვარდი და რას ვხედავ, დალი

აივნის ლია კართან დგას, ხელში გრა-  
ვიტრონი უჭირავს, ნუკრი კი არ ჩანს.  
ოთახი ცარიელია.

– ნუკრი სადაა?! – ვიღრიალე.

– ჩავარდა!

– რაა?!

აივანზე გავვარდი, გადავიხედე.  
არაბუნებრივად პატარა მომეჩვენა ას-  
ფალტზე გაშელართული სხეული... მეშ-  
ვიდე სართულზე ვცხოვრობ... შემოვბ-  
რუნდი, ტახტზე დავჯექი, სახეზე ხე-  
ლები ავითარე. არ ვიცი, რამდენ ხანს  
ვიჯექი ასე. მერე უცებ თითქოს დენი  
დამარტყესო, ადგილზე შევხტი.

– დალი, რა მოხდა?! გრავიტრონი  
საიდანა გაქვს?

დალი ჩემ წინ იჯდა სავარძელში,  
კობებშეკრული. განყენებული.

– საიდან და... თვითონ მომცა!..  
მაჩვენებდა, როგორ შეუძლია ფრენა  
და როგორ არ ეშინია სიმაღლის... რა  
მაგარია... გარეთ გავიდა, აივნიდან  
გადააბიჯა, ჰეროში გაჩერდა, მოტრიალდა  
და მეუბნება, აი, ჩემი საგმირო საქმე,  
რომელსაც შენ გიძლვი! გრავიტრონს  
შენ გიძლვი, ჩემო... ჩემო ღვთაებავ! და  
ხელი გამომიწოდა, ხელში გრავიტრონი  
ეჭირა. მეც გავუწოდე მარჯვენა, ხელი  
ხელს შეეხო და ეტყობა, იმ მომენტში  
ღილაკს დაეჭირა შემთხვევით, გრავი-  
ტრონი გამოირთო, ნუკრი ჩავარდა...  
გრავიტრონი ხელში შემრჩა... უბედური  
შემთხვევაა... უბედური...

– უბედური... – ექოსავით გავიმეო-  
რე.

...რა იცოდა ნუკრიმ, რომ ჩემი და  
„სპუტნიკში“ მუშაობს უურნალისტად.

---

## პოეზია

### დებიუტი

გიორგი გულუა



### აღმოჩენა

დაიწყება ზღვის მოქცევა მალე.  
მზე ტალღების შფოთვამ შეიწირა.  
ალბათ, ახლა შენც უყურებ მთვარეს  
ოდნავ შემოღამებული ციდან.  
ქარი მითვლის ხერხემალზე მალებს –  
ქარი გრიგალს არასოდეს ნანობს.  
მე თუ შენი სიყვარული ვმალე,  
მხოლოდ ჩემი სიმორცხვის-და გამო.  
გახსოვს, იმ დღეს რა ლამაზად ცრიდა?!  
ალუბლების უნებლიერი ლიბე.  
და ხელები მის ფოთლებზე ციდა  
მთელ სამყაროს იტევდა და კიდევ  
რამდენ რამეს: ერთდროულად – სიცილს,  
სითბოს, ტკივილს, ცხრამეტამდე თოვას.  
ღამე ისე მეპარება, ვიცი,  
ვგრძნობ, რომ ახლა სულ სხვა ვინმე მოვა  
და თვალებზე ამაფარებს თითებს,  
მომეყრდნობა გაყინული მხრებით.  
მე ვზივარ და უშენობას ვითმენ  
ცარიელი სანაპიროს გვერდით.  
და არ მყოფნის, რაც ცოფები ვყარე,  
სიგიჟესაც ვერ ვაყოლებ ხის ნავს.  
შეიძლება შენც უყურებ მთვარეს  
ანდა სულაც უდარდელად გძინავს.  
მეც ოდესმე გამეხსნება ტვინი,  
რომ სათქმელი ბოთლში არ ეტევა –  
და ანახებს, საყვარელო, ვინ ვის,  
როგორ უნდა სხვისი გამეტება.  
დაასრულებს ზღვა მოქცევას მალე.  
მან წუხელის მთვარეც შეიწირა.  
რაც მე დღემდე უშენობით მავნე –

მავნებს, მაგრამ არა როგორც წინათ.  
ფოთლებს მაყრის ზურგის მხრიდან უხვად  
მხრებზე. ვიღაც ჩამოუყვა კიძეს.  
ალუბლები უნებლიერ სწუხან –  
მეცრამეტე თოვაზე და კიდევ...

●  
ამ ბოლოს ისეთ სიხშირით ვდავობ,  
თითქოს დასტა ვარ – ვწყდები საკარტეს.  
ლექსები რაში მჭირდება, დაო, –  
თუ საყვარელი ქალი დავკარგე.

მაჟორი გესმის, ალბათ, ხობისწყლის,  
მინორიც – ტაძრის თავზე დამყურე.  
ბრონეულისფრად სისხლი მომყივის  
და ოთხყურიანს ვეძებ სამყურებს.

შემიჩნდა გულში ამურ-ისარი,  
მაგრამ ადრეა ფოთლების კუბო.  
ეცადე, მალე ჩამომისწარი,  
თორებ ტკივილთან მუდმივად ვჩერებ...

სახლში, ქუჩაში, საკუთარ თავთან –  
ამ ბოლოს, ისეთ სიხშირით ვდავობ,  
ვერავინ მიხვდა, საჩემო რა თქვან,  
ალბათ, შენ მაინც გამიგებ, დაო.

კარს გაიხურავს მალე მაისი,  
ცივმა დღეებმა სხვა გზით იარონ!  
იქნებ, მოგესწრო პიტის ჩაისთვის,  
სალაპარაკოც იმდენია, რომ...

●  
ღამდება, ჩრდილიც, თავის მხრივ, ზომას  
უმატებს, ჩვენ კი სინათლის წელი  
გვაშორებს, რადგან ურნწუნო თომა  
ვარ და უფლისგან არაფერს ველი.

აქ ჩემნაირებს ყოველდღე კლავენ,  
მზის ჩასვლის დროა, ზღვაც ერწყმის დაისს,  
ღიად გიტოვებ ოთახის კარებს –  
იქნებ, ოდესმე მოხურო მაინც.

●  
ჩამოდგა ვაგონი, ვაგონი სავსეა.  
სავსეა ტყემლების ტოტებზე კვირტებიც,

აპრილის ბოლოა, უდავოდ ასეა  
და მე კვლავ ვერაფერს, ვერაფერს გპირდები;

არც შენ არ მიგზავნი ანიდან ჰოემდე  
ბგერების ნაკრებს და მელნიან ბარათებს.  
მე კი ჩემს ნაწერებს ქარივით მოვედე,  
ქარივით ვლენავ და ქარივით ვალაგებ.

დრო გადის, ვისთვის და ვისას ვინ გაიგებს,  
რომ ჩემთვის შენ გარდა სულყველა უცხოა,  
იმ თავშლებს ვინახავ, სასთუმლად დავიგე,  
მაშინ რომ მოგპარე, მოგპარე უჩუმრად.

მივყვები ქუჩას და ხელი არ გამიშვა,  
თვალები მევსება კოსმიურ ნამტვერით.  
ბიჭი ვარ, რომელიც საძილე აბებს სვამს,  
ლექსებს წერს, გიუია, ათასცანამტერი.

ჩამოდგა ვაგონი, ვაგონი სავსეა.  
სავსეა ტყემლების ტოტებზე კვირტებიც,  
აპრილის ბოლოა, უდავოდ ასეა  
და შენც კვლავ ვერაფერს, ვერაფერს მპირდები.

●  
ნუ მკითხავ, კაცო, როგორა ხარ, ანაც რას შვრები,  
ან ამ ცის ლექსი ბოლოსნინა დაწერე როდის.  
ნუ მეტყვი ესეც გავივლისო, წყენა ბავშვების,  
მთელი დღე თავში უცნაური აზრები მომდის.

საკმარისია, რაც გითხარი, საკმარისია,  
რომ დღეს გადავდე საუბარი და ჭიქა ვისკი  
მომაქვს დავთარზე ჩემებურად, ანუ ნისიად.  
შენთვის ასეა, ხოლო სხვისთვის, ხოლო სხვისთვის კი...

ვიღვიძებ, ვდგები, ვიცვამ, ვიბან, ვნაყრდები დილით.  
ვინ იცის, ასე მერამდენე წელი გავიდა.  
თითქოს რუტინა დამაწყევლეს, ეშმაკის წილი,  
ვნაყრდები, ვიხდი, ვიბან, ვთვლემ და ისევ თავიდან...

●  
შენ ჩამოამტვრევ კარების ყავარს,  
რომ გზები მაინც ნაბიჯებს ითხოვს.  
ვიცი, ნანახი არასდროს გყავარ,  
უცნაურია – გახსოვდე თითქოს.

მოდიხარ ჩემთან და მაინც მხოლოდ  
სხვა რამეს ვატყობ ახლა ლავინებს.  
სამგზაგასაყარ ქუჩაზე ვცხოვრობ,  
ვინ იცის, გული საით გაგინევს.



გზები დაფოთლილი, წვიმის განაფენი,  
სახლში დაბრუნება გიჭირს, ნაილია.  
თოკზე სველდებიან ჭრელი სარაფნები,  
შენი სარაფნები ათასნაირია.  
ხუთავს კედლებს ნესტი, ტვირთად და ლოდებად  
მანევს ულიმლამო ლამის ამინდები.  
შენთვის საუკუნო ვნებით დალოდებას,  
რომ ვთქვათ, რა ხეირი? – თორემ დაგპირდები.



ტანზე აფრებს ნუ გაიხდი,  
ცას ევსება წვიმის სურა.  
ახლა შენთვის არ მცალია,  
ემოციის შტორმში ვცურავ.

ზღვა მოღრუბლულ პლაჟებს წმინდავს,  
მოქცევაა პირატული.  
ბოდიში, რომ სხვასთან მინდა,  
არაფერი პირადული.




ვერ ვიშორებ მიკრობებს და ბაცილებს.  
წელში წყდება ჭადრისქვეშა წისქვილი.  
ქარი მაინც რა მარტივად მაცილებს.  
მაგიდაზე დაცვენილი ფქვილივით.

გული ბოლოს სულყველაფერს აფლავებს.  
ჯერ სადაა, კიდევ მოვა რამდენი,  
არცთუ ისე ბევრი სასაფლაოა,  
არცთუ ისე ბევრი ცრემლის დამდენი.

კივილები დილას სიზმრებს უყურებს,  
სარეველაც გაიშლება მინდვრებად.  
რა ხანია ამდენ სიკვდილს ვუყურებ  
და სიცოცხლე უფრო მეტად მინდება.

ვინ იცის, ეს ქარი საით წამიყვანს,  
ვერ ვიშორებ მიკრობებს და ბაცილებს.  
მერე რა, რომ, მერე რა, რომ სხვა გიყვარის –  
ქარი მაინც ბოლო გზაზე მაცილებს.

დავით ახლოური



●  
მამულო ჩემო,  
ყველამ დაგთმო,  
ყველამ გაგწირა,  
ჩამოგაქციეს,  
არ გაკმარეს  
ასჯერ გაყოფა,  
გაყიდულია  
ქართლის მიწა  
ნაწილ-ნაწილად,  
ფეხზე ჰკიდიათ  
შენი ყოფნა,  
შენი არყოფნა...  
მამულო ჩემო,  
არ ეღირსა  
ამოსვლა შენს მზეს,  
ამ ყრუ სოფელში,  
აღარ ვიცი,  
ვიღას მივმართო...  
ხომ შეძელი და  
წამოდექი  
ათასჯერ ფეხზე,  
უნდა შეძლო და  
ერთხელ კიდევ  
წამოიმართო!

●  
(ციკლიდან „მომენატრა ახალგორი“)

ვერ ვეგუები,  
ვეღარ ვიტან  
უკვე ამ ურდოს,

მათ მბრძანებლობას,  
ხანგრძლივსა თუ  
მოკლევადიანს...  
ისეთი რამე გავაკეთო,  
მინდა, მამულო,  
სხვას კი არადა,  
გაუკვირდეს  
ცოტნე დადიანს!



ერთმანეთს ვეძებთ,  
მგონი, უკვე  
ძალიან გვიან...  
– მე შენ მიყვარდი...  
– მეც მიყვარდი,  
მოწმეა ღმერთი...  
დღეს ჩვენს სიყვარულს  
უპატრონო  
საყდარი ჰქვია,  
რომელსაც  
ქსანზე აშენებდა  
უფალი ჩვენთვის...



გაშიშვლდა ხალხი,  
რაც აცვია,  
იმასაც იხდის,  
რა გითხრა, კიკუ,  
ეს სიშიშვლე,  
ალბათ, არ გსურდა...  
ნულარ გაიხდი,  
ე მაგ გროშებს  
რა თავში იხლი,  
მაგათი ფული,  
რა ხანია,  
გაუფასურდა...  
შესცოდეს, კიკუ,  
შესცოდეს და  
ხვდებიან ვერც კი,  
მუცალის ნაცვლად  
ჩამოტეხეს  
მხარი ალუდას...  
კაცობრიობას ოცდაათიც  
ეყოფა ვერცხლი,  
ქრისტეს ჯვარცმიდან

შეუცვლელი,  
მყარი ვალუტა!



როგორ ვარ?  
– რა ვიცი...  
არც ისე,  
როგორც სურს  
ძმასა და მოყვარეს.  
ყოველდღე  
გზას ვუთმობ  
ნარცისებს,  
რომლებმაც  
ლიმილი მომპარეს.

როგორ ვარ?  
– რა გითხრა...  
ისე რაა...  
ვხედავ, რომ  
დღითი დღე  
ვპინდდები.  
ფიალა  
ბალლამით ივსება,  
შარბათით  
სავსეა ჭიქები...

და მაინც  
ფიალას გამოვცლი,  
ნაწყენი  
არ დამრჩეს  
სუფრა რომ...  
როგორმე  
თუ მიწას  
გამოვცდი,  
კალთაზე გემთხვევი,  
უფალო...

როგორ ვარ?  
– არ ვიცი,  
რა გითხრა...  
ისე რაა –  
გილიმი ამაოდ...  
აღარ მსურს დარჩენა  
აქ დიდხანს, მე ცოდვილს,  
ნუ მიწყენ, მამაო!!!

## ქალი და ღმერთი

ფეხი – მუხლამდე  
და მუხლებს ზემოთ  
ჭირვალი კაბა,  
ცხელი კერტები...  
როგორ გიხდება  
სიშიშვლე, მზეო,  
მწვავ და ბოლომდე  
არ გემეტები...  
ურცხვად ხეთქავენ  
ვენები მაჯას  
(კაცმა ხომ  
თავიც უნდა გაწირო)...  
მეშვიდე არა,  
ის მცნება მტანჯავს,  
ქალს სისხლი როგორ  
გავუნაწილო,

ქალს, რომელშიაც  
ვიპოვე ღმერთი...  
ღმერთი ან იქნება...  
ევას თვალები...  
ახლა სამოთხეც  
ქალია ჩემთვის,  
თავის ღვთიური  
იდუმალებით...

გამახსენდება  
რაღაცა ვალი...  
ადამს ოდითგან  
გველის ვალი აქვს –  
ვფიქრობ და  
ფიქრსაც  
არ მაცდის ქალი...  
შევცოდე,  
ესეც გარდუვალია;  
ჩემი სხეული  
მის სხეულს ერთვის,  
ქუჩას მიჰყება  
ვნების არშია  
და მეშინა,  
არ შემხვდეს ღმერთი,  
ღმერთი, რომელიც  
დღეს ამ ქალშია!

●  
მე რომ მიყვარხარ,  
მგონია, რომ  
უყვარხარ ყველას,  
მთელ სამყაროზე  
ეჭვიანობს  
ახლა ეს გული.  
ვინც სიყვარული  
იწამა და...  
ღმერთს სთხოვა შველა,  
ასე მგონია,  
შენზე იყო  
შეყვარებული...

რა ეშველება,  
ალარ ვიცი,  
უშენოდ ამ ხალხს,  
რა ეშველება  
ამ ქვეყანას –  
შეცვლილს, ვნებიანს...  
ასე მგონია,  
ვერ ამჩნევენ,  
ჩემსავით,  
სხვა ქალს,  
ასე მგონია,  
შენს სიყვარულს  
მეცილებიან...

ჰოდა, ამიტომ  
მიმაჩნიხარ  
სამყაროს ფასად,  
ჰოდა, ამიტომ  
გნებდებიან  
ვნებულს  
გულები...  
მე რომ მიყვარხარ,  
მგონია, რომ  
უყვარხარ სხვასაც,  
ვეჭვიანობ და  
უმიზეზოდ  
გებუზღუნები!..



ნუნუ ქადაგიძე

## ოქროს ფერი რეპეტიცი

ვიღაც ჩია ტანის კაცი ისე სასაცილოდ მიკელანობდა, უნებლიერ მიიქცია მისი ყურადღება. ეს უფრო ხტუნვას ჰგავს, ვიდრე სიარულსო, გაიფიქრა. სკუპ-სკუპით გადადის ფეხიდან ფეხზე, ასე მაინც სად ეჩქარება, ლამის ასფალტზე გაგორდეს...

ჩია ტანის კაცი აფთიაქის წინ შედგა, ჯიბეებში რაღაც მოიძია. ლევანიც იქვე შეჩერდა, გულის წვეთების ყიდვას აპირებდა აფთიაქში. სანამ კარებში შეაბიჯებდა, ერთი წამით მოიხედა, ნეტავი იმ სასეირო ფიგურას როგორი ცხვირ-პირი ამშვენებსო. რაღაც ძალიან ნაცნობი მოეჩვენა, უფრო ყურადღებით დააცერდა: ვინ უნდა იყოს? ღმერთო, გამახსენე...

სანამ ამ ფიქრებში იყო გართული, თვითონ ჩია ტანის კაცმა შესძახა: ყინჭორ, შენ ხარ?

ხმა დაეხმარა, გამაღიზიანებლად გაწვრილებული ფალცეტი. აბა, სხვას ყის ექნებლადა ამისთანა ხმა:

— ცხვირა, შე ძველო.

დიდი ამბით გადაეხვივნენ ერთმანეთს. ლევანი ცდილობდა არ დაერღვია ეთიკის ნორმები, ამ დროს კი ლამის თვალებით შეჭამა თავისი ყოფილი თანაკლასელი: ეეჲ, ირაკლი, ირაკლი. ეს რა დამართია შენს სიფათს! ნი-

კაპი და ცხვირი ისე მიახლოებია ერთმანეთს, ცოტაც და ჩვენსავით ჩაეხვევიან. ადრეც ამჟღავნებდნენ ერთმანეთისკენ დიდ მისწრაფებას, მაგრამ ასეთნაირად? ამის წარმოდგენა მაშინ სად შემეძლო, როცა სასკოლო დაფაზე ცარცით ვხატავდი შენს ცხვირს. ზედ მოთხილამურებს მივახატავდი ხოლმე, ვითომ ტრამპლინი იყო...

ირაკლის მხრიდან საპასუხო ჩაციებული მზერა რომ იგრძნო, უსიამოვნოდ გაიხედა გვერდზე. ნეტავი მე როგორილა ვჩანვარ მის თვალში, ეკალივით გაკენწლა ამ ფიქრმა. რაო, როგორი უნდა ვჩანდე... ზუსტად ისეთივე, რომლის დანახვაც მე თვითონვე აღარ მინდა. რაც კი შემიძლია, თვალს ვარიდებ საკუთარ სახეს. სარკე ისე დგას ჩემს საწოლ ოთახში, შუქის კონა პირდაპირ ხვდება. როცა არ უნდა ჩაიხედო, ერთი ბუნდოვანი ლაქა ჩანს მხოლოდ, მეტი არაფერი. რითი უნდა ჰგავდეს ეს ბუნდოვანი ლანდი შენს ძველ ძმაკაცს, რომელსაც სწორედ შენ შეარქვი მეტასახელად ყინჭორა, მაღალი კისრის გამო... რა უნდა იყოს მათში საერთო, როგორ მიკირდა პატარაობისას, როცა პატარა ბავშვზე იტყოდნენ, ზედგამოჭრილი მამაო, კიდევ უფრო უარესი, თუ ბაბუამისს მიამსგავსებდნენ. ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობდი მათ შორის. ხანში შესული ადამიანები

მაშინ ჩემს თვალში ბუნდოვან ლანდებს ჰგვანდნენ. ხანდახან არც კი მეგონა, ცოცხალი არსებები თუ იყვნენ. დრო გადიოდა, იფანტებოდა ბუნდოვანება. ნელ-ნელა ამოცურდნენ ბურუსიდან, შევძელი მკაფიოდ მათი დანახვა, ახლა კი მე თვითონ ვიქეცი ბუნდოვან ლანდად. გვერდზე მიიხედე, თუ ღმერთი გნამს, ხომ ხედავ, მეც აღარ გიყურებ, მე ისევ იმ ირაკლის შევყურებ, იმ ცხვირა იშკილბაზს. ყველასთვის რაღაც უნდა გეხიმანება, რაღაც უცნაური უნდა გეთქვა.

– იქ ვილაპარაკოთ! – მოესმა ირაკლის განვრილებული ფალცეტი, ისევ იხილა მისი აცაბაცა სიარული; რა სასაცილოდ მიკელანობს, კოჭლობით მაშინაც კოჭლობდა. რა შედარებაა, ხანდახან ვერც კი შეამჩნევდი; ცუდად შეხორცებულ მოტეხილობას აბრალებდა, მაგრამ მთელ კლასში ყველამ ვიცოდით, დამლაგებლის შვილისგან (მეზობლები იყვნენ) რომ დაბადებიდან დაჰყვა ცალი ფეხი მოკლე... რაო, რა თქვა? იქ ვილაპარაკოთ, ახლა მიმეჩქარებაო. თუ არ ვცდები, ბოტანიკური ბალი ახსენა.

ლევნება სცადა, ისევ მოეძებნა ირაკლის ჩია ფიგურა ხალხის ტალღაში, მისი ნასახიც არსად ჩანდა.

თავი დანანებით გადააქნია, ბალებში სიარული შეჯავრდა, რაც ბუნდოვან ლანდს დაუწყო ყურება საკუთარი გამოსახულების ნაცვლად. ქალაქის ქუჩებში სიარული ერჩივნა. ქალაქი თითქმის არ იგრძნობა წლის დროთა ცვალებადობა. ასფალტი და შენობები იერს დიდად არ იცვლიან, მათთან ერთად თითქოს დროც გაჩერებულა. ბუნების წიაღში ყველაფერი სხვანაირადაა, განუწყვეტლივ გეჩხირება თვალში ეს გაუთავებელი წრე-ბრუნვა; ჯერ საპატარძლოებივთ გამოპრანჭული, აყვავებული ხეები, მერე ჩონჩხებივთ გაშიშვლებული ტოტები... ეს ძალიან აღიზიანებდა ლევანს. თვით ქალაქის ქუჩებშიაც კი არიდებდა თვალს საცო-

დავად გახოკილ ხეებს.

ყველაზე უარესი მაინც შემოდგომა იყო: ოქროსფერი ფოთლებით საზეიმოდ შემოსილი ხეები გასასვენებლად გაპატიოსნებულ მიცვალებულს აგონებდნენ. „რა საჭიროა ამდენი ძონი და ოქროსფერი.“ ბრაზინად ბუზღუნებდა და ფეხს გამობიჯებით აბიჯებდა ნაირფერი ფოთლების სურნელოვან ხალიჩას; მაინც არ მოუთმინა გულმა და ბოტანიკურ ბალს მიაშურა მეორე დღეს, ძალიან უნდოდა ირაკლის ნახვა. მონატრებოდა ძველი მეგობარი, მასთან ენის მოქავება, ძველი სასეირო ამბების გახსენება. მერამდენედ უსაყვედურა თავის თავს, მისამართის გამორთმევა როგორ ვერ მოვიფიქრეო. ვიცი, რომ ძველ ბინაში დიდი ხანია აღარ ცხოვრობს, სკოლის დამთავრებისთანავე გადავიდა სადღაც. მთელი ათი წუთი ვილაპარაკეთ და ერთი სიტყვაც აღარ მახსოვს, იმ ბოტანიკური ბალის გარდა, ისე გამაკვირვა მისმა ცხვირპირმა.

ვერც ტელეფონით გააწყო რამე, რომ დაკავშირებოდა ირაკლის და შეხვედრის ადგილი შეეცვალათ. გამუდმებით ვილაც უცნობებს აწყდებოდა, რომლებსაც ირაკლის შესახებ არაფერი გაეგონათ. ერთგან ისიც კი უთხრეს, შარშან ამ დროს გარდაიცვალა. ამის გაგონებაზე ლევანმა ცივად დაღო ყურმილი, იმის გამოკვლევაც არ უცდია, მის ძმაკაცზე იყო ლაპარაკი, თუ ვილაც სხვაზე.

არც ის იცოდა, ბალის რომელ კუთხში დაუნიშნა შეხვედრა ირაკლიმ. ბოტანიკური ბალი დიდია, მისი გულისათვის მთელ ბალს ხომ არ შემოვივლიო, ხვნეშიდა ლევანი და მძიმედ მიაბიჯებდა. თანაც ამ შუა ოქტომბერში მოუნია აქ ამოსვლა, როცა გამოუკლებლად ყველა ფოთოლი წითელ-ყვითლადაა შეფერილი და თავის ძველისძველ მესაფლავეს, შემოდგომის ქარს ელოდებიან თვინიერად; დამარბენინებს აღმაღალმა, თვითონ კი არსად ჩანს. იქნება

გამეხუმრა! ხუმრობა, იცოცხლე, მაგის მოგონილია, რომელი ერთი გავიხსენო. ერთხელ მასოვს, არითმეტიყვის გაკვეთილზე პატარა საანგარიშო მანქანები დაგვირიგეს, ფერად-ფერად ნათურებიანი, ბრჭყვიალა კალკულატორები; ახალი წლის წინა დღეები იყო, ირაკლიმ დიდის ამბით ანია ხელი და მეტისმეტად სერიოზული სახით იყითხა, თუ შეიძლება საახალწლო ნაძვის ხეზე კალკულატორი ჩამოვკიდოთო.

იმ წუთში მართლა სიამოვნებით ჩამოკიდებდა ხეზე ჩვენი მასწავლებელი. ძლივსძლივობით დააწყნარა კლასი და იმ ეშმაკის ფეხმა ისევ აურია. სიცილის მეტი აღარაფერი გაგვიკეთებია გაკვეთილის ბოლომდე. როგორ ჰავას გველს, შეიძლება შეგეშინდეს კიდეც ფეხის დაბიჯება.

გველივით დაგრეხილ ფესვს, აქაოდა არ მეშინიაო, ფეხსაცმლის ჭვინტი დაუდევრად წაჲკრა ლევანმა, ერთი წამით წონასწორობა დაკარგა, ძლივს შეიმაგრა თავი.

დავლლილვარო, გაიფიქრა. მხოლოდ ახლა შეიგრძნო, გულისცემა გახშირებოდა. მიიხედ-მოიხედა, ასე ორმოცდა-ათიოდე ნაბიჯზე ხის მერხი შეამჩნია და მისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. მწვანედ შელებილ მერხზე ოქროსფერი ფოთლები ეფინა, თითქოს საგანგებოდ დაეფინა მისთვის ვიღაცას.

ლევანმა შვებით მოიგალათა მერხზე, თავი უკან გადასწია საზურგეს მიწოდილმა, ირგვლივ ჩამორიგებულ ხეთა კენწეროებს ახედა.

სახტად დარჩა, ოქროსფერი სინათლის ისეთი ჩანჩქერი ჩამოეღვარა თავზე, საიდანლაც თავისთავად ამოტივ-ტივდა „ძოწით საზეიმოდ შემოსილი მიცვალებული“, მაგრამ იქვე შეასწორა: არა, მიცვალებულს აღარ გვნან ეს ხეები, ესენი უფრო სინათლის ქანდაკებებს ჰგვანან, ეს განსაკურებით სწორედ ყველაზე ახლობელი ხის შესახებ ითქმის, პირდაპირ თავზე რომ დამყუ-

რებს. სულ ერთიანად ოქროსფერი სინათლისაგან ნაქსოვი ქანდაკებაა.

ერთი ფოთოლი მაინც ერიოს სხვა ფერის. არც ისე ბევრი უნდა იყოს ასე ერთიანად ოქროსფერი ხეები. უმეტესობას სხვადასხვა ფერები ურევია: მწვანე, ძოწისფერი, ცეცხლისფერი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მოათვალიერა იქაურობა ყურადღებით, ერთიანად გაყვითლებულ ხეებს დაეძებდა. მართლაც აქა-იქ ჩანდა ასეთი ოქროვანი კარვები, მას რომ ადგა თავზე.

ბოლოს ისევ ყველაზე ახლობელ ხეს დაუბრუნდა, ნამდვილ სინათლის ქანდაკებას. თვალი ოქროსფერ ფოთლებს გაუშტერა და უეცრად, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოუვიდა, ორივე ხელი ფართოდ გაშალა და მთელი გულით გაიცინა: ჰა, ჰა, ჰა...

საკუთარმა ხმამ გამოარკვია, ხელები სასწრაფოდ დაუშვა და შეცბუნებულმა მიიხედ-მოიხედა, შემთხვევით ვინმემ ხომ არ დამინახაო.

კაციშვილი არ ჭაჭანებდა ირგვლივ. თუმცა ერთი სულიერი მაინც აღმოჩნდა ამ სასეირო სიცილის მოწმე; ძალი იყო, მისგან ორიოდე ნაბიჯზე იდგა და უცნაურად აბრჭყვიალებული თვალებით მისჩერებოდა. უშნოდ გაბურდენულ ჭუჭყიან ლანდს ჰგავდა ამ ოქროსფერი სინათლის ფონზე.

უსიამოვნოდ შეეჩირა თვალში ეს ჭუჭყიანი მოჩვენება, აქედან დაიკარგეო, გაბრაზებით დაუყვირა. ძალი არც შერხეულა, არც თვალი მოუცილებია მისთვის. ლევანი მერხიდან წამოხტა, ქვას დასწვდა. ძალი ზანტად მიბრუნდა და კოჭლობით წაძუნდულდა. ერთი-ორჯერ კიდევ შეუძახა ლევანმა, დაიკარგეო, ქვაც მიაყოლა და მიბრუნდა, რათა საგანგებოდ მისთვის ოქროსფერი ფოთლებით მოფენილ მერხზე დამჯდარიყო.

დააგვიანა. იქ უკვე დაესწრო ვიღაცას. დაახლოებით მისივე ხნის იქნე-

ბოდა, მანიკიურიანი მოვლილი ხელები მერხის საზურგეზე დაეწყო, ისე მკვიდრად იჯდა, ალბათ კარგა ხანს ალარ ადგებოდა იქიდან. ლევანმა გაპრაზებით აარიდა თვალი და ისევ გაუყვა სურნელოვანი ოქროსფერი ხალიჩით მოფენილ ბილიკს. აზრადაც არ მოსვლია, იმ უცნობს მისჯდომოდა გვერდით. ის ოქროსფერი ფოთლები მისთვის იყო დაფენილი, მხოლოდ მისთვის. სხვას ვერ გაუზიარებდა. ეჭვმაც გაჰკრა გულში, შემთხვევით ეგეც ხომ არ იყო ჩემი სასეირო გატუტუცების მოწმეო.

არგა ხანს მოუნია სიარული, სანამ

ამოვნოდ შეიჭმუხნა ცარიელი ფლაკონის დანახვისას. ჰო, მართლა, სწორედ აფთიაქთან არ შეხვდა ის ეშმაკის ფეხი? გადაავიწყდა წამლის ყიდვა . . . დამშვიდდი, დაისვენე, რა გეჩქარება? – ჩაულაპარაკა საკუთარ გულს, თან ხელისგულით მასაჟს იკეთებდა მკერდზე, – ხომ ხედავ, უწამლოდ დავრჩენილვართ, ფრთხილად.

თავი უკან გადასწია და სცადა სხეული მოედუნებინა. გულისცემა თანდათან შენელდა. ჰო, ასე უფრი მშვიდად. მთავარია, არ ალელდე, არაფრის შეგეშინდეს, ყოველივე რიგზე იქნება. ერთი



ისეთივე ოქროსფრად აბრიალებულ ხეებს მიაგნებდა. მწვანე მერხიც იქვე იდგა, მისთვის საგანგებოდ დაფენილი ოქროსფერი ფოთლებით.

სასწრაფოდ დაეშვა მერხზე. დამჯდარმა მძაფრად შეიგრძნო გაძლიერებული გულისცემა, ყურებიც უწიოდა. მგონი ზედმეტი მომივიდა, არ უნდა მევლო ამდენიო, გაიფიქრა, ჯიბეში ჩაიყო ხელი წამლის ამოსალებად და უსი-

კარგად დავისვენოთ და ამასობაში თუ ის ეშმაკის ფეხი არ გამოჩნდა, ნელ-ნელა გაფუყვეთ შინისკენ.

სე ემუსაიფებოდა საკუთარ გულს, თან სინათლისგან ნაქსოვი ხეების ცქერით ტკბებოდა: მათ ყურებას არაფერი სჯობია, ამხელა ბედნიერება რატომ უნდა მოაკლო საკუთარ თავს რაღაც ახირების გამო. ანი ალარ აარიდებს თვალს ოქროსფერ ხეებს. თვალი უნდა

გაუმაგრო და მერე ალარაფერი მოგეჩვენება საშიში. ოქროსფერი კენწეროები დახატულივით მოჩანს ლურჯი ცის ფონზე, მზის სხივები ოქროს სვეტებად ჩამოშვებულა ხეებს შორის.

ბოლოს მისი ყურადღება ოქროსფერი ფოთლების ცვენამ მიიქცია. სიარულის დროს ამას ვერ ამჩნევდა, ახლა კი, მოსვენებით მჯდარს, თვალში ეცა, თუ როგორი ჰაეროვანი, ნარნარი ფარფატით ეშვებოდნენ ძირს. ნახევრად თვალმილულული, ნეტარებით შეჰყურებდა ფოთლების ცეკვა-ტრიალს, თან ჰკვირვობდა, რა სხვადასხვანაირად ბზრიალებენ ჰაერშით. არც ერთის მოძრაობა არ ჰგავს მეორეს, ერთი ნახე, როგორ მიფრინავს ეს ფოთოლი, რა ზუსტია მისი მოძრაობა. სპირალიდან სპირალზე ინაცვლებს, თითქოს კოსმოსური ხომალდი იყოს, მეორე ნახევარნრეებს ხაზავს, მესამე კი რაღაც რთულ, ამოუცნობ მოძრაობას ასრულებს, ცეკვა-ცეკვით მიფრინავს. ერთიმეორის მიყოლებით წყდებიან სინათლისგან ნაქსოვ ხეებს და მიფრინავენ. სადაც შემთხვევით მოუხდებათ, იქ ეშვებიან, მაგრამ ეს შემთხვევითობა უმშვენიერეს ხალიჩას ქარგავს. რომელი მხატვარი შეძლებს ამ შემთხვევითობაზე უმშვენიერესი სურათის დახატვას?

და საერთოდ, რატომ ყვითლდებიან ფოთლები?

თავის მეხსიერებას დაუწყო ჩხრეკა ლევანმა; თუ არ ვცდები, პატივცემულმა ბოტანიკოსებმა ეს მოვლენა ქლოროფილის დაშლით ასხნეს. მერე მაგ დაშლამ გამახარა ასე უზომოდ? დაცხვენით ახლაც გაეცინა, რა გულიანად გადაიხარხარა. ისე მოულოდნელად დაიძრა ის სიხარული სადღაც სილრმიდან, შეკავება ვერ შეძლო. არ ელოდა. აბა, ისეთი რა იპოვა იმ მერხთან, ასე რომ გახარებოდა. არა, მე მგონი, რაღაც უფრო მეტი, უფრო მნიშვნელოვანი დავინახე, რაც პატივცემულ ბოტანიკოსებს გამორჩათ მხედველობიდან. ყვითელი ფერი კი არა, სინათლე დავი-

ნახე, რაღაც საოცარი ნათელი.

მხოლოდ სიზმარში ვნახე ერთხელ ასეთი სინათლე: მომაკვდავს ვუთევდით ღამეს მე და ჩემი დაი. ერთი წუთით ჩამთვლიმა და მაშინ ვნახე. სინათლე... სინათლე... სხვა დროსაც გახსენებია ლევანს ეს სიზმარი და ყოველთვის ასე ზედიზე იმეორებდა ამ სიტყვას, ამით გამოხატავდა, თუ რა საოცარი სინათლე იხილა მაშინ. ცხადში რომ მენახა, ალბათ დამაბრმავებდა კიდეც. ადამიანი ვერ აღიქვამს განათებას რაღაც გარკვეული ზღვარის შემდეგ; ცარიელ სცენას ეცემოდა ის უსაშველოდ დიდი სინათლის ღვარი... არაფერი არ იძროდა ირგვლივ, მხოლოდ ერთი წერტილი მოძრაობდა სადღაც შორით. ძალი იყო, კოჭლობით მორბოდა. ძალიან ჩქარობდა, ძალიან. თვალის ერთ დახამხამებაში მოირბინა ჩემთან, სულ ახლოს მოვიდა... შევერთი და გამომეღვიძა. ხელი ჩავავლე ჩემს დას, იმასაც ჩასძინებოდა სავარძელში. გავაღვიძე, მომაკვდავისკენ არც გამიხედავს. ისე-დაც ვიცოდი, ის რაღაცა უკვე მოვიდა. დაგწყვევლოს ღმერთმა! გველნაკბენივით ნამოხტა, ისევ ის უშნოდ გაპურდგნილი, კოჭლი ძალლი დაინახა. უჩუმრად ნამოპარვოდა რბილ, ოქროსფერ ხალიჩაზე. ერთი ყვირილით და აურზაურით გამოენთო ლევანი, ოცდაათიოდე ნაბიჯით მისდია. რაც კი ხელში მოჰყვა, გოროხი იქნებოდა თუ მოგეხილი ტოტი, ყველაფერი მიაყარა.

- ღმერთმა დაგწყველოს, რას გადამეკიდე, - უკვე ჩვეული ხმით თქვა და მოტრიალდა მერხისკენ. დაახლოებით შუა გზაზე იქნებოდა, გულის არეში უწევეულო სიმძიმე იგრძნო. დიდი ძალით დაქაჩა ძირს ამ სიმძიმემ. ლევანი შედგა, მიხვდა, მერხამდე მისვლა გაუჭირდებოდა. სინათლისაგან ნაქსოვი ხე იქვე იდგა, ფრთხილად, თითქოს რაღაცას ეპარებოდა, ისე გადადგა ის ორი ნაბიჯი, ნელა ჩამუხლა ოქროსფერ სურნელოვან ხალიჩაზე. არ უნდა

წამოვმხტარიყავი ასე სწრაფად. – საყვედურობდა თავის თავს, – ჩამაცივდა ის საზიზლარი მოჩვენება, სიფრთხილე დამავიწყდა; ახლავე ისევ დავისვენებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

ზურგით ხეს მიეყრდნო, თვალები მილულა და გაყუჩდა. ელოდა, როდის გაუვლიდა ის უსიამოვნო სიმძიმე გულის მხარეს. მაგრამ სიმძიმე არ აპირებდა შემსუბუქებას. ნელნელა ჩამოცოცდა მარცხენა მხარზე, გაუყვა მკლავს და ხელში ქვასავით ჩაუვარდა. ისე მკაფიო იყო ეს შეგრძნება, თითები ცარიელი ხელის გულს შეახო, მაგრამ სიმძიმე შეუპოვრად იდო იქ.

– ნუ აღელდები, მთავარია, არ იღელვო, – დაარიგა საკუთარი თავი ამ უჩვეულო სიმძიმით შეფიქრიანებულმა. – ეს, ალბათ, შიშია, დამიმძიმა კიდურები.

მობილურს დაუწყო ძებნა, ჯიბები მოიჩხრიკა ნელა, აუჩქარებლად. ნომერიც აკრიფა, გულგრილმა ხმამ აუწყა, ანგარიში ამორულიაო.

– რა თქმა უნდა, საგანგაშო არაფერია, – გააგრძელა საკუთარ თავთან მუსაიფი. – მაგრამ თუ ვინმემ გამოიარა, მაინც შევეხმიანები.

ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, რათა მხედველობიდან არ გამორჩენიდა ვინ-მე შეგვიანებული მოსეირნე. ცა უკვე მიმკრთალებულიყო ოქროსფერი კენ-ნეროების მიღმა, ხეებს შორის ალარ-სად ჩანდა მზის სხივების კონები, მაგრამ ირგვლივ ისევ ისე ბრიალებდა ოქ-როსფერი სინათლე. თითქოს მართლა ანათებდნენ ფოთლები. ანდა... რატო-მაც არა. ალბათ, მართლა ანათებენ, უკანვე ასხივებენ იმ სინათლეს, რაც თავის დროზე მიიღეს მზისგან. ყველა ფოთოლში მზე ანთია, ნამდვილი მზე. ბუნებას უკანვე უპრუნებენ მათში ჩასახლებულ მზეებს, იმიტომაც გამახარა მათმა დანახვამ; მზე დავინახე, მათში ჩასახლებული, იმიტომაც ბერდებიან ასე ლამაზად. მათ რომ შეეძლოთ სარ-

კეში ჩახედვა, ალბათ არ აარიდებდნენ თვალს თავიანთ გამოსახულებას, – ნალვლიანად გაელიმა ლევანს ამის წარმოდგენაზე.

ფოთოლცვენასავით ლამაზი სიბერე, ადამიანს რატომ არ უნდა შეეძლოს ასე ლამაზად დაბერება. სად ფოთოლი და სად ადამიანი, მაგრამ ადამიანიც ხომ ლებულობს მზისგან ასეთივე ნათელს. მერე, სადაა ეს ნათელი, რა სახით შეიძლება იჩინოს თვაი. მისი მიგნება რომ შეგვეძლოს, მაშინ ალარ შეგვაშინებდა სიბერის ლანდი; ალბათ ფოთლებმა რაღაც იციან ჩვენზე მეტი, მისი წყალობით ახერხებენ, სინათლე ისევ სინათლედ აქციონ. იმ რაღაცას ადამიანი ვინ იცის, როდის მიწვდება....

რაღაც ცივი შეეხო მარცხენა ხელზე, ნელა მოაბრუნა თავი, „არავითარი მკვეთრი მოძრაობა“ – შეახსენა თავს. ის ჭუჭყიანი გაბურძგნილი ძალი დღუნწით ეხებოდა მის მარცხენა ხელს. „ალბათ კბენას უპირებს და ველარ ახერხებს“, – გაიფიქრა და თვითონვე გაუკვირდა საკუთარი სიმშვიდე. „ყოჩალ! – შეაქო საკუთარი თავი. – არაფერზე არ უნდა აღელდე, შენ ახლა სრული სიმშვიდე გესაჭიროება. სიმშვიდე და დადებითი ემოციები. ყველა და ყველაფერი უნდა გიყვარდეს, მთელი სამყარო, ყველანაირი სულიერი.“

– საცოდავი, თურმე რა დღეში ყოფილა, – თქვა ლევანმა, როცა შეამჩნია, რა მძიმედ და ხიხინით სუნთქავდა ძალლი, მთელი ტანით ცახცახებდა ყოველ ამოსუნთქვაზე. – ბებერი უნდა იყოს; იქნება კვდება, სიკვდილის ეშინია, უნდა, რომ სულიერი არსება იყოს მის გვერდით; არა, აქ რაღაც სხვა ამბავია, ცხოველები განმარტოებით ელოდებიან ალსასრულის საათს. იქნებ პატრონმა გამოაგდო და ახლა მე მიმამსგავსა. რა გქვია? ჰკითხა და პრიალაფრჩხილებიანი ხელი ჭუჭყიან ბენვზე გადაუსვა. – მე ახლა ყველა სულერი მიყვარს, ასეა საჭირო. მარცხენა ხელი გაუნძრევლად ესვენა იმ სიმძიმია-

ნად, – ასე კარგად არასოდეს მიგრძნია თავი. ნეტავი მართლა მაცოდინა შენი სახელი. ერთხელ ჩვენც გვყავდა ძალლი, ჩვენ: მე, დედას, მამას და ჩემს დას, ასე მგონია, უსასრულოდ დიდი ხანია, რაც ამქვეყნად ვცხოვრობ, მაგრამ ეს შემთხვევა მკაფიოდ მახსენდება. თეთრი ფერის იყო და ბროლია დავარქვით. თავზე ვევლებოდით მე და ჩემი დაი, დიდის ამბით ვწვრთნიდით. ჩვენში დარჩეს და, საკმაოდ უნიჭო გამოგვადგა ჩვენი ბროლია. გადაგდებული ჯოხის მოტანასაც კი ვერ მივაჩივეთ. დღეს ისწავლიდა, ხვალ ისევ ავიწყდებოდა, მაგრამ ერთი დიდი ნიჭი მაინც აღმოჩნდა: სიყვარულის ნიჭი. რაღაც სასწაულს ჰგავდა მისი სიყვარული; დაგვინახვდა თუ არა, გაეკვრებოდა მინას. მთელი სხეული უთროთოდა, კუდა აქიცინებდა და მოლოდინით სავსე თვალებს არ მაშორებდა. რა თავდადება, რა უანგარო სიყვარული ჩანდა ამ მზერაში! საკმარისი იყო, ერთი ცალყბად დამეძახა, რომ მაშინვე ორი თავის სიმაღლეზე ამხტარიყო ჰაერში. მომვარდებოდა და თათებით მომებლაუჭებოდა ტანსაცმელზე, იგრიხებოდა, იკვანებოდა.პირდაპირ ალარ იცოდა, რა ექნა, როგორ გამოეხატა ზღვა სიხარული.

– მომშორდი! – ვუყვირებდი. ისიც მაშინვე გამეცლებოდა. ისევ გაეკვრებოდა მინას და მომაჩერდებოდა ნდობით, თავყანისცემით და უსაზღვრო სიყვარულით სავსე თვალებით. ეგ იყო სულ. მეტი არაფერი ეხერხებოდა.

იმსჯელეს ჩვენმა მშობლებმა ბროლიას უვარგისობაზე. განაჩენი მოკლე იყო: თავიდან უნდა მოგვეშორებინა.

მეზობლის ბიჭს, ჯუმბერის დაუძახეს, მე თოკი ჩავაპი ბროლიას და ეზოს გადაღმა, ხევში ჩავიყვანე. ხტუნვა-ხტუნვით, თამაშ-თამაშით მოყვებოდა. იქ ხეზე მივაპი ბროლია. ჩაიმუხლა ჯუმბერმა და თოფი დაუმიზნა. ძალზე მოუსვენრად აწრიალდა ბროლია, ლამის იმ სიმაღლეზე ხტებოდა, რის საშუალებასაც თოკი აძლევდა.

– ასე ვერ დავუმიზნებ. ცოტა ახლოს დაუდექი, იქნება დაწყნარდეს, – მითხრა ჯუმბერიმ

მეც მივედი და უფრო ახლოს, თითქმის გვერდით დავუდექი. შედარებით დაწყნარდა ბროლია, თუმცა მაინც მოუსვენრად წრიალებდა.

დაუმიზნა ჯუმბერმა, ესროლა და მოარტყა. ასე იყო საჭირო, ჩემს მშობლებს არ შეეშლებოდათ არაფერი. არც მე მეშლება. ჩვენ, ყველანი საშინლად ჭკვიანები ვართ, ბროლია, იქნებ მართლა ბროლია გქვია. ბეწვი შენც თეთრი ფერის გექნებოდა ოდესლაც. ჩვენ ყველაფერი ვიცით, ჩვენი ყოვლისმომცველი ჭკუით, ყველაფერი დათვლილი და გამოანგარიშებული გვაქვს; რაკი ერთხელ ვისწავლეთ თვლა, იმის შემდეგ სულ ვითვლით და ვითვლით. ვითვლით ნაბიჯებს, ვითვლით გულისცემას. თუ დაგვჭირდა, ამ ოქროსფერ ფოთლებსაც დავითვლით. მზეები, ყოველ ფოთლში რომ ანათებენ, თავისთვად ცხადია, მხედველობაში არ მიიღება. ის მზეები რომ აღმოგვეჩინა, იქნებ ჩვენში მყოფ მზისთვისაც მიგვეგნო.

ერთი უყურე, განა მართალი არ ვიყავი? ყველა ფოთოლში მზე ანთია, ნამდვილი ჩახჩახა მზე, ოქროსფერი ფოთლები კი არა, თვითონ მზეები მოფრინავენ ჩემსკენ, წყდებიან სინათლისგან ნაქსოვ ხეებს და მოფრინავენ, თანაც რა ლამაზად, რა სხვადასხვანაორად; მზეები ინაცვლებენ სპირალიდან სპირალზე, ნახევარწრეებს აღწერენ, რაღაც რთულ, ამოუცნობ მოძრაობებს ასრულებენ, დასასრული არ უჩანს მათ ცეკვა-თამაშს. ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, შემოდგომის ოქროსფერი ფოთლებივით; რა საოცარია, როგორ ვახერხებ ამდენი მზის ერთად დანახვას; ერთი მზის დანახვასაც ძლიერ უძლებს ადამიანის თვალი.

მხოლოდ სიზმარში ვნახე ერთხელ ასეთი სინათლე.

## უცნობთა ნაცნობობა

– მე ერთხელ ძალიან მაგრად გამი-  
მართლა...

ასეთი სიტყვები ანკესივითაა, აუცი-  
ლებლად მიიპყრობს ყურადღებას. აბა,  
ვინ არ ოცნებობს ასეთ რამეზე? მეც  
ძალაუნებურად მივუგდე ყური. ვიღაც  
ჭალარა მამაკაცი ყვებოდა თავის ამ-  
ბავს, ხის მერხზე ჩამომჯდარი.

– აეროპორტში ვიყავი, საქონელს  
ველოდებოდი. სტიუარდესა მყავდა ერ-  
თი შეგულებული. გამოაცხადეს, რეისი  
იგვიანებსო. მოსაცდელ დარბაზს მივა-  
შურე, იქ მებუფეტესთან მქონდა რა-  
ღაც ანგარიშები გასარკვევი.

აჯობებს, აქაურობას გავეცალო-  
მეთქი, ვიფიქრე, მე თვითონ იმავე  
მერხზე ვიჯექი, განაპირა მხარეს, სრუ-  
ლებით არ მაინტერესებდა ის ჩახლარ-  
თული წვრილმანები, რის მოყოლასაც  
თმაჭალარა კაცი აპირებდა, მაგრამ, ისე  
მოხდა, კარგახანს ვერ დავიძარი იქე-  
დან, სმენადეცეული ვუგდებდი ყურს  
ვიღაც უცნობი კაცის თავგადასავალს.  
აქედანვე ვიტყვი; ახალთახალი ფეხსაც-  
მელები ეცვა, მოწითალო აგურისფერი,  
მაღალი ხარისხი პირდაპირ ყვიროდა ამ  
ფეხსაცმელებში, სხვა მხრივ კი საკმა-  
ოდ აბრანძულ-დაბრანძული გახლდათ  
ამ ჭრელი ამბის მთხობელი:

– ჰოდა, აი, ასე, მივდივარ, მივაპი-  
ჯებ ჩემს გზაზე, კარგად ვიცნობ იქა-  
ურობას, ფიქრი არაფრისა მაქვს. ჩემს  
წინ ვიღაც ახალგაზრდა კაცი მიაპი-  
ჯებდა. ოცდაათ წელს თუ იქნებოდა  
გადაბიჯებული, მეტის არა.

კარგად იყო ჩაცმული, უფრო მე-  
ტიც: ძალიან კარგად; ეს მაშინვე მეცა  
თვალში. ხომ იცით, უპირველეს ყოვ-  
ლისა, ტანსაცმელს ვამჩნევთ ხოლმე.  
მოყვანილობითაც კოხტა იყო, კარგად  
აწყობილი ტანფეხით, არც სიმაღლე  
ჰქონდა, საშუალო სიმაღლის მაინც  
იქნებოდა. ოციოდე ნაბიჯი აშორებდა  
ჩემგან და ასე მივაპიჯებდით. ვხედავ,

ნაბიჯი შეანელა, ჯიბიდან რაღაც ამო-  
ილო, ალბათ, საფულე მეთქი-მაშინვე  
ვივარაუდე. ასედაც აღმოჩნდა, რაღა-  
ცა დაითრია საფულედან, მაგრამ რა,  
ამის დანახვა ვეღარ შევძელი, მე ხომ  
მას ზურგიდან შევყურებდი. ალბათ,  
ფულის რამდენიმე კუპიურა ცალკე გა-  
დადო, გავივლე გულში, ესეც სწორად  
მიფიქრია.

საფულე ისევ ჯიბეში ჩაიდო; უფრო  
სწორად, ეგონა, რომ ჩაიდო, ძირს და-  
უვარდა. ზედ დატანებაზე მეც წამოვე-  
წიე, კინალამ შევეჯახე, ცოტა დამაკ-  
ლდა.

ჭალარამ წამით შეისვენა, გვერ-  
დით მსხდომთ გადახედა. მის გარდა,  
სამი მამაკაცი იჯდა, დაახლოებით ერ-  
თი ხნისანი, სამოცს მიტანებულნი. სი-  
ამოვნებით დააფიქსირა ჭალარამ, ყუ-  
რადლებით რომ უსმენდნენ და ისევ  
განაგრძო:

– არავის შეუმჩნევია ეს ამბავი, ჩემ  
გარდა. ამაში მაშინვე დავრწმუნდი. გე-  
ზად მოვალე თვალი ირგვლივ, არა-  
ვინ იყურებოდა ჩემნსკენ. ფეხი მაშინვე  
დავადგი საფულეს, ამას ვერავინ და-  
მასწრებდა, მე ხომ სულ ახლოს ვიყავი  
მასთან. ავიღე საფულე. ცხადია ჯერ  
ცხვირსახოცი დავაგდე ძირს. ცხვირ-  
სახოცითან ერთად მივაყუჩე ჯიბეში.  
დავინახე, ახალგაზრდა კაცი როგორ  
შევიდა მოსაცდელ დარბაზში, უკან ერ-  
თხელაც არ მოუხედავს, არაფრის ეჭვი  
არ გასჩენია, სახე არ დამინახავს მისი.

კვლავ შეყოვნდა ჭალარა, თითქოს  
რაღაცაზე წამით თვალი შეაჩერაო, მა-  
ლევე გამოერკვა და განაგრძო:

– ალარ შევსულვარ მოსაცდელ  
დარბაზში. საჩქაროდ გავეცალე იქაუ-  
რობას, ტუალეტში ვდურთე თავი. გავ-  
ჩითე საფულე; თვითონაც ერთ რამედ  
ღირდა. ძვირფასი ტყავისა იყო, კოხტა,  
მოხერხებული, როგორც თვით სამო-  
სელი იმ ახალგაზრდა კაცისა. ფულიც  
იდო შიგ, არა უშავდა რა, სრულიად  
საკმარისი იმისთვის, კაცს რომ დროს-

ტარებით გული ეჯერებინა. ფულის გარდა, ლატარიის ბილეთები იდო, ორი ბილეთი.

ჭალარამ კითხვის თვალით გადა- ხედა გვერდით მსხდომთ, ხომ გაიგეთ, რაც ვთქვიო. ჩანს კმაყოფილი დარჩა მათი სახის იერით, უფრო ხალისიანად განაგრძო:

– ჰო, ლატარიის ორი ბილეთი იდო. დიდად არ გამხარებია მათი დანახვა. მე ხომ არ ვიცოდი, მომგებიანი იქნებოდა თუ არა, ასეთი რამეები არასოდეს მიზიდავდა, არ მიყვარდა სასწორზე იღპალის შეგდება, ყოველთვის სა- ეჭვო საქმეა.

ნალდი საქმე მიყვარდა, ფული, სა- ქონელი, ისევ ფული. ერთი ფიქრი ისიც კი გავიფიქრე, ეს საფულე ისევ მის პატრონს ხომ არ დავუპრუნო-მეთქი. ფული არც ისე ბევრია, დიდად ვერ და- სარბდები, ლატარიის ბილეთები კი მე- ტად საეჭვო რამაა, შეიძლება წინასწარ გაყიდული საქმე იყოს. ლატარიის ბი- ლეთებით რომ ჩალიჩობდნენ, კარგად ვიცოდი. ისეთი ბილეთებით, ძვირფას მანქანებს რომ იგებენ. თქვენც გეცო- დინებათ, ალბათ.

– მოიგეს ბილეთებმა? – ჰკითხა ვი- ღაცამ სულსწრაფად. მერხის ირგვლივ ხალხი შეიყარა, მსმენელები შემოგვე- მატნენ.

– ჰო, მოიგეს, – ოდნავი დაყოვნე- ბით თქვა ჭალარამ.

– რა მოიგეს?


– მანქანები.

– როგორ? ორივემ მანქანა მოიგო?

– ჰო, ორივემ, მაგრამ აბა, მაშინ ამის შესახებ რა ვიცოდი. საფულე ისევ ჯიბეში დავმალე, გამოვედი ტუ- ალეტიდან, მოვათვალიერე იქაურო- ბა. აღარსად ჩანდა კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი. ცოტა ხნის მერე თვითმფრინავი აფრინდა; როგორც მე- რე დაგასკვენი, სწორად იმ თვითმფრი- ნავში უნდა მჯდარიყო, საფულის და- კარგვა ჯერ არ ჰქონდა შემჩნეული, მან ხომ წვრილმანი ხარჯებისათვის ფული ცალკე გადადო. საფულის დაკარგვას მაშინ შეამჩნევდა, როცა მასთან დაკავ- შირებული ფაქტის წინაშე დადგებოდა.

– მანქანები გამოიტანე?

– არა, რისი მანქანები. თვითონ ლა- ტარიის ბილეთები გავყიდე, თითოეული სამმაგ ფასში. არც ისე ცოტანი არიან,



ვისაც ასეთი შენილბვა ურჩევნია.

ეს საუბარი მოწყალების სახლის ეზოში შედგა. იქ, სადაც უფასო საკვებს არიგებენ. ამბის მთხრობელიც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ხსენებული სახლის მუშტარი, ისე, როგორც სხვები, ამ საინტერესო ამბის მოსასმენად შემოჯარულები.

თანაც ზუსტად ამ დროს, მოხდა რაღაც ისეთი, რაც წინ წაუძღვა შემდგომ მოვლენებს; ვიღაცამ, იქაურობის ხშირმა სტუმარმა, ყურში ჩამილაპარაკა შემდეგი სიტყვები, ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ:

- ერთი შეხედე, შეხედე, რა დღეშია ეს უბედური. მოწყალების სახლში დადის, დღეს არ აცდენს, ალბათ, სული შიმშილით ამოხდებოდა, აქაურობის-თვის რომ არ მოეგნო. ერთ დროს კი, ჰაი, რას გრიალებდა, ბზესავით ჰქონდა ფული.

შევხედე ამ სიტყვების მთქმელს, ვიღაც უცნობი შემრჩა ხელში. ის კი ჭალარას არ აშორებდა თვალს, ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ისე მითხრა დამატებით ორიოდე სიტყვა:

- ერთი პერიოდი მანც ძალიან აინ-ყვიტა, ჰალსტუხივით იცვლიდა ქალებს და მანქანებს, ახლა კი ნახე.

მეორე უცნობმა თქვა თავისი სათქმელი, მიტრიალდა და თავისი გზით წავიდა ქირქილით. მართალი გითხრათ, დიდად არ გამკვირვებია მისი საქციელი. უყვართ ზოგზოგებს სრულიად უცნობებისთვის რაიმეს გაზიარება. გულს დაცლიან ხოლმე რაიმე ტვირ-თისგან. ნაცნობებს ერიდებიან საა-მისოდ. სხვა დროსაც მქონია მსგავსი შემთხვევა; ვიღაც ქალმა მკლავში ხელი ჩამავლო, ავადმყოფ კაცზე მიმითითა, ძლივს რომ მიჩანჩალებდა ქუჩაში. აშ-კარად ეტყობოდა, პარეზით იყო შეპყობილი.

- ვაიმე, ამას რას ვხედავო! რომ იცოდე, ერთ დროს რა ვაჟკაცი იყო, რა ვაჟკაცი, – მოთქვამდა ქალი და მკლავ-

ზე ხელს მიჭერდა, თუმცა, თვითონ ამას ვერც კი გრძნობდა, მეტისმეტად იყო ალელვებული. ალბათ ოდესლაც უყვარდა ის კაცი, ჰოდა, განცდები ვე-ლარ დამალა და პირველსავე შემხვედრს გაუზიარა როდესაც ასე გასაცოდავე-ბული იხილა თავისი დიდი სიყვარულის საგანი.

მოწყალების სახლის ეზოში, რაღაც თქმა უნდა, ბევრად მარტივად იყო საქმე. გრძნობების აფეთქებასთან არ გვქონია შეხება. ვიღაცამ გული დაცალა ძველი ტვირთისაგან, წიხლი ჩააზილა ისედაც დაცემულს და მიწაზე გართხმულს. აბა, ასეთ სიმოვნებას როგორ დაიკლებდა.

ერთი ის იყო გასაკვირი, დაბარებულივით რომ გამომეცხადა, რათა თმაჭალარა კაცის სიტყვები დაედასტურებინა, ანუ, მეორეს აგურისფერფეხსაცმლიანის, – მას უკვე ასე ვუწოდებ აქედან, ლამის ქადაგად დაცემულს მოწყალების სახლის ეზოში, სადაც ხის მერხები ჩამოურიგებინათ მისი მსგავსი ბოგანო ხალხისათვის. ძველი, მძიმე ტვირთისაგან გულის დამცლელს მეორე უცნობის ადგილი ერგო, აკი, სულ პირველად ის შემეხმიანა. მესამე უცნობიც გამოჩნდება, თავის დროს ელოდება.

- ყოველთვის ამ დღეში კი არ ვიყავი, ახლა რომ მხედავთ, – ამბობდა მეორე უცნობი. – იყო დრო, სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი. ფულის მუღლამი ვიცოდი. ხომ იცით, ამ ქვეყნად ფულია ყველაფერი. ადვილად წინ ვერავინ გადამირჩნდა. სანამ ვინმე რაიმეს მოიფიქრებდა, მე უკვე გადაფიქრებული მქონდა. ჰო, ასე იყო, ნალდად არაფერი მიჭირდა, როდესაც ის საფულე ვიპოვე. ფულს ფული მიემატა, მეც ფრთები უფრო ფართოდ გავშალე უწინდელთან შედარებით.

- დიდმა ფულმა თვალის აჭრელება იცის, – ჩაილაპარაკა ხელჯოხიანმა მო-

ხუცმა. უშუალოდ მთხრობელის გვერდით მჯდომ მოხუცს ხელჯოხი ეპყრა ხელთ, საკმაოდ მოცვეტილი, თუმცალა კარგად შენახული, ჩუქურთმებით შემკული;

- თანაც ოლდად მოსულმა ფულმა,
- ხმა შეანია მეორე მოხუცმა, მესამე უხმოდ დაიქნია თავი.

– ხომ გითხარით, ფულის ხამი არ ვყოფილვარ-მეთქი, – ფიცხად შეესიტყვა აგურისფერფეხსაცმლიანი. ჩანდა, მისთვის მტკივნეულ საკითხს შეეხნენ.

– საფულის პოვნა ნამდვილად დიდი შენაძენი იყო, მაგრამ თავგზა არ დაუბნევია ჩემთვის.

საქმეს ძველებურად მივყვებოდი. ერთი ის იყო, ფსონები გავზარდე, თუმცა არაფერი გადამიმღაშებია. ყოველთვის სიფრთხილეს ვამჯობინებდი. ამითი ვიყავი ცნობილი, ისეთი არაფერი გამიკეთებია, რაც უცხო ხილივით იქნებოდა. არ მითამაშია, არ წამიგია კარტში, არც ვინმე ქალს გადავკიდებივარ, ქონება მასზე არ გადამიგია. ქალებს ჩემს ცხოვრებაში თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, იქედან ერთი ნაბიჯის გადმოდგმის ნებასაც არ ვაძლევდი რომელიმეს.

წამით იყუჩა უცნობმა და აი, ეს ფეხსაცმელებიც სწორედ იმ დროიდან შემომრჩაო, – თქვა და თავის ფეხსაცმელებს დახედა, მოწითალო აგურისფრად რომ გაუდიოდა ლაპლაპი, მართლაც საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი. – ძვირფასი ტყავისაა, რომ იცოდეთ, ერთი გავისინჯე და აღარც ჩამიცვამს, მაშინვე გვერდზე მივყარე. რატომ, თუ იცით? იმიტომ რომ არ მოუხდა იმ სამოსელს, რაც იმ წამისთვის მეცვა. არაფერი მქონდა მაგის შესაფერისი. როგორც ხედავთ, მეტად მკვეთრი ფერისაა, რაღაცას თხოულობდა შესაფერისს, ჰალსტუხს ან სხვა რაიმეს. მერე მიმავინყდა, სრულებით აღარ გამხსენებია მაგის არსებობა. ეჭ, მაგისთანების მეტი რა მქონდა. სწორედ ამ დილით ვიპოვე ისეთ ადგილას, ვერც

კი წარმოვიდგენდი, ერთი გაფიქრება ვიფიქრე, ხომ არ გავყიდო-მეთქი, ძვირფასი ტყავისაა, მუშტარს ადვილად ვიშოვიდი, მაგრამ არა, ისევ მეჩავიცმევ, მაგის დედაც ვატირე.

– ამ დღეში რამ ჩაგაგდო? – ლამის ერთხმად ჰყითხეს გვერდით მსხდომებმა.

– მეც არ ვიცი. დღემდე ვერ გამიგია, რა მოხდა, რა დატრიალდა ჩემს თავზე. ცდა ნამდვილად არ დამიკლია. ბევრი ვიწვალე, ვირბინე. თქვენც ხომ იცით, როგორ ხდება, კიდევ ცოტაც და, აი, ახლა გამიმართლებს, ეძებ, ცდილობ, ვის აღარ აწუხებ, არა და არ გიმართლებს, ყველაფერი ხელიდან გისხლტება გასაპნულივით. ერთი რომ დაიწყო, წავიდა და წავიდა, ვეღარაფრით შევაჩერე.

– ძნელია უკულმა დატრიალებული ჩარხის შემობრუნება, – ფიქრიანად ჩაილაპარაკა ხელჯოხიანმა მოხუცმა.

– თუ შეუძლებელი არაა, – გააგრძელა მეორემ, მესამემ დაუდასტურა, ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდებაო.

– როგორც ჩანს, წამდვილად ასეა, რაც მე ვიწვალე და ვირბინე, რაღა არ ვცადე, ყველგან ხელი მომეცარა.

– ცოდვა დაგიდვია თავზე, ამიტომაც ჩავარდი ამ დღეში, – თქვა ვიღაცამ ირგვლივ შემოჯარულთაგან.

– კარგი ერთი, რომელ ცოდვაზე ლაპარაკობ. იპოვა, ხომ არ წაურთმევია ვინმესთვის, – იმას კიდევ სხვა ვიღაცა გამოეპასუხა; კითხვა-პასუხი გაიმართა ირგვლივ შემოჯარულ ხალხში, ერთმანეთს უაზიარებდნენ შთაბეჭდოლებებს, ჩემთვის უცნობ თმაჭალარა კაცს აღარც კი უყურებდნენ.

– იპოვა და არ გაამხილა, – კაცი ხომ არ მოუკლავს; ვიცნობ ზოგ ზოგებს, სისხლის ტბა რომ დააყენეს. ყელი გამოსჭრეს სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, მერე რა, ვერ ცხოვრობენ? ფულში ბანაობენ, ხახვივით შერჩათ ყველაფერი. რაღა ამას მოეკითხა ცოდვა.

- ერთი ბილეთი მაინც მიეცა.
- ჰო, ერთი ბილეთი მაინც მიეცა; ჯუნგლის კანონია, თუ ნანადირევს წა-ართმევ შენზე სუსტს და ულონოს, თა-ვი და კუდი დაუტოვეო.
- ჰო, მართლა, რაიმე საბუთისნაი-რი თუ იდო საფულეში? - გაახსენდა ვილაცას.
- არანაირი, - იყო პასუხი.
- ჰოდა, ვერც მოახერხებდა ერთი ბილეთის მიცემას, თან სარისკოც იქნე-ბოდა, შეიძლება თავი გაეცა.
- მე თუ მკითხავთ, საფულის დაბ-რუნება სჯობდა ყველაფერს.
- ამ შემთხვევაში მართლაც ასეა, ვერაფერი არგო იმ საფულემ.
- საუკუნო ძმას შეიძნდა, ღვიძლ ძმაზე უკეთესს.
- მართალს ამბობ, რაღას არ გააკე-თებდა მისთვის, ვინ იცის.
- ჰოდა, იქნებ აღარ ჩავარდნილიყო ამ დღეში.
- თუ ბედად ენერა, სულ ერთია, მა-ინც ვერ აიცდენდა.
- უცბად ისეთი შეუვალი ხმა გაისმა, ყველა თავისკენ მიახედა, ეს იყო კრია-ლოსანით ალჭურვილი ქალბატონი.
- ტაძრისთვის უნდა შეეწირა ნაპოვ-ნი საფულე, მხოლოდ მაშინ აიცდენდა ამ დღეში ჩავარდნას.
- ამან კითხვა-პასუხის ახალი ტალღა გამოიწვია.
- „მაგითი ვითომ რა?“ - ამბობდა ერთი. - „დამკარგავს რაიმე შეემატე-ბოდა?“ - „- მპოვნელი ცოდვას მოიხ-სნიდა თავიდან“, - „კი, მაგრამ ღმერ-თი ვინმე მექრთამე ჩინოვნიკი ხომ არ არის, საქმე რომ ჩააწყო“.
- ძალიან გაფიცხდნენ ყველანი, რო-გორც ჩანს, უზენაესი მსაჯულის თე-მა ყველას აწუხებდა; ალბათ, არავინ დარჩენილა ისეთი, თავისი აზრი რომ არ გამოეთქვა.
- საუბარმა კინალამ სხვა მიმართულე-ბა მიიღო (კრიალოსანით ალჭურვილი ქალბატონის დიდი წვლილი იყო ამა-ში), ხელჯოხიანმა მოხუცმა დააბრუნა ძველ კალაპოტში. კარგა ხანს ჩუმად მყოფი კვლავ გამოელაპარაკა თმაჭა-ლარას, რიგით მეორე უცნობს:
- როგორც ჩანს, უბრალო დამთხვე-ვა იყო საფულის პოვნა და შენი და-ღუპვა.
- ჰო, მეც ასე მგონია, რაც მეწერა, ის მოხდა.
- დანარჩენებიც მიჩუმდნენ, გაახსენ-დათ საფულის მპოვნელის არსებობა, კვლავ მისკენ შებრუნდნენ.
- ფრთხი უფრო ფართოდ გაგაშ-ლევინა ერთ ხანს, ეს იყო სულ, არავი-თარი კვალი არ დაუტოვებია. ამ დროს კი ვინ იცის, დამკარგავს როგორ და-აკლდა.
- აბა, რა გითხრათ. ისეთს არ ჰეგვ-და, ერთი დარტყმა რომ მიწასთან გა-ასწორებს.
- მაგას ნუ იტყვი, - შეეკამათა ვი-ღაცა წვერგაბურძვნილი. - გააჩნია, როგორ შეხვდები დარტყმას. შეიძლება უმძიმეს მახეს დაუძვრე უვნებლად, შე-იძლება თან გადაჰყვე უბრალო წაბორ-ძიკებას.
- ამ მოსაზრებას ყველა ერთსულოვ-ნად დაეთანხმა, მათ შორის ხელჯოხია-ნი მოხუციც, თან ერთგვარად შეაჯამა მოსმენილი.
- რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, საბოლოოდ მაინც გაურკვეველი რჩე-ბა საკითხი, ვერაფერს გაარკვევ, ვერც დაზუსტებ. საფულის მპოვნელს ვხე-დავთ. ვიცით, რა მდგომარეობაშია, დამკარგავის შესახებ არაფერი ვიცით. მპოვნელმა ნალვლიანად ჩაიქნია თავი.
- ჰო, არაფერი ვიცით. ნეტავი სად არის, რას აკეთებს ახლა, ცოცხალი თუა.
- თავი ჩამოიხრჩო!
- თოფის გასროლის მსგავსი ეფექტი მოახდინა ამ ორმა სიტყვამ. თუმცალა, სრულიად მშვიდი ხმით იყო ნარმოთ-ქმული. ვიღაც ერთმა იმთგანმა თქვა, მოწყალების სახლის ხშირმა სტუმარმა,

მოცვეთილი სამოსით, უპოვრის აბგით და ა. შ. ჩანს, მოგვიანებით შემოემატა იქაურობას, საკითხის არსშიც გარკვევა მოასწრო და მხოლოდ ამის მერე ჩაერია საუბარში. სწორედ ეს გახლდათ მესამე უცნობი, პირველ ორს რომ მიემატა. მაინც რა უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს მათი გამოცხადება, თუმცა, რა აღარ ხდება ამქვეყნად.

ორიოდე წამით ყველა დადუმდა, დრო დასჭირდათ მოსმენილის გააზრებისთვის. „უი, რას ამბობთ, საცოდავი“. აქა-იქ წაილაპარაკეს ზოგზოგებმა.

ყველაზე პირველად ისევ საფულის ილბლიანი მპოვნელი გამოერკვა, ირგვლივ შემოჯარულ ადამიანებში თვალებით მოძებნა იმ ფატალური სიტყვების მთექმელი.

– მას თუ იცნობდით?

– ვიცნობდი.

– როგორი სახე ჰქონდა? მე ხომ მისი სახე არ დამინახავს, – ერთგვარი დამორცხვებით დაუმატა.

– აბა, როგორ გითხრათ, საკმაოდ სანდომიანი სახე ჰქონდა, ცოცხალი, მეტყველი თვალები.

– მეც ასე ვიფიქრე.

– კოხტად ჩაცმა-დახურვა უყვარდა, დიდ ყურადღებას აქცევდა საკუთარ გარეგნობას. საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

– ეს ზურგიდანაც ეტყობოდა.

– მოიცა ერთი, თუ ღმერთი გნამს, რა დროს სახეა, – ჩაერია ხელჯოხიანი მოხუცი. – ამბობ, თავი ჩამოიხრჩო, ნამდვილად იცი? – მესამე უცნობს მიმართა მან.

– ნამდვილად.

– თვითონ ნახე?

– არა, მე არ მინახავს.

– აბა, საიდან იცი?

– ვიცნობდი ჩამოიხრჩობილს.

ხელჯოხიანმა ყურადღებით აათვალიერ-ჩათვალიერა მესამე უცნობი, წამით იყუჩა და კვლავ გააგრძელა გამოკითხვა:

– ნათესავი ხომ არ იყო შენი?

– არა, თანაკლასელები ვიყავით, თანაც მეზობლები. ქუჩის ერთ მხარეს ის ცხოვრობდა, მეორე მხარეს – მე. ჩვენი ოჯახებიც იცნობდნენ ერთმანეთს.

– ვინ ნახა ჩამოხრჩობილი?

– სასტუმროს დამლაგებელმა, სასტუმროს ნომერში ჩამოიხრჩო თავი, აქედან შორს.

მესამე უცნობმა უცხო ქალაქი დაასახელა, რომელსაც აქ არ მოვიყვანთ, არაფრად გვჭირდება.

– რისთვის ჩამოიხრჩო თავი?

– ლატარიის ბილეთების დაკარგვის გამო.

– წერილი თუ დატოვა, ან კედელზე მინაჩხაპნი?

– დატოვა.

– რა ეწერა?

– სიცოცხლე მომბეზრდაო, წერდა. ოჯახს ეთხოვებოდა, პატივებას თხოვდა.

– ლატარიის ბილეთები თუ იყო ნახსენები?

– არა, არ ყოფილა.

– აბა, საიდან იცი, რომ მაინცდამა-ინც ლატარიის ბილეთების გამო ჩამოიხრჩო თავი?

– დროში ზუსტად ემთხვევა. აეროპორტში საფულე დაკარგა, ჩავიდა დანიშნულების ადგილას, დადგა ფაქტის წინაშე, გამოსავალი ველარ მოძებნა.

– ეს არაფერს ამტკიცებს.

– თანაც, ხომ გითხარით, ოჯახებიც კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. გავიგეთ, რაც მოხდა, სხვადასხვა წყაროებიდან.

– იქნებ ჩამოახრჩეს, შუბლზე იარალი დაადეს, წერილი ამ გზით დააწერინეს.

– ასეთი ეჭვი თავიდანვე გაჩნდა, მაგრამ რაღას გავაწყობდით. უცხო ქალაქში, სასტუმროს ნომერში. მეტის-მეტად ძნელი საქმე იყო. ოჯახს მაგის თავი არ ჰქონდა.

– ერთი სიტყვით, ოჯახს ასეთი ვერ-სია მიაწოდეს, – თქვა ხელჯოხიანმა

მოხუცმა. – მის მიღმა კი საქმე აღარ წასულა.

– ასე იყო, – თავი დაუქნია მესა-მე უცნობმა, რაღაც კი სცადეს, მაგრამ არაფერო გამოვიდა.

ნელ-ნელა სხვებიც ჩაერივნენ საუბარში, პირველმა გაოგნებამ გადაუარათ. უწინარეს ყოვლისა, გაოცება გამოითქვა, ეს რა უცნაური შეხვედრის მოწმენი გავხდითო, ასეთ რამეს ყოველდღე ნამდვილად ვერ ნახავო, მერე ისევ ახლახანს მოსმენილ ამბავს მიუბრუნდნენ. გაცვეთილბერეტიანმა და თვითონაც ბერეტივით მრგვალმა ქალბატონმა თქვა, თავი არ უნდა დაეზოგათ, მაგ საქმეს ბოლომდე უნდა მოყოლოდნენ.

სხვები თავს დაეჭვებით აქნევდნენ; უცხო ქალაქში, სასტუმროს ნომერში. მეტისმეტად საძნელო საქმეა. გაცხარებით მსჯელობდნენ, ყველა თავის აზრს იცავდა. მეც ყურადღებით ვუსმენდი მათ, თან ჩემთვის ნაცნობ-უცნობებს, საფულის მპოვნელს და ჩამოხრიობის ძმაკაცს ვუთვალთვალებდი. რაც შეეხება მესამე უცნობს, ფატალური სიტყვების წარმომთქმელს, მან, ეტყობა, ბევრად ადრე დატოვა იქაურობა. ყოველ შემთხვევაში, მისი ალი-კვალი არსად ჩანდა. დრო გადიოდა, ნელ-ნელა ბინდი წვებოდა მომცრო ბალში, სადაც ხის მერხები ჩამოერიგებინათ. კვლავ შეუნელებლად გრძელდებოდა გაცხარებული სჯა-ბაასი. რა ვიცი, რა აღარ თქვეს, რა აღარ გაიხსენეს, ასე ვიზამდი, ისე ვიზამდი, ფულს ამ გზას ვუჩვენებდი, ლატარიის ბილეთებს იმ გზას. საზღვარი აღარ უჩანდა ნაირნაირ ვარიანტებს. როდესაც იმდღევანდებლი ამბავი მახსენდება, ასე მგონია, ისევ ისე გაცხარებით მსჯელობენ, საფულის პოვნის მართლაცდა თავისებურმა ამბავმა (საფულისა, სა-დაც ფულის გარდა ლატარიის ორი ბი-

ლეთი იდო), მეტისმეტად გააცხოველა იქ მყოფთა წარმოსახვა. მოწყალების სახლის სტუმრებმა საკუთარი სიზმარი იხილეს ცხადად, აბა ვინ არ ხედავს სიზმარად, თითქოსდა ფულით გატენილ კეისებს პოულობდნენ, ანდა მომგებიან ლატარიის ბილეთებს. ვერა და ვერ დამშვიდებულიყვნენ, თუმცა, ერთი პატარა შემთხვევის გადმოცემა მგონი მაინც ღირს. ვიღაც მოლეულმა ქალბატონმა, განგებას მამაკაცის ხმით რომ დაეჯილდოვებინა (საოცარი იყო, მაინც სად იტევდა ამ ხმას), ასეთი რამ უთხრა აგურისფეროფეხსაცმლიანს: შენ მის სახეს მაშინ ნახავ (ცხადია, საფულის დამკარგავი ჰყავდა მხედველობაში), როდესაც ღმერთთან მიხვალო.

უცნობმა, საფულის ილბლიანმა მპოვნელმა, პასუხი დაუგვიანა, მის ნაცვლად ვიღაც შეეხმიანა ირგვლივ შემოჯარულ მსმენელთაგან:

– როცა ღმერთთან მივა, ღმერთის სახეს ნახავს.

– ჰოდა, ისიც იქ იქნება.

ამ სიტყვებს წამიერი სიჩუმე მოჰყვა, მერე ისევ ალაპარაკდნენ. მე მათ ყურს აღარ ვუგდებდი, თავს ძალიან უცნაურად ვგრძნობდი. ჩემმა ნაცნობმა უცნობებმა (მე ვიცნობდი მათ, ჩემზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდათ) რებუსის მსგავსი ხლართი აღწერეს ჩემს ირგვლივ, თავისდაუნებურად ასე გამოუვიდათ. მეჩვენებოდა, თითქოს ძალიან ფართო სტადიონზე დავაბიჯებდი, რომელზეც ამოუცნობი რამ იყო დახატული და მის დანახვას ვერ ვახერხებდი.

იმდღევანდელი ჩემი ბოლო შთაბეჭდილება საფულის ილბლიანი (თუ უილბლო) მპოვნელის სიტყვები იყო (ჯერ ისევ იმ მერხზე იჯდა, როცა დავტოვე იქაურობა), თავჩაღუნულმა ჩაიღაპარაკა თავისთვის მოწითალო აგურისფერ ფეხსაცმელებზე თვალმიციებულმა:

– სახე არ დამინახავს მისი...



გივი ქობულაშვილი

## ანტიკური ხანის ფილოსოფოსები

მაღლე სკოლასაც დაგამთავრებდი, თავპირისმტვრევით რომ გავვარდი ახალგაზრდობის სასახლეში რომელიმე სექციაში ჩასაწერად. სულერთია რომელში, ოღონდ ფიზიკის სექციასთან ტერიტორიულად რაც შეიძლება ახლოს უნდა ყოფილიყო. ოთახები თუ სულაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ იქნებოდა, ხომ კიდევ უფრო უკეთესი. ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

გამიმართლა. თითქოს იქ, ჩემ გარდა, სხვა საზრუნავი არა ჰქონიათ. ფიზიკის სექციის ოთახის ერთი და მეორე მხრიდანაც ორი სხვაც იყო – ისტორიისა და ალპინიზმისა. ბევრი არ მიფიქრია. საკმარისი იყო წარმომედგინა კავკასიონის ლამაზი მწვერვალები, რომ არჩევანი თავისთვად გაკეთებულიყო.

არ მოველოდი, ასე კარგად და პირზე ღიმილით თუ შემსვდებოდნენ. „რატომაც არა, მიგიღებთ“, – მითხრა ალპინიზმის სექციის ხელმძღვანელმა. შეგიძლია ამხანაგად კიდევ ერთი მსურველიც მოიყვანო. სწორედ ამ დღეებში გვექნება მიღება.

საქმეს, მგონია, საჩემო პირი უჩანდა. ვხედავდი, ვიღაცა ზურგჩანთას

იზომებდა. ეგ მე ვიყავი. ჰორიზონტზე უკვე დათოვლილი უშბაც გამოჩნდა. ჩემთვის თავს ინახავდა.

„ოღონდ კონკურსით“, – დაუმატა ბოლოს ხელმძღვანელმა. ფუნიკულიორზე შეჯიბრებას ვაწყობთ. პირველ ათეულში ვინც შევა, ჩაირიცხებაო.

ამითი კი მაინცადამაინც აღფრთოვანებული არ დავრჩენილვარ. რომ ნახა, ფერი წამივიდა, ხელმძღვანელს გაეცინა. მერე დამამშვიდა: ძნელი არაფერია, ტყის ბუჩქებში გადამალული წერილი უნდა იპოვო. კომპასი გექნება. იმ ადგილის აღწერილობაც გეცოდინება. კარავი უნდა გაშალო, ცეცხლი დაანთო და წყალი აადულო. ეგ არის და ეგ.

უშბისაკენ მიმავალმა ბილიკმა სადღაც სხვა მხარეს გაუხვია. ჩემს ზურგჩანთასაც ვიღაცეები მიარბენინებდნენ. წამოვედი ყურებჩამოყრილი.

სოსოს გავენდე. ახლა სოსომ მორთო სიცილი. მაგაზე ადვილი რა არისო, მითხრა. ჩათვალე, რომ ათეულში კი არა, პირველ ადგილზე ხარ. მამაჩემი ალპურ კლუბში მუშაობს და სულ ლაშერობებში მატარებს. მე წამოგყვები. მაგეებში აკადემია მაქვს დამთავრებულიო.

ცოტა წელში გავიმართე. საქმე

თითქოს არც ისე ცუდად უნდა ყოფილიყო. ბილიკმა ისევ უშბისაკენ გამოუხვია. მგონია, ზურგჩანთის უკან დაპრუნებასაც აპირებდნენ.

შეჯიბრება დაიწყო თუ არა, წერილის ძებნას მაშინვე შევუდექით. ერთი წუთი დროის დაკარგვა არ გვინდოდა. პირველ რიგში კომპასი მოვიმარჯვეთ.

აქ აღმოჩნდა, რომ კომპასთან სოსოს საქმე საერთოდ არა ჰქონია. არა უშავს, წარბიც არ შეუხრია. გავერკვევით, ეგეთები გამორკვევიაო.

მაგრამ აბა, ვინ იფიქრებდა, რომ გეოგრაფიის გაკეთილებზე ჩადენილი ცოდვები აქ მოგვაკითხავდნენ. კომპასში მართლაც ადვილად გავერკვეით. არ გაგვჭირვებია, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთმანეთში აგვერია. ვეღარ გავიგეთ რომელი რა იყო.

თითქე კერნა აღარაფერს გვიშველიდა. აღარც სოსოს გაუტეხია გული. კომპასი საერთოდ არცაა საჭიროო, – თქვა. ისედაც ვიპოვით. მთავარია, რომ ადგილის აღწერილობა ხელში გვაქვს. მივყევით და ყველა საეჭვო ბურქნარს თანმიმდევრულად და გულდასმით შემოწმება დაგუწყეთ. ალბათ, რასაც ვეძებდით, მალე კიდევაც უნდა გვეპოვნა.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

სად იყო და სად არა, ეხლა ეგ სულაც რომ არ გვჭირდებოდა, ნისლმა დაიწყო გაჩენა. მალე ისე ჩამოწვა, ორ ნაბიჯზე ბურქს კი არა, ხეს ვეღარ გაარჩევდი. ძებნის გაგრძელებამ, ისიც უკომპასოდ, ყოველგვარი აზრი დაკარგა.

საქმე შავად იყო. ზურჩანთა ხომ დავკარგე და დავკარგე, უშბაც ნისლში გამქრალიყო.

ამას კი სოსო არ მოელოდა. შეცბა. ალბათ, სულ დაყრიდა ფარ-ხმალს, თავისი ავტორიტეტის დაცემას რომ არ მორიდებოდა.

ცოტა ხნის მერე თავს მაინც მოერია და ვითომც აქ არაფერიაო, თავის თავში დარწმუნებული ადამიანის ტონით

განაცხადა: ნუ გეშინია, მე ძალის ყნოსვა მაქვს, მაინც ვიპოვნითო.

არ შეიძლებოდა ეს გმირული გამოსვლა არ დაგეფასებინა. ხასიათის კიდევ უფრო მეტად გაფუჭება აღარ დავუწყე. რაც შეიძლებოდა გულდაშვიდებულად კვერი დავუკარი. ვითომც არ მცოდნებია, საოცრებები მხოლოდ ზღაპრებში რომ ხდება, მაგრამ საოცრება მოხდა:

სხვები კომპასით აქეთ-იქით რომ დაბორიალობდნენ, იმ განსაკუთრებული ყნოსვის თუ სულაც შემთხვევის წყალობით, მართლაც მივაგენით ჩვენთვის განკუთვნილ წერილს.

საქმე ჰა და ჰა, მგონი, გამოსწორებაზე იყო.

ეხლა არ გინდა ამ ნისლში უკან დასაბრუნებელი ადგილის პოვნა?

მაგრამ საოცრებები გრძელდებოდა. უკვე სახელმოხვეჭილმა ყნოსვამ თავი აქაც ისახელა.

დანარჩენი ელვის სისწრაფით გავაკეთეთ. კომპასი არა, თორემ სხვა ყველაფერში სოსოს მართლა აკადემია ჰქონებია დამთავრებული. ცოტა ხანში კარავი გამართული იყო, ფიჩი შეგროვებული, ქვაბის ჩამოსაკიდებული საყრდენები ჩადგმული, ცეცხლი ანთებული და წყლით სავსე ქვაბი ზედ ჩამოკიდებული.

ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვარჩევდით, რომ მეზობლებს ჯერ კიდევ კარვის დადგმაზე ჰქონდათ ჯაჯგური.

ნისლიდან ერთიმეორის მიყოლებით ნელ-ნელა კომისიის წევრების თავებმა დაიწყეს ამოტივტივება. მალე თავმჯდომარის თავიც უნდა გამოჩენილიყო.

საქმე აღწუზე იყო. უშბაზე უკვე ასულიც ვიყავი. მწვერვალამდე რაღა მაკლდა? სულ აღარაფერი.

სიხარულისაგან არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. უფრო სწორად, ეგ მე არ ვიცოდი, თორემ სოსომ იცოდა. კაცი ქართულ ცეცვაზე დადიოდა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. ერთი კარგი

დავლური ჩამოუარა კოცონის გარშემო. მერე ხელოვნების ჯადოქარმა გაიტაცა. დავლურს კინტაურიც მიაყოლა, კინტაურს – აჭარული, ბოლოს ბალდადურის ილეთებსაც გამოჰკრა ხელი. ყველაფერი მართლაც რომ კარგად გამოსდიოდა. ეგ არის ბოლოს რაღაცას ცოტა ფეხი წამოსდო.

შარო საიდან მოდიხარო.

არაფრისაგან და თითქოს უმნიშნელოსაგან, რასაც არ მოელოდები, პრობლემების მთელი კვანძი რომ გამოინასკვება ხოლმე, ისე მოხდა.

ფეხმა ის რაღაცა, იმ რაღაცამ ტოტი, ტოტმა ფიჩისი, ფიჩისმა ჯოხი და ჯოხმა რაო? რაო და თხამ ვენახი შეფამაო. ეს ჩვენი ზეიმი და დროსტარება სულ ცხვირიდან წამოგვადინა.

ჯოხი ქვაბის საყრდენს გამოედო და წააქცია. ქვაბი გადმოვარდა და უკვე ათუხთუხებაზე მისული წყალი ცეცხლზე დააქცია. ჩვენ გარშემო შემოკრებილებს ჩამქრალი ცეცხლი და ცარიელა ქვაბი დახვდათ.

კომისიის წევრების თავებმა ერთო-მეორის მიყოლებით ნელ-ნელა ისევ ნისლში დაიწყეს ჩაძირვა. თავმჯდომარის თავი საერთოდ არ გამოჩენილა.

ყველა იმედი გადაწურული იყო. უშბას კალთებიდან თავქვე დაგორებულს, ნათქვამი როგორც არის, თითქმის ისე – ბარით, ნიჩბით, ლანძლვითა და ლოდებით მხვდებოდნენ.

მაგრამ ჩემი მცდელობა ამითი არ თავდებოდა.

ეხლა მთელი იმედი ისტორიის სექციაზე იყო. ერთგან საქმე უკვე ჩაფლავებული მქონდა. იქაც რომ უარი მითხრან, მთელი ჩემი ჩანაფიქრი ჩაიშალა და ეგ არის.

მივედი გულის კანკალით.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მისვლა ძალიან გაეხარდათ. რა შვილიც ვიყავი ისტორიაში, მაგას სექციის ხელმძღვანელმა მაშინვე ალლო აულო და ჩემი მიღება-არმიღება კარგა ხანს

ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს ერთხელ კიდევ ეჭვის თვალით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თქვა: რადგანაც ასე ძალიან ხარ მონდომებული, ჯერ-ჯერობით იარე, მერე ვნახოთო.

რა იცოდა, რომ იმ წუთებში ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. საქმე იყო, რომ ჩიტმა ამბავი მოიტანა – მე ვისზეც გადარეული ვიყავი, იმას ახალგაზრდობის სასახლეში დაეწყო სიარული, ფიზიკის სექციაში. იმასთან ახლოს რაიმე სექციაში ჩაწერა კი სწორედ რომ მისწრება იყო ჩემთვის.

პატიცეცემული რუსუდანი დიდად განსწავლული ადამიანი იყო. ბევრ საინტერესოსაც გვიყვებოდა, რასაც სკოლის წიგნებში ვერ ამოიკითხავდი, მაგრამ რად გინდა, ჩემამდე არაფერი დადიოდა. ჩემი გულისყური მეზობელი ოთახისკენ იყო, ჰარიქა, არ გამასწრონ-მეთქი. მთელი ჩანაფიქრი ხომ ის იყო, რომ დერეფანში, ასე ვთქვათ, შემთხვევით შევხვედრილიყავით.

ვაი-უით, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი თითქოს მაინც ისე გამოდიოდა, როგორც ჩაფიქრებული მქონდა. თუ კიდევ არაფერი გამომიხტებოდა და გამომიხტა კიდეც. ჩემი ყოფნა-არყოფნა ისევ საკითხავი გახდა.

იწყება ოლიმპიადა ისტორიაში, ვინც არ მიიღებს მონაწილეობას, სექციიდან გაირიცხება, მოკლედ მოჭრა რუსუდანმა. ყველას გასაგონად იყო ნათქვამი. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მე მეხებოდა. თემაც სათანადო შემირჩია: „ანტიკური ხანის ფილოსოფოსები“.

დამეცა მეხი, არ გინდა მაგისი დაწერა? ან რა უნდა დაწერო, რაც არ იცი.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. გადავდე თავი და ცოტა მოშორებით სამკითხველო რომ იყო, იმას მივაკითხე. ვთქვი ჩემი გაჭირვება.

ეტყობა, ისეთი ნირნამხდარი სახე მქონდა, რომ ბიბლიოთეკარს შევეცოდე. რას იკლავ თავსო, მითხრა,

აგერ შენ და აგერ ბროშურა ზუსტად მაგ სათაურით. ადექი და ყველაფერი სიტყვასიტყვით გადაწერეო.

ტუზი დაეცაო რომ იტყვიან, ჩემზე ყოფილა ნათევამი. ვეცი და მთელი ბროშურა სულ პირნმინდად გადავწერე. რას ვწერდი, ეხლაც არ ვიცი. მთელი ყურადღება იქით მქონდა, არაფერი გამომრჩენოდა.

დათქმულ ვადაზე ადრე მიტანილი ხელნაწერი რომ ნახა, რუსუდანი ცოტა თითქოს მოლბა:

შენ ისტორია მართლა გყვარებიაო.

გყვარებიაო?!

ამისი თქმა და ჩემი გათიშვა ერთი იყო.

მყვარებია და ეგრე? დღე და ლამე მაგაზე ვფიქრობ-მეთქი.

რუსუდანი გაკვირვებული მომაჩერდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მე უკვე გზაში ვიყავი, ჩემს იორლას მივაჭენებდი.

მალხაზ გოგიტიძეს რომ დაბადების დღეზე ნათესავებმა კამერა-აპალოჩკა მოუტანეს, ყველანი გიუებივით რომ წამოვცვივდით და მაშინვე გაბერვა დავუწყეთ, არც მაშინ დამვიწყებია-მეთქი.

რუსუდანმა თვალები აჭყიტა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა ჩემზე. მე კი ისევ ჩემს იორლას მივაჭენებდი.

მერე ონეგი კაპანაძემ რომ გაბერვისთანავე ხელიდან რომ გამოგვტაცა, ეზოში რომ გავარდა და ერთი წუთის წინ ნაჩუქარი ბურთი ფეხის პირველივე დარტყმით ხევში რომ გადაუძახა, მერე მთელი კლასი თავგადაკლული იმის ძებნაში ვიყავით, მაშინაც მაგაზე ვფიქრობდი- მეთქი.

რუსუდანი გაოგნებული მიყურებდა, მერე იპოვეთ? მკითხა, რომ როგორმე შევეჩერებინე და ცოტა აზრები მოეკრიფა. იორლა მართლაც ცოტა შევაჩერე.

უკვე ბნელოდა, მეორე დილით ადრიანად გავაგრძელეთ ძებნა, მაგრამ ვილაცას აულია. არცაა გასაკვირი, ავუხსენი რაც შეიძლება გასაგებად. შევატყვე, რომ ბოლომდე მაინც ვერ გაიგო.

უფრო გამარტივებულად შევუდექი საქმის ვითარების ახსნა-განმარტებას.

ნამდვილი „კამერა-აპალოჩკა“ უბანში არავის ჰქონდა. ხელში არავის გვჭერია. მხოლოდ დინამოს სტადიონზე თუ გვენახა. ჩვენ მუდამ რეზინის ბურთზე



ჩახატული „კამერა-აბალოჩით“ ვთამაშობდით, მაგრამ ბურთი ჩქარა იჩუტებოდა.

მერე ისევ ჩემი იორლას გაჭენება დავაპირე. ყველა თავზარდაცემული რომ ვიყავით, მე მაშინაც კი იმაზე ვფიქრობდი-მეთქი

ვინ იმაზეო? რუსუდანმა უცებ დრო იხელთა და კუთხეში მიმიმწყვდია.

კიდევ კარგი, რომ ჭკუას დროზე მოვეგე.

ისტორიის სიყვარულზე ვამბობ-მეთქი, დავუბეჭდე მე.

რუსუდანს აღარაფერი უთქვამს. საოცრებააო, მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა თავისთვის.

ნამდვილი საოცრება კი ჯერ კიდევ ნინ იყო.

როგორც აღმოჩნდა, უიურის წევრებმა ჩემ მიერ გადაწერილი ბროშურის არსებობა არც იცოდნენ და, რაღა თქმა უნდა, არ წაეკითხათ. სხვანაირად როგორ ახსნი იმას, რომ გამარჯვებულებში დამასახელეს. განა არა, ბროშურას რომ მაძლევდა, ბიბლიოთეკარმა თქვა, ახალი გამოსულია, ჯერ წაკითხულიც არავის ექნებაო.

პატივცემულ რუსუდანს მადლობა გამოუცხადეს. მე უცბად ჯგუფის თვალი შევიქნი, მაგრამ ჩემთვის მთავარი სულ სხვა იყო. ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, სექციაში საპოლოოდ მიღებული ვიყავი.

ეხლა კი აღარაფერს არ უნდა შეეშალა ხელი ჩემი ჩანაფიქრის შესრულებაში.

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, დერეფანში რომ გამოვედი, წინ ორი ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი შემომეყარა. ერთი მათგანი გულო იყო. მე რომ გადამრია, ის. გვერდით თავისავით ჩახატული გოგონა ედგა.

აქ საიდან გაჩნდიო, – გაუკვირდა გულოს.

გამაჯავრა დაიამა და მით გული დაიამაო. ჩახატული გოგონა, მგონია, მიხვდა, რომ გულოს მიმართ მთლად გულგრილად განწყობილი არ ვიყავი და ეს შეხვედრაც მთლად შემთხვევითი არ ყოფილა. ამაზე თავისი კომენტარის გაკეთებაც არ დაუმადლებია. ეგ ყველას შეიძლება მოუვიდეს, ადამიანი რაღაცამ დააბნიოს და გზა აერიოს, რა იმისი ბრალიაო, მიამიტი გამომეტყველებით ჩაილაპარაკა, მაგრამ მე უკვე შორს ვიყავი, მეშვიდე ცაზე. მაგისთანები უკან ვეღარ დამაბრუნებდნენ. მე და გულო სასახლიდან ერთად მოვდიოდით. მთელი გზა ფეხით გამოვიარეთ, ენა არ გაგვიჩერებია. ეს ანტიკური ხანის ფილოსოფოსების დამსახურება იყო, გულში მადლობას ვუხდიდი.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. უშპას თავზე თოვლი აღარ მოჩანდა, რაც იყო, სულ დაბლა ჩამოვიდა. ისიც წყლად იქცა, უკვე ჩავლილებს გაჰყვა. მე კი დღესაც იმათი მადლობელი ვარ, ანტიკური ხანის ფილოსოფოსებისა.

## ლევან ბებურიშვილი



### ახალგაზრდობა და ეროვნული ცნობიერება

ახალგაზრდობა ქვეყნის სული და გული, მისი იმედი და სიცოცხლეა. სწორედ ახალგაზრდობის სულიერი მდგრამარეობით შეგვიძლია ვისაუბროთ იმის თაობაზე, აქვს თუ არა საერთოდ ერს მომავალი. თანამედროვე ახალგაზრდების მორალურ-ინტელექტუალურ დონეზე მსჯელობისას საზოგადოებაში ძირითადად ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება გამოითქმის ხოლმე. ერთი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ შესანიშნავი, არაჩვეულებრივი ახალგაზრდობა გვყავს – ლალი, დამოუკიდებელი, მიზანდასახული, ყველა თვალსაზრისით პერსპექტიული. მეორენი კი, ამის საპირისპიროდ, ყურადღებას ამახვილებენ ახალგაზრდების სულიერ დეგრადაციაზე, უკულტურობასა და გაუნათლებლობაზე, რაც სრულიად აფერმერთალებს ახალი თაობის მოკრძალებულ ღირსებებს. ორივე შეხედულებაში ნათლად ვლინდება ქართული სინამდვილისათვის ასერიგად დამახასიათებელი რადიკალიზმი. იმის თქმა, რომ ყოველმხრივ უზადო და საამაყო ახალგაზრდობა გვყავს, უდავოდ, სიმართლისათვის თვალის არიდება იქნებოდა, ხოლო იმის მტკიცება, რომ ახალ თაობას არაფერი ეშველება, ნიშნავს

იმის აღიარებას, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალი არ აქვს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მსურს, ორიოდე სიტყვა ვთქვა თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, კერძოდ კი – საკითხზე, თუ რამდენად მგრძნობიარეა ახალგაზრდობა ეროვნული ფენომენის, ეროვნული ღირებულებების მიმართ. აქვე აღნიშნავ, რომ თანამედროვე ახალგაზრდების ღირსებასა თუ ნაკლიე მსჯელობისას სრულიადაც არ ვაყენებ საკუთარ თავს მათი წრის მიღმა, არამედ ვისაუბრებ, როგორც საკითხის შიგნიდან მხედველი, ვისი დასკვნებიც დიდწილად სწორედ თვითანალიზის საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

განსაკუთრებული დაკვირვება არაა აუცილებელი იმის შესამჩნევად, რომ თანამედროვე ახალგაზრდების ეროვნული მგრძნობელობა ძალზე სუსტია. ამის ერთი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ, სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი სიამოვნებით იცხოვრებდა საზღვარგარეთ, თუ იქ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა. წინაპართა გულწრფე-

ლი რწმენა – „და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი“ სა-საცილოდ არ ჰყოფნით თანამედროვე ქართველებს. ევროპის საზღვრები რომ გაიხსნას საქართველო, ალბათ, დაცა-რიელდება. ერთი სული აქვთ ახალგაზ-რდებს, რომ გაექცნენ დაქცეულ, დას-ნეულებულ მამულს, ქართველად ყოფ-ნის უსიხარულობას. ცხადია, ქვეყნის დატოვების განზრახვა მძიმე სულიე-რი და ეკონომიკური ვითარებითაა გა-მოწვეული, მაგრამ ეს ფაქტორი მაინც ვერ გამოდგება გამამართლებელ საბუ-თად. მთელი ისტორიის განმავლობაში დალხენილი ყოფა ქართველს თითქმის არასოდეს ჰქონია, მაგრამ ჩვენი ერის ღირსეულ შვილებს ქვეყნიდან გაქცე-ვა გამოსავლად არასოდეს დაუსახავთ. ვაუკაციობა ისაა, დაცემული და იავარ-ქმნილი ქვეყნის აღდგენა საკუთარ ძა-ლებზე დაყრდნობით სცადო.

ახალგაზრდობის ეროვნული გულ-გრილობის კიდევ ერთი დასტურია ახალგაზრდული პროტესტის არარსე-ბობა ე. წ. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის უამს. იმ პოლიტიკური ძალის ბატონობას, რომელიც დაუფა-რავად იბრძოდა ეროვნული ღირებუ-ლების, ტრადიციებისა და სარწმუ-ნოების წინააღმდეგ, არ გამოუწვევია ახალგაზრდობის მასოპრივი პროტეს-ტი. ხსენებული პოლიტიკური პარტიის ჰეგემონიის პერიოდში ყველაზე მძლავ-რი და მასშტაბური ახალგაზრდული გამოსვლა ე. წ. „ციხის კადრების“ გა-მოქვეყნებას მოჰყვა. მხოლოდ ადამია-ნის უფლებათა დარღვევის საზარელ-მა ფაქტმა ააღლევა ახალგაზრდები და აიძულა ისინი, ქუჩაში გამოსულიყვნენ. ამავე ხელისუფლების მხრიდან ერის ღირსების ხელყოფის არაერთ შემთხვე-ვას ასეთი მასოპრივი პროტესტი, სამ-წუხაროდ, არ მოჰყოლია.

არადა, XX საუკუნის 80-იანი წლე-ბის მიწურულში ეროვნული მოძრაობის მთავარი დასაყრდენი სწორედ ახალ-

გაზრდობა იყო. ამ პერიოდში ახალგაზ-რდული ენთუზიაზმი მტკიცედ გადაეწ-ნა სოციალური განახლების წყურვილს და დიდ ენერგიად ამოხეთქა. ახალგაზ-რდობის მასოპრივი ჩართულობას ეროვ-ნულ მოძრაობაში იმ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რომ, საზო-გადოდ, რაც აკრძალულია, ის უფრო ეგზოტიკურად, მიზნიდველად გამო-იყურება. ერთი მიზეზი უთუოდ ესეც გახლდათ ეროვნულ მოძრაობაში ახალ-გაზრდობის აქტიური ჩაბმისა. თუმცა, მთლიანობაში, იმდროინდელი ახალ-გაზრდების ეროვნული თვითშეგნება, დღევანდელთან შედარებით, გაცილე-ბით უფრო მტკიცე და საფუძვლიანი იყო. პოსტსაბჭოთა ეპოქაში დაბადე-ბულ თაობას აშკარად გაუცივდა გული ეროვნული იდეისადმი. სწორედ ამ ვი-თარების გამომწვევი მიზეზების ახსნას შევეცდები წინამდებარე წერილში.



თანამედროვე ახალგაზრდების ეროვ-ნული გულგრილობა დიდწილადაა გან-საზღვრული XX საუკუნის ბოლოს ეროვ-ნული მოძრაობის დამარცხებითა და ამის შემდეგ განვითარებული სოციალურ-პო-ლიტიკური მოვლენებით.

ეროვნული მოძრაობა აზვირთების პროცესშივე განიცდიდა კრიზისს. ამის გამოხატულება იყო თუნდაც უმწვავე-სი დაპირისპირება დისიდენტურ წრე-ებში. იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ დისიდენტთა შო-რის არ არსებობდა საკმარისი სული-ერ-იდეური ერთობა. თავიდანვე აშკარა იყო, რომ ეს კონფლიქტი შეიძლებოდა უკიდურესად გამწვავებულიყო, რასაც ქვეყნისათვის ტრაგიკული შედეგები მოჰყვებოდა. სამწუხაროდ, ისტორიუ-ლადაც ასე იყო – მხოლოდ უკიდურე-სი განსაცდელის უამს თუ ხერხდებოდა ქართველთა ეროვნული ერთიანობის მიღწევა. ნორმალურ ვითარებაში, მით უმეტეს, შემოქმედებით პროცესში, ყო-

ველთვის გვიჭირდა თანამშრომლობა.

ცხადია, ეროვნული მოძრაობა იყო დიდი სილამაზე, ერთი უმშვენიერესი ფურცელი ქართველი ერის ისტორიისა, საუკუნეთა განმავლობაში ჩახშული ეროვნული ენერგიის ამოფრქვევა, მაგრამ მას დიდწილად მაინც სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ეროვნულ მოძრაობაში დესტრუქციული იმპულსი სჭარბობდა შემოქმედებით იმპულსს. ამიტომ იყო, რომ ძველი წყობის დარღვევაში დიდი სიყოჩალე გამოვწინეთ, ახლის შენებისათვის კი მკვიდრი საფუძველი ვერ შევქმენით. ეროვნულ მოძრაობაში ჩართულ მასას სათანადოდ არ ჰქონდა გაცნობიერებული ის უდიდესი სირთულე, რაც არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში რეალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნებული სახელმწიფოს აშენებას დასჭირდებოდა. ამიტომაც, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ქვეყნის მოსახლეობამ ვერ დაიცვა კანონიერი ხელისუფლება პოლიტიკურ ყაჩაღებთან ბრძოლაში. სულიერი აღმაფრენის პროცესში წამოყენებულმა ლოზუნგებმა (მაგ., „ოღონდ დამოუკიდებლები გავხდეთ და ბალახს შევჭამთ!“), რომლებიც შეიძლება გამოხატავდა ერთეულთა გულწრფელ მზაობას თავგანწირვისათვის, ფართო მასებისათვის ვერ შეიძინა დამარწმუნებელი ძალა.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ მალევე დადგა ეროვნული მოძრაობის აღსასრული. დისიდენტთა შორის აღარ გამოჩნდა ისეთი ერისკაცი, რომელიც ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში თეორიულად განსაზღვრავდა ქართული წაცილენიზმის მიზნებსა და ამოცანებს, ვისაც ექნებოდა სუფთა წარსული, თვალთახედვის სიფართოვე და წინამძღვრლის ქარიზმა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის უამს ერისკაცებად მიჩნეული დისიდენტების დიდმა წანილმა ჯერ სხვისი წაქეზებით ხალ-

ხის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ბრძოლით გაიტეხა სახელი, შემდეგ კი საქართველოში დაპრუნებულ ედუარდ შევარდნაძესთან შექრა აღიანსი. შევარდნაძემ მათ ჯერ ერთმანეთი დააჭმევინა, შემდეგ კი საერთოდ ჩამოიცილა პოლიტიკური ასპარეზიდან და კარიკატურულ პოლიტიკურ ფიგურებად აქცია ისინი, ვინც ერთ დროს ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იდგა.

90-იანი წლების შემდეგ ქართულმა წაცილენალიზმა ველარ მონახა თავისი განვითარების გზა. იგი 80-იანი წლების პოლიტიკურ შაბლონებში ჩარჩა. აქტიურ პოლიტიკაში დარჩენილმა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა აღღლო ვერ აუღეს ახალი დროის ვითარებას. მათ თავიანთი უაზრო მორალისტობით, გეოპოლიტიკის ელემენტარული საკითხების უცოდინრობით, წვრილმანებზე აპელირებით, ურთიერთსიძულვილით (თვით ზვიად გამსახურდისა მომხრეთა შორის დღემდე არსებობს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი რამდენიმე ჯგუფი) საბოლოოდ მოაშთეს ეროვნული მოძრაობა და მოახდინეს ეროვნული იდეის დისკრედიტაცია. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა დიდი წანილის ერთი სახასიათო თვისება ისაა, რომ ისინი თავიანთ წარუმატებლობას მუდამ სხვას აპრალებენ, ყველგან უცხოური სპეციალისახურების კვალი ელანდებათ. მათ უმეტესობას არა აქვს საკუთარი წამოქმედარის განსჯის, თვითანალიზის მოთხოვნილება და შეცდომების აღიარების უნარი. ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ ახალგაზრდამ, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა ამ პოლიტიკოსთა სიბეჭე, პრიმიტივიზმი, მათი წაზრევისა და ქმედების სიბერნე, თავისი ნეგატიური განწყობა განაზოგადა თავად ეროვნულ იდეაზე და წაცილენიზმი ყველგვარი უბედურების წყაროდ მიიჩნია.

უკანასკნელ წლებში ქართული წა-

ციონალიზმი თანდათანობით გადავ-ვარდა პროვინციალიზმად. ეროვნული მოძრაობის ამოძირკვაში წილის დამდები „საზოგადო მოღვაწეები“, ავყია ბერიყაცები დღეს უკვე თავად დგებიან „ქართველობის სადარაჯოზე“ და ერთ ამბავს ტეხნიკურ გაზეთებში. რომ ჰქონითხოს კაცმა რომელიმე ასეთ გაზეთის ფალავანს, რა უნდა? რისთვის გამოუდვია თავი? რას იცავს? რას აყვირებულა? დალაგებული პასუხის გაცემას ვერც ერთი მათგანი ვერ მოახერხებს. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ სწორედ ამ ფსევდოპატრიოტებმა მოახდინეს ეროვნული პლატფორმის მონიპოლიზება და თავიანთი უტაქტო, ღვარძლიანი რიტორიკით აფრთხობენ ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდობას. ამის გამოა, რომ ინტელექტუალური ახალგაზრდების დიდი ნაწილი სათოფეზე არ ეკარება ქართულ ნაციონალიზმს.

ახალგაზრდობის ეროვნული გულგრილობის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი კი, ალბათ, მაინც ის ყოვლად პათოგენური გარემოა, რომელშიც თანამედროვე მიზარდის ცნობიერება ყალიბდება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს სინამდვილეში ერთბაშად შემოიჭრა ე. წ. მასკულტურის ყველაზე მახინჯი, ამაზრზენი ფორმები, რომლებმაც მონამლა საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ცნობიერება. თითქმის სამი ათეული წელია, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება იდიოტიზმისა და ამორალიზმის ნიაღვარი. სწორედ მასმედიის დამსახურებაა ის, რომ საზოგადოებაში ასე მძაფრად იგრძნობა არა მხოლოდ ეროვნულის, არამედ ყოველივე ადამიანურის კრიზისი. საზოგადოებაზე მასმედიის ფსიქოლოგიური ტერორი განსაკუთრებით გაძლიერდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის უამს. ტყუილად არ გვპირდებოდნენ ამ

პოლიტიკური პარტიის იდეოლოგები „მენტალური რევოლუციის“ მოწყობას. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების მთავარ მიზანდასახულობად იქცა ზნეობრივი წილიზმისა და არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა, რაც ლამის ისტერიკაში გადაიზარდა. თვით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, ელემენტარული ტაქტის არმქონე კაცი ღლიუცინით მიუთითებდა მოსწავლეებს ბურქებისაკენ.

მასმედია დღესაც დიდი მონდომებით ასრულებს იდეოლოგიური მეინსტრიმის დაკვეთას და თავგამოდებით იბრძვის ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ, ნაციონალიზმის დემონიზებისა და მარგინალიზებისათვის. შევარდნაძის დროიდანვე დაკანონდა, რომ ნაციონალიზმი უნდა იყოს აბუჩად აგდებული, დასაცინი და გასაკიცხი. თანამედროვე მასმედია ეროვნულ პოზიციაზე მდგომებად და ნაციონალისტებად წარმოაჩენს ზნეობრივად გაკოტრებულ და უვიც ადამიანებს. ასეთებს დიდი სიხარულით იწვევენ ტელესტუდიებში და უშურველად აძლევენ თავიანთი უვიცობისა და არაპროფესიონალიზმის წარმოჩენის საშუალებას. წამყვანი ტელეარხები არასოდეს იზრუნებენ, რომ ეროვნულად მომართულ ადამიანებს შორის გამოძებნონ ვინმე კეთილგონიერი, განონასწორებული პიროვნება და ის მიზნიონ გადაცემაში ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხის განსასჯელად. არა, აუცილებლად უნდა ისტუმრონ რომელიმე შლეგი, სახელგატეხილი ან ეროვნულობას მიტმასნილი მავანი, რომლის ნალაყბევიც ლიბერალთა დაუსრულებელი ქილიკის მიზეზი ხდება. ამ გზით ახდენს მასმედია ახალგაზრდობის თვალში ეროვნული ცნობიერებისა და კონსერვატიზმის დემონიზაციას.

აღარ უჩანს ტელეეკრანზე დასასრული „ქართველობის“, „ვაჟაპობის“,

„ქალიშვილობის ინსტიტუტის“ გამამას-ხრებელ უნიჭო კომედიურ სკეტჩებს. ალბათ, არც ერთი სიტყვა არაა ისე აბურიად აგდებული და ნათრევი თანა-მედროვე ლიბერალების მიერ, როგორც ცნება „ქართველობა“. ნეოლიბერალურ ტელემედიაში ამ ცნებას მხოლოდ ირო-ნიულ კონტექსტში თუ მოჰკრავთ ყურს. ერთ-ერთ ტელეარხზე გადიოდა სატი-რული ვიდეორგოლების კრებული სა-ხელნოდებით „ქართველი ვაჟაპი“. ამ გადაცემის ავტორებს იმდენი ტაქტიც კი არ ეყოთ, რომ სათაური „ქართველი ვაჟაპი“ ბრჭყალებში მაინც ჩაესვათ, რითაც მიუთითებდნენ, რომ სინამდვი-ლებში ქართველობასა და ვაჟაპობას კი არ დასცინიან, არამედ ფსევდოქარ-თველობას. ამ პატარა დეტალიდანაც გამოჩნდა, რომ, აღნიშნული პროექტის ავტორთა აზრით, ჩვენი ყოფის ყველა ნაკლი, ყველა სიმახინჯე, ყოველი უარ-ყოფითი თვისება თვითი ჩვენი ეროვნუ-ლი ბუნებიდან მომდინარეობს. სწორედ ეს უარყოფითი თვისებები წარმოადგენენ კიდეც, მათი აზრით, ქართველობის არსს, რაც მხოლოდ დაცინვის ობიექტი შეიძლება იყოს.

ვითარებას ამძიმებს ის გარემოება, რომ მასმედიის საშუალებებიდან მომ-დინარე ეროვნული და ზნეობრივი ნი-ჰილიზმის ნიაღვარს სათანადოდ ვერ უპირისპირდება საგანმანათლებლო სისტემა, რომელმაც ჯანსაღი მენტა-ლური საფუძველი უნდა მისცეს მო-ზარდს.

საგანმანათლებლო სისტემის მი-ზანმიმართული რაღვევა 90-იანი წლე-ბიდანვე დაიწყო, „ნაციონალური მო-

რაობის“ მმართველობის პერიოდში კი ამ სფეროს ძირეული გარდაქმნა გან-ხორციელდა. ახალ ლიბერალებს თა-ვიდანვე თვალში ეჩირებოდათ ქარ-თული სკოლის ზოგადი ატმოსფერო, ის გარემოება, რომ მასნავლებლები თურმე მოსწავლეებს „ნაციონალიზმს ასწავლიდნენ“.<sup>1</sup> განათლების რეფორ-მის დაწყებისთანავე სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოიკალა-თეს „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, რომელთაც საკუ-თარ თავზე აიღეს მოსწავლეთა „უფ-ლებების დაცვა“. ამ სიტყვების ავტორი თავად არის მოწმე იმისა, თუ როგორი მონდომებით აქეზებდნენ სპეციალურ ტრენინგზე „თავისუფლების ინსტი-ტუტის“ წარმომადგენლები მოსწავ-ლებს მასწავლებელთა წინააღმდეგ. ამ ლიბერტარიისტულმა ექსტრემიზმმა გამოიწვია მოსწავლისა და მასწავლებ-ლის ურთიერთგაუცხოება. ცხადია, თუ მოსწავლე მასწავლებელს აღიქვამს არა როგორც ზნეობრივ ავტორიტეტს, არა-მედ როგორც მტრულ ძალას, დიქტა-ტორს, რომლისგანაც მუდამ მისი უფ-ლებების დარღვევაა მოსალოდნელი, ვერც ენდობა და ვერც ვერაფერს ის-წავლის მისგან. აი, ეს ღვარძლი დათე-სა საგანმანათლებლო დაწესებულებებ-ში „თავისუფლების ინსტიტუტია“.

პედაგოგები დღეს ხშირად ჩივიან, რომ ძალიან უჭირთ მოსწავლეებთან საერთო ენის გამონახვა და ისეთი თა-ობა მოგის, რომელსაც, ძნელია, რამე შეასმინო. ეს არცაა გასაკვირი, რად-გან ახლანდელი მოსწავლეები და მა-

<sup>1</sup> მაგ., ლევან ბერძენიშვილი აღმფოთებული იყო იმის გამო, რომ „მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ქართული გრამატიკა... არ იცის ლიტერატურა, არაურად ულირს ნაწარმოების სტილი, კომპოზიცია, მხატვრული ხერხები, სიმბოლოები, მეტაფორები და ა. შ. მაშ, რატომ შედის გაკვეთილზე, რას ასწავლის ბავშვებს ეს მეტისმეტად სასარგებლო ხალხი? რას ასწავლის და – ქართულ ნაციონალიზმს, თანაც საბჭოთა დროში ჩამოყალიბებული და დღეს უკვე წარმოუდგენელ ანაქრონიზმად ქცეული ფორმით...“ (ლ. ბერძენიშვილი, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბ., 2005, გვ. 68).

თი მასწავლებლები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვადასხვა დროის შვილები არიან. თანამედროვე მოზარდები ვერ იტანენ მორალიზმს, განუწყვეტელ ჭკუის სწავლებას, რაც უფროსი თაობის პედაგოგებს სისხლში აქვთ გამჯდარი. დღეს მასწავლებელი მხოლოდ თამაშ-თამაშით თუ მოახერხებს მოსწავლისათვის სათქმელის მიწოდებას. იმისათვის, რომ პედაგოგი კვლავ განდეს მონაფისოთვის ავტორიტეტი, იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი საქმის პროფესიონალი უნდა იყოს. სამწუხაროდ, თანამედროვე მასწავლებელთა დიდ ნაწილს არა აქვს მოზარდისათვის მასალის საინტერესოდ მიწოდების უნარი. ბავშვის გულის მოსაგებად საჭიროა ცოცხალი სიტყვა და არა მშრალი მორალიზმი. ტრაფარეტული საუბრები „დიდ ილიაზე“, „თერგდალეულებზე“ და ა. შ. ვერ მიეკარება მოზარდის გულს. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს აღსაზრდელის ნდობას, როცა ეს უკანასკნელი დაინახავს, რომ პედაგოგს უზომოდ უყვარს თავისი საქმე და გულწრფელად დელავს თითოეული მონაფის ბედზე.

არანაკლებ რთული ვითარებაა შექმნილი ამ მხრივ უმაღლეს სასწავლებლებშიც. განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში ჩატარებული კონკურსების შედეგად უნივერსიტეტები-დან დაითხოვეს არაერთი ლირსეული პედაგოგი, მრავალი მედროვე კი პროფესორის წოდებით აღჭურვეს (დღემდე გამოსაძიებელია 2004-2011 წლებში ჩატარებული სამარცხვინო კონკურსები). შედეგად მეცნიერების არაერთ დარგში მოხდა თაობათა ისეთი წყვეტა, რისი აღმოფხვრაც თითქმის შეუძლებელია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის დროის უნივერსიტეტს სახელი გატეხილი ჰქონდა კორუფციისა და პროტექციონიზმის გამო, რამაც ახალ ხელისუფლებას მისი დამორჩილება ძალზე გაუადვილა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა ვეღარ ახერხებს მყარი ლირებულებითი საფუძველი, ზნეობრივი ორიენტირი მისცეს ახალგაზრდას და ეროვნული სულისკვეთება შთაუნერგოს მას. საგანმანათლებლო სისტემიდან თითქმის სრულადაა განდევნილი პიროვნების ზნეობრივი აღზრდის პრინციპი. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე ფაშიზმისა და ფუნდამენტალიზმის გამოვლენად აღიქმება. ასეთ ვითარებაში ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც საგანგებოდ ზრუნავს ეროვნულ-რელიგიური სულისკვეთებით პიროვნების აღზრდაზე, არის ეკლესია. ისევ სასულიერო პირი თუ შეგვასხვნებს ქართველად ყოფნის სიძნელესა და აუცილებლობას. ცხადია, ეკლესიის წიაღშიც არსებობს სერიოზული პრობლემები (ვერცხლისმოყვარეობა, გაუნათლებლობა, ყანდურთა დასი), ხშირად ტრაფარეტულ ჩარჩოებს ვერ სცდება მღვდლებისა და ეპისკოპოსების ქადაგებანი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეკლესია რჩება ერთადერთ სისტემად, რომელიც თანმიმდევრულად, ავად თუ კარგად, ცდილობს დაუპირისპირდეს ეროვნულ-რელიგიურ ნიპილიზმსა და ნეოლიბერალურ ექსტრემიზმს.



დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად თანამედროვე ახალგაზრდობის სულიერ სამყაროზე, იმ თვისებებზე, რაც პოსტსაბჭოთა ეპოქაში დაბადებულ თაობას უამთა სიავის შედეგად გამოუმუშავდა და რაც ხელს უშლის მასში მტკიცე ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება პრაგმატიზმის ნიშნით არის აღბეჭდილი, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ეს თვისება ახალგაზრდობამ ძირეულად შეისისხლხორცა. თანამედროვე ახალგაზრდა ახლოს არ გაეკარება

ადგილს, საიდანაც სარგებლის სუნი არ სცემს. გარემოსადმი გამოყენებლური მიმართება, მხოლოდ სარგებელზე ორიენტირება ნათლად ვლინდება თუნდაც განათლებისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულებაში. რამდენიმე წელია, რაც ვმუშაობ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვხედავ, რომ თვით გამორჩეულ სტუდენტთა შორისაც კი ძნელად იპოვებიან ისეთები, რომელთაც უანგარო, თავისთავადი სიყვარული აქვთ იმ სფეროსადმი, რომელშიც მოღვაწეობა განუზრახავთ. მათი სიბეჯითის მოტივაციად, უმრავლეს შემთხვევაში, გვევლინება არა თვითშემეცნების წყურვილი, არამედ სტიპენდიის მიღებისა და სხვების დაჯაბნის ამბიცია. ამაზრზენია ასეთი „ფრიადოსნების“ მოთქმა თითოეულ დაკარგულ ქულაზე. როცა ახალგაზრდა ჰუმანიტარი მხოლოდ პრაგმატული თვალით უცქერს განათლებას, აღიქვამს მას არა სულიერი ზრდის, შემეცნების საშუალებად, არამედ მხოლოდ როგორც ცხოვრების უზრუნველყოფის წყაროს, მაშინ ყველაფერი მთლად რიგზე ვერაა. ოდენ თვითდამკვიდრების ჟინით შეპყრობილი, ამბიციაშეჩენილი ასეთი ჰუმანიტარი ვერასოდეს შექმნის რაიმე ფასეულს. თუმცა ასეთი მიმართება განათლებისადმი საერთოდ ჩვენი დროის ნიშანია და არა მხოლოდ თანამედროვე ახალგაზრდობის თავისებურება.

ამ პრაგმატიზმს უკავშირდება ის გარემოება, რომ დღეს უიშვიათეს გამონაკლისებად იქცნენ ენთუზიასტი, იდეური ადამიანები. იდეისადმი მსახურება პიროვნებისაგან მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, სარგებელზე ორიენტირებული თანამედროვე ადამიანი კი მუდამ მიღებას ესწრაფვის და არა გაცემას. შესაბამისად, დღეს გასავალი აქვს ისეთ იდეებს, რომლებიც ხეირის მომტანია. სწორედ ამის გამო ანყდება ნიჭიერ ახალგაზრდათა უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

თანამედროვე ახალგაზრდობაში განადგურებულია ჰეროიზმის სული. ეპოქამ დააჩარიანაკა და სულიერად დაადამბლავა ადამიანი. არსადაა იდეურობის ისეთი ნასახიც კი, რაც თუნდაც ილია ჭავჭავაძის თაობაში შეიმჩნეოდა. XIX საუკუნის ახალგაზრდობა განმსჭვალული იყო იმ იდეალებით, რომლისთვისაც სიცოცხლის განირვასაც კი არ შეუშინდებოდა. ქართველი ახალგაზრდები უცხოეთში საუკეთესო კარიერაზე ამბობდნენ უარს, სამშობლოში ბრუნდებოდნენ და ყოველდღიური არსებობისათვის ბრძოლაში ებმებოდნენ იმ რწმენით, რომ ერს, ქვეყანას სარგებელს მოუტანდნენ. რამდენი ახალგაზრდა მიდის დღეს საზღვარგარეთ სასწავლებლად და რამდენს აქვს უმთავრეს ამოცანად დასახული, რომ სამშობლოში დაბრუნდეს და საკუთარი განათლება ერის კეთილდღეობას მოახმაროს? უმრავლესობის ოცნებაა, რომ უკან დაბრუნების შემდეგ მოკალათდეს რომელიმე სამინისტროში და, უბრალოდ, დატკბეს ცხოვრებით. 17 წლის მარო მაყაშვილს დღიურში ჩაუწერია: „რა არის უმაღლესი და ულამაზესი სიყვარულზე სამშობლოსადმი!“ ნეტავ, რამდენი 17 წლის გოგონა მოიძებნება დღევანდელ საქართველოში, რომელსაც ასეთი სიტყვების დღიურში ჩაწერის გულწრფელი სურვილი შეიძლება გაუჩინდეს? სამწუხაროდ, თანამედროვე ახალგაზრდებში ის ნაპერწკალიც კი ძნელად საპოვნელია, რომლის ერთ დღი ცეცხლად შეგროვებასაც იქადდა „მგზავრის წერილების“ ავტორი.

საზოგადოებაში და, პირველ ყოვლისა, ახალ თაობაში, ეროვნული თვითშეგნების კრიზისი ძალზე გაამძაფრა ლიბერალ-კაპიტალიზმის თანამდევმა ინდივიდუალიზმის კულტმა, ინდივიდის უფლებათა აბსოლუტიზაციამ. თანამედროვე ადამიანი მხოლოდ პირადი ცხოვრების მოწყობით, თავისი წვრილმანი საქმითაა დაკავებული, ოდენ საკუთარი ჭიის გახა-

რებაზე ფიქრობს. აღარსად ჩანს საერთო ეროვნული მიზანი, ეროვნული ამოცანა. „მომხმარებელ საზოგადოებას“, ცხადია, აღარაფერში სჭირდება არც ეროვნული მოძრაობა, არც ეროვნული ღირებულებები.

ეროვნული თვითშეგნება ვერ იშვება იქ, სადაც არაა კოლექტივიზმის, ერთობის სული. თუ ადამიანი თანამოძმებთან კავშირში არ განიცდის საკუთარ ბედს, თუ არ აღიქვამს თავს ერთიანი ეროვნული ორგანიზმის ნაწილად, თუ თანამოქალაქენი მისთვის ოდენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტები არიან, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია საზოგადოების სულიერ ერთობაზე.

თანამედროვე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მონამლულია ჰედონიზმით. იგი თავის საუკეთესო წლებს დროსტარებას უთმობს და არა ცხოვრებისათვის მტკიცე საფუძვლის მომზადებას. მასმედია რელიგიური მგზნებარებით ამკვიდრებს გართობის კულტს. თვით დაოჯახებული ახალგაზრდებიც კი ხშირად საოცარი უპასუხისმგებლობით ეკიდებიან ცხოვრებას და მუდამ თავის შექცევაზე ფიქრობენ. ისინი თვალს იბრმავებენ და ჯიუტად არ სურთ იმის შეგნება, რომ თანამედროვე საქართველოში ახალგაზრდა ვერ იცხოვრებს ისე, როგორც ამერიკელი ახალგაზრდა ცხოვრობს პოლივუდურ ფილმებში. თუ ამერიკელი ან ევროპელი უკვე გამზიადებულზე მოდის, ქართველმა ორჯერ მეტი უნდა იშრომოს, რომ თავისი ცხოვრება და საკუთარი ქვეყანა რამეს დაამსგავსოს. ამას კი არავინ შეაგონებს ახალგაზრდებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას ბევრი ნაკლიაქვს (უტიფრობა, შინაგანი და ელე-

მენტარული ქცევის კულტურის უქონლობა და ა. შ.), მას მოეპოვება ისეთი ლირსებებიც, რითაც მშობელთა თაობას აღემატება. მათში ნაკლებია ქედმაღლობისა და ფარისევლობის სული. თანამედროვე ახალგაზრდების ბევრ წინაპარს ერჩია, მშიერი ყოფილიყო, ვიდრე მისთვის სათაკილო სამუშაოზე ემუშავა. დღეს უკვე საუკეთესო ფიზიკური და გონებრივი მონაცემების მქონე ახალგაზრდებს არ ეთაკილებათ ფიზიკური მუშაობა, რადგან აცნობიერებენ, რომ სირცხვილი შრომა კი არ არის, არამედ მუდმივად სხვის ხარჯზე ცხოვრება. ახალგაზრდები ცდილობენ, იყვნენ დამოუკიდებელნი, საკუთარი ხელით შეიქმნან მომავალი, რაც დიდად სასიხარულო და მისასალმებელია. თანამედროვე ახალგაზრდების კიდევ ერთი ღირსება ისაა, რომ პირად ურთიერთობებში ისინი ხშირად ბევრად უფრო გულწრფელნი და უმუალონი არიან, ვიდრე ზრდასრულები. საბედნიეროდ, დღესაც იპოვებიან ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „მარილი ქვეყნისა“. სწორედ მათ უნდა მოახერხონ დავრდომილი, დაუძლურებული სამშობლოს აღდგენა.

ვფიქრობ, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების აღორძინება. ამ პროცესის დასაჩქარებლად კი აუცილებელია, ქართული ნაციონალიზმი განიწმინდოს პრიმიტივიზმის, პროვინციალიზმისა და ზოოლოგიური მიდრეკილებებისაგან. ეს მისია ახალგაზრდებმა უნდა იტვირთონ. მათ მართებთ, ისწავლონ წინაპართა შეცდომებზე, პირუთვნელად შეაფასონ წინამორბედთა ნალვანი და ამით საფუძველი შეამზადონ საზოგადოების სულიერი განახლებისათვის.

### თემურ გაბუნია



### დუელი

„ჯოისი და გოგარტი\* არასდროს მდგარან თოვლიანი მწვერვალების ფონზე იარაღით ხელში ერთმანეთის პირისპირ, თუმცა ისინი მონაწილეობდნენ დუელში, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ გრძელდებოდა“, – ვკითხულობთ რიჩარდ ელმანის ნიგნში „ჯეიმზ ჯოისი“ და უნებლიერ მიხეილ ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“ გვახსენდება. ჯეიმზის გრუშნიცკი ოლივერ გოგარტი გახლდათ და არა მხოლოდ ის, მწერალი უპირისპირდებოდა ზოგიერთ სხვა მეგობარსაც, მეტიც – კათოლიკურ ეკლესიას, ირლანდიას და თვით საკუთარ მშობლებსაც კი...  
ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა იყო ამ დაპირისპირების მიზეზი?

### | მარტელოს პოზკი

„ერთადერთი წიგნი, რომელიც დანამდვილებით მომწონს, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირია“. რა თქმა უნდა, ჩემი „სტივენ გმირი“ გაცილებით ვრცელია, თანაც ლერმონტოვის პერსონაჟი დალლილი არისატოკრატი და მამაცი ცხოველია, თუმცა მაინც არის მსგავსება ამ ორი თხზულების მიზნობრიობასა და სათაურებს შორის... ლერმონტოვი წიგნის დასასრულს აღწერს დუელს თავის გმირსა და გ.-ს შორის. გ.-ს ტყვია ხვდება იქ, კავკასიაში, და უფსკრულში ვარდება. გ.-ს პროტოტიპმა, რომელიც მწერლის სატირით იყო გაღიზიანებული, ლერმონტოვი დუელში გამოიწვია. დუელი მართლაც

კავკასიაში შედგა, ზუსტად ისეთი უფსკრულის პირას, მწერალს რომ აქვს აღწერილი. ლერმონტოვი დუელში მოკვდა და უფსკრულისკენ ჩაგორდა. ნარმოიდგინე, ამის წაკითხვისას რა აზრი მომივიდოდა თავში“, – წერდა ჯოისი სტანისლოსს 1905 წელს. ძმას არ უნდა გასჭირებოდა გამოეცნო, ვის გულისხმობდა ჯეიმზი, რომლის გრუშნიცკიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოლივერ გოგარტი გახლდათ.

ჯეიმზი, ოლივერი და სემუელი (სემუელ ტრენჩი, ანგლო-ირლანდიული ნარმომავლობის ოქსფორდის სატუდენტი) 1904 წლის 15 სექტემბერს მარტელოს კოშკში იმყოფებოდნენ. ეს კოშკი რამდენიმე ასეული წლის წინათ აეშენებინათ ნაპოლეონის შემოსევისგან თავ-

დასაცავად, თუმცა სქელი კედლების გამო შეუძლებელი აგებულს ჰგავდა. შესასვლელი მიწიდან დაახლოებით ათი ფუტის სიმაღლეზე იყო. კოშკი თოკის კიბით უნდა ასულიყავით, კარი კი სპილენძის უზარმაზარი გასაღებით იღებოდა. ოთახიდან, რომელიც გოგარტმა და ჯოისმა სამხედრო საქმეთა დეპარტამენტისგან იქირავეს, საუკეთესო ხედი იშლებოდა ირლანდიის სანაპიროზე მწვანედ მოლივლივე ზღვითა და კლდოვანი კუნძულებით. ოლივერი კოშკს ომფალოსს უწოდებდა, რადგან ის ჭიპსაც ჰგავდა და წარმართულ ტაძარსაც, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანი იყო ნეო-პაგანიზმის მიმდევართათვის, როგორც ძველი ბერძნებისთვის დელფონის ჭიპის ფორმის ქვის სამისნო.

კოშკი დროდადრო ჰერმეტიკული საზოგადოება იკრიბებოდა ჯორჯ რასელის ხელმძღვანელობით. ცნობისმოყვარე ჯოისმა და გოგარტმა კოშკის პალატების დათვალიერებისას სხვა ოკულტურ წიგნებს შორის ელენე ბლავატსკაიას „რიდეაზდილი იზიდაც“ აღმოაჩინეს. იქვე ნახეს საზოგადოების ერთ-ერთი წევრის, ჯორჯ რობერტსის, ჩემოდანიც, რომელშიც რატომდაც ქალის საცვლებიც იდო, სხვა ნივთებთან ერთად. თურმე ჯორჯი ასტრალურ მოგზაურობაში წასვლას ქალის საცვლებით ამჯობინებდა. გოგარტმა ორი-ოდე საცვალი ამოიღო, აბლაბუდის გრძელტარიან სანმენდზე ჩამოჰკიდა, ზედ კი ასეთი წერილი მიამაგრა, „მე ამას არასდროს ჩავიდენდი, ჯონ ეგლინ-ტონი.“ იმ პერიოდში ჯონ ეგლინტონი თავგამოდებული ცელიბატი გახლდათ. წარმოიდგინეთ, როგორ გააცეცხლებდა რასელს ეს ონბაზობა, თანაც ეჭვს უთუოდ ჯოისზე აიღებდა, რადგან ის ცნობილი იყო თავისი უჩვეულო სარკასტული გამოხდომებით. ფაქტობრივად, ასეც მოხდა. რასელი თურმე ძალიან განაწყენებულა და უთქვამს,

ამას მხოლოდ ჯოისი თუ მოიფიქრებდა. თუმცა სიბრაზე მალე განელებია...

ჯეიმზი, ოლივერისგან განსხვავებით, მარტელოს კოშკი მხოლოდ რომანტიკული გრძნობებისთვის გასაქანის მისაცემად როდი ცხოვრობდა. 1904 წელი ჯოისების მრავალსულიანი ოჯახისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო. მეუღლის, მეის, გარდაცვალების შემდეგ ჯონ ჯოისმა პინა ისევ (ამ-ჯერად უკვე უკანასკნელად) დააგირავა, რომელიც თანხის გადაუხდელობის გამო ერთი წლის შემდეგ საბოლოოდ დაკარგეს კიდეც. გაყიდეს პანინოც, რამაც მომღერლის კარიერაზე მეოცნებე ჯეიმზი სასოწარკვეთამდე მიიყვანა. ოჯახი შიმშილობდა. ყოველივე ამას თან ერთვოდა კონფლიქტი მამასთან, ცოლის გარდაცვალების შემდეგ გამუდმებით რომ სვამდა, სიმთვრალეში კი ჩევევად ჰქონდა, ოჯახის წევრებს (ძირითადად რომელიმე უმცროს ქალიშვილს) ახირებოდა.

შეძლებული ოჯახიდან გამოსული გოგარტისთვის კი ზაფხულის არდადებების პერიოდში მარტელოს კოშკი ცხოვრება მორიგი ბოჰემური თავგადასავალი გახლდათ. მისთვის ჯოისი სამუზეუმო ექსპონატივით იყო. იმავე წლის აპრილში ოქსფორდში ეპატიუებოდა კიდეც, რათა თანაკურსელებისთვის გაეცნო. სამი ფუნტი იშოვედა ჩამოდი, დანარჩენ ხარჯებს მე დაგიფარავ, გამოსასვლელ ტანსაცმელსაც კი დაგახვედრებო, სთავაზობდა. არც ჯეიმზი იყო წინააღმდეგი, ოქსფორდში წარედგინათ, „როგორც მოუთვინიერებელი ჰიბერნიელის ერთ-ერთი სახეობა, მაგრამ სამ ფუნტს ვერ მოუყარა თავი“ (Richard Ellmann, James Joyce, p. 159).

და აი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოგარტი, ჯოისი და ტრენჩი 1904 წლის 15 სექტემბერს მარტელოს კოშკი იმყოფებიან. ანგლო-ირლანდიური წარმომავლო-

ბის ტრენჩი („ულისეს“ პერსონაჟის, ჰეინ-ზის, პროტოტიპი) ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მხურვალე მხარდამჭერია. მისი კოშკში გამოჩენის შემდეგ ჯეიმზი თავს შევიწროებულად გრძნობს. სემუელი მოგზაურობიდან ახალი დაბრუნებულია – მან ასობით მიღი გაიარა ნავით ირლანდიის ტბებზე, მდინარეებსა და არხებზე. ნახევრად ინგლისელი, ბევრი ირლანდიელისგან განსხვავებით, დიდი ენთუზიაზმით სწავლობს გელურს და ახარებს, თუკი ვინმეს ამ ახლად შესწავლილ ენაზე გამოელაპარაკება. მარტელოს კოშკში ყოფნისას ერთგვარ ეიფორიაშიცაა, რადგან მიაჩნია, რომ ირლანდია სოფელ-სოფელ მოგზაურობისას ხელახლა აღმოაჩინა.

დიას, ტრენჩი ჯონის ანტიპოდია, მეტიც, ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე ორ ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებულ ადამიანს. რაც შეეხება გოგარტს, სტანისლოსის აზრით, მას იმხანად ჯეიმზის თავიდან მოშორება სურდა, რადგან არ უნდოდა, ხანგრძლივი დროით ვინმე მის კმაყოფაზე ყოფილოყო. ოლივერს გულის სილრმეში ჯონის სარკაზმის ეშინოდა – შესაძლოა, ის ოდესმე დიდი მწერალი გამხდარიყო და თავის რომანში გაემასხრებინა, აი, რას უფროთხოდა ოლივერი. ამიტომ ერჩია, ბოჭემური სპექტაკლი გაეთამაშებინა, რათა უხეში ხუმრობებით შევიწროებული ჯეიმზი კოშკიდან გაექცია.

საბოლოოდ ასეც მოხდა, ჯონის სანოლის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს...

## II მოჩვენება

„ულისეში“ საუბარია, ძილში ავაზის ხილვამ როგორ შეაშფოთა ინგლისელი სტუმარი, რომელმაც რამდენჯერმე გაისროლა.

– მთელი ღამე პოდავდა, შავი ავაზა

ელანდებოდა, – თქვა სტივენმა იარაღს სად ინახავს?

სტივენი დაფეთებულია. არც მალავს, რომ შეეშინდა.

– ამ მიყრუებულ ადგილას, სიბნელეში, კაცთან, რომელსაც ძლივს ვიცნობ, რომელიც გმინავს და ბოდავს, შავი ავაზა უნდა მოვკლაო. შენ ხალხი დახრჩობას გადაგირჩენია, მე კი გმირი არა ვარ. ის თუ აქ დარჩა, მე წავალ, – ეუბნება სტივენი ბაკ მალიგანს.

რომანში 1904 წლის 15 სექტემბრის ღამით მომხდარი მოვლენები ოდნავ შეცვლილია. სემუელ ტრენჩმა (ჰეინზის პროტოტიპმა) მართლაც გაისროლა ბუხრის მიმართულებით, როცა შავი ავაზა ესიზმრა. შემდეგ მხარი იცვალა და ძილი განაგრძო. ხოლო, როდესაც კვლავ აღრიალდა და კოშმარულ ბოდვაში ავაზა ახსენა, რევოლვერი უკვე ოლივერმა აიღო, „ავაზას მე მივხედავ“, თქვა და ჯონის საწოლის თავზე გაკეთებული თაროებისკენ გაისროლა. ტყვიები ქილებს მოხვდა. მომხდარი ჯონისმა მინიშნებად მიიღო. გოგარტი ამ უხეში ხუმრობით ჯონის, ფაქტობრივად, კოშკიდან აძევებდა, ჯეიმზიც წავიდა, სიტყვის უთქმელად, წვიმაში. ის ჯერ ღამის გასათევად ნათესავ მიურებს ესტუმრა, რამდენიმე დღეში კი მამაც მოინახულა იმის სათქმელად, რომ ირლანდიის დატოვებას აპირებდა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ჯონ ჯონის მიხვდა, რომ უფროსი ვაჟისთვის სამშობლოდან გამგზავრება უკეთესი იქნებოდა.

ამრიგად, სწორედ მარტელოს კოშკში მომხდარმა ინციდენტმა, კერძოდ კი ავაზის მოჩვენებამ, დააჩქარა ჯონის ემიგრაცია. თუმცა დუელი ამით არ დასრულებულა. პასუხს, როგორც მწერალმა მოგვიანებით თავის მეგობარ კოსგრეივთან განაცხადა, გოგარტი „სტივენ გმირის“ ფურცლებიდან მიიღებდა...

### III გოგართი და კოსგრეივი

დუბლინიდან გამგზავრებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1909 წლის 6 აგვისტოს, ოლივერ გოგარტმა, ამჯერად უკვე კონსპირაციულად, კიდევ ერთხელ სცადა რადიკალურად შეცვალა ჯონის ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, თავად მწერალი დარწმუნებული იყო, რომ ნორა ბარნაკლის დისკრედიტაციის სცენარი, რომელშიც მთავარ როლს კოსგრეივი ასრულებდა, სწორედ ოლივერის დაწერილი გახლდათ. აღნიშნული წლის ზაფხულში ჯეიმზი ირლანდიაში იყო ჩასული თავის ვაჟიშვილ ჯორჯოსთან ერთად „დუბლინელების“ გამომცემელთან კონტრაქტის გასაფორმებლად. იგეგმებოდა ცოლის ნათესავებთან სტუმრობაც გოლვეიში. ასევე, თუკი საშუალება მიეცემოდა, დუბლინის ეროვნულ უნივერსიტეტში იტალიური ენის პროფესორის ადგილიც უნდა ეშვა (ეს გეგმა მალევე ჩაიშალა, რადგან მხოლოდ საღამოს კლასები შესთავაზეს მცირე ანაზღაურებით).

ჯონის მდგომარეობას ზოგიერთი „მეგობრის“ თვალში, წესით, შურის გრძნობა უნდა აღეძრა. ჯეიმზმა, ასე თუ ისე, აინყო ცხოვრება: ჰყავდა ცოლი, შვილები, მუშაობდა ტრიესტში, წიგნის გამოცემასაც აპირებდა... მაშინ, როცა კოსგრეივი მსგავს რაღაცებზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდა. მართალია, ჯონის მასთან ერთი უსიამოვნო მოგონება აკავშირებდა (1904 წელს სტივენზ გრინზე, ჩხუბისას გვერდში არ დაუდგა, ჯიბეებში ხელებჩაყოფილი უყურებდა, როგორ ჩაულურჯებდნენ თვალს ჯეიმზს), მაგრამ ძველ მეგობართან ურთიერთობას მაინც არ გაურბოდა. გეგმავდა, თავისებურად ეძია შური, „ულისეში“ გვარად ლინჩს შეურჩევდა (ლინჩი გოლვეის მერი იყო, საკუთარ ვაჟს სასიკვდილო განაჩენი რომ

გამოუტანა), თან იუდას შეადარებდა და თვითმკვლელობასაც უწინასწარმეტყველებდა „კირკეს“ ეპიზოდში, „Exit Judas. Et laqueo se suspendi<sup>g</sup>“ („იუდა გავიდა. წავიდა და თავი ჩამოიხრჩო“). საგულისხმოა, რომ კოსგრეივმა მართლაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე – მდინარე ტემზაში დაიხრჩო თავი „ულისეს“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

დიახ, ჯონისის იარაღი სარკაზმი გახლდათ და ყოფილ მეგობრებსაც ყველაზე მეტად მწერლის „ხელოვნების ლანცეტის“ ეშინოდათ. სწორედ ამიტომ ცდილობდა გოგარტი მასთან შერიგებას. 1909 წლის ზაფხულში რამდენჯერმე მიიპატიუა – ჯერ ბარათით, შემდეგ პირადადაც. სთავაზობდა, მოდი ჩემთან კლინიკაში, უფასოდ გამოგიყვლევო. ოჯახშიც იწვევდა, გროგი, ღვინო, ჩაი ან ყავა დავლიოთ, თან მეულესაც გაგაცნობო, მაგრამ ჯეიმზი შეუვალი იყო. ჯიუტად უმეორებდა, მარტელოს ეპიზოდს ჩემს რომანში აუცილებლად ჩავრთავო.

– რა გინდა, ბოლოს და ბოლოს, მაინცდამაინც ჯოჯოხეთში უნდა მოვხვდე? – აღმოხდა თურმე გოგარტს.

– მე შენდამი არანაირი ბოროტი ზრახვები არ გამაჩინია, რადგან მჯერა, რომ რაღაც კეთილი თვისებებიც გაქვს. ექვსი წლის წინანდელი ამბები უკვე წარსულს ჩაპარდა. თუმცა მაინც ვაპირებ, მათ შესახებ დავწერო, – უპასუხა ჯონისმა.

ყოფილმა მეგობრებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაშორდნენ.

სწორედ ამ საუბრის შემდეგ შეეცადა (სავარაუდოდ, გოგარტისგან შეგულიანებული) კოსგრეივი ნორა ბარნაკლის დისკრედიტაციას:

– თუ გახსოვს, გეუბნებოდა, დღეგამოშვებით შევხვდეთ, სხვა დღეებში სასტუმროში მიწევს მუშაობაო, \*\* გატყუებდა, სასტუმროში კი არ რჩებოდა, მე მხვდებოდა, ღამით ერთად

ვსეირნობდით მდინარის ჩაბნელებულ სანაპიროზე.

ჯეიმზი მეგობრის ამ ე. ნ. „აღ-სარებამ“ სასოწარკვეთაში ჩააგდო. ერთ საათში ის ნორას წერილს წერს, ღალატსა და სიცრულეში ადანაშაულებს, თან ემუქრება, დუბლინს ახლავე დავტოვებ, არც ჯორჯოს წავიყვან გოლვეები, არც ჩემს საქმეებს დავას-რულებ, რადგან უმჯობესია, ჩვენი ურ-თიერთობა სწრაფად გავარკვიოთო.

„ო, ნორა! ნორა! ნორა! მე ახლა ველაპარაკები იმ გოგონას, რომელიც მიყვარდა, მას მოყავისფრო-მოწითალო თმა ჰქონდა, ის მომეტმასნა, ხელში იოლად ჩამიგდო და მამაკაცად მაქცია.

ტრიესტში გამოვემგზავრები, როგორც კი სტენი ფულს გამომიგზავნის და შემდეგ ალბათ გავარკვევთ, რა იქნება ჩვენთვის უმჯობესი...“ – ვკითხულობთ 1909 წლის 6 აგვისტოთი და-თარიღებულ წერილში. თუმცა ჯოისი სიტუაციაში გასარკვევად ცდა დიდხანს არც დასჭირვებია, რადგან ჯერ მეგობარმა ბირნმა, შემდეგ კი უკვე სტანისლოსმაც დაუმტკიცეს, რომ კოსგრეივი ცრულდა. თურმე ძმა ექვსი წელი არ უმხელდა, რომ კოსგრეივს ჯერ კიდევ 1904 წელს ჰქონდა მცდელობა ჯეიმზსა და ნორას შორის ჩამდგარიყო, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. „კოსგრეივმა დამაფიცა არ გამამხილოო, ამის გამო არ გეუპნებოდი აქამდე, თუმცა ყოველთვის ვცდილობდი მიმენიშნებინა, რომ მოღალატედ უნდა ჩაგეთვალა“, წერდა ძმა.

ჯოისს ეჭვები საბოლოოდ გაეფანტა და სიცოცხლის ხალისიც დაუბრუნდა, ის მეუღლეს წერილში პატიებას თხოვს:

„ჩემო ტკბილო და ღირსეულო ნორა, გთხოვ, მომიტევო ჩემი საძაგელი საქციელი, მაგრამ ჭკუიდან გადამიყვანეს. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მათ ღარისულ შეთქმულებას, სიყვარულო. ხომ მაპატიებ, ჩემო ტკბილო?“

ჯეიმზი და ნორა შერიგდნენ, თუმ-

ცა გოგარტი მაინც ვერ გაექცა ჯოისის სარკაზმს. მარტელოს კოშკში მომხდარი ამბები მწერალმა „ულისეს“ პირველსავე ეპიზოდში აღწერა, ოლივერი კი „წარმოსადეგი, ჩასუქებული, ბაკ მალიგანის“ პროტოტიპად აქცია, ჰომეროსის ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟის, ანტინოეს, პაროდიულ ანალოგიად. „ტელემაქეს“ ეპიზოდშივე მოხვდა რამდენიმე სტროფი გოგარტის იმ ღვთისმგმობი ლექსებიდან, რომელთა გამოქვეყნებასაც ავტორი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ეს გახლდათ ერთგვარი შურისძიება, ერთ-ერთი ეპიზოდი იმ დუელისა, დროში რომ გაიწელა...

## IV უფროსი ძმის შიში

ჯოისი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებებსა თუ პირად წერილებში ცდილობდა, ირლანდიდან გადახვეწის უმთავრეს მიზეზად თანამემამულებთან დაპირისპირება წარმოეჩინა. ეს ნანილობრივ ასეც იყო. მწერალი რაღაცით უძლებ შვილსაც ჰეგვდა, რომელიც დედას (ირლანდიას) იმ ნეზვს ადარებდა, საკუთარ გოჭებს რომ ჭამდა; მამას (კათოლიკურ ეკლესიასა და პარლამენტარებს) – მოღალატეებს, რომლებმაც ისე მიჰყიდეს ინგლისელებს ირლანდიის ეროვნული გმირი, პარნელი, რომ მათგან ოცდაათი ვერცხლიც არ აუღიათ. თუმცა უძლებ შვილს ყველაზე მეტად მაინც უფროსი ძმის (თანამემამულეების) ეშინოდა. ერთხელ ლონდონში საკუთარი პიესის „გნდევნილნის“ დადგმის შემდეგ ყოფილმა მოსწავლემ და მეგობარმა ეტორე შმიტზმა გაოცებით ჰკითხა:

– გადასახლებულნი? რატომ უწოდებ მათ ასე? ეს ხალხი ხომ სამშობლოში ბრუნდება?

– ნუთუ არ გახსოვს, როგორ დახვდა უძლებ შვილს ძმა მამამისის სახლ-

ში? – კითხვითვე უპასუხა ჯოისმა, – სამშობლოს დატოვება საშიშია, მაგრამ უფრო სახიფათო დაპრუნებაა, რადგან შენი თანამემამულენი, თუკი საშუალება მიეცემათ, გულში დანასაც კი გაგიყრიან“ (Richard Ellmann, James Joyce, p. 300).

ჯოისისთვის გულში დანა, რა თქმა უნდა, არავის გაუყრია, მაგრამ ის სულიერი და ფიზიკური ძალების სრულ გამოფიტვამდე მიიყვანეს 1912 წელს გამომცემელმა რობერტსმა, ადვოკატმა დიქსონმა, პოლიგრაფისტმა ფოლკონერმა და სხვებმა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ რობერტსმა სრულიად მოულოდნელად განუცხადა, რომ უარს ამბობდა „დუბლინელების“ გამოცემაზე წიგნის ანტიირლანდიური ხასიათის გამო. მანამდე კი რას აღარ ითხოვდა: წიგნში ნახსენები კომპანიების, საჯარო მოხელეებისა თუ ლუდჩანების მფლობელების სახელების შეცვლას, მთელი რიგი აბზაცების გადაკეთებას და სხვა... გამომცემლისგან ერთ-ერთი წერილის მიღების შემდეგ ჯოისს მოეჩევენა, რომ მომავალი აღარ ჰქონდა. თითქოს ყველაფერი ერთდროულად დაკარგა, ფულიც, იმედიც და ახალგაზრდობაც... მთელი საათი სავარძელში გაუნძრევლად იჯდა და თავში ერთი უცნაური აზრი უტრიალებდა – რევოლუციი ეყიდა და რობერტსი გონს მოეყვანა... დუბლინში კი ჭორი დადიოდა, თავის საცოლეს შეპირდა, ამ საეჭვო ხასიათის წიგნს არ გამოვცემო. მამა ურჩევდა, ახალი გამომცემელი მოეძებნა, თუმცა ჯემზი იმედს არ კარგავდა. ის მზად იყო, რობერტსთან ერთად „დუბლინელებში“ ნახსენები ლუდჩანები შემოევლო, რათა დაერწმუნებინა, რომ მათი მეპატრონეები არ იყვნენ წინააღმდეგნი, ნამდვილი სახელებით მოხვედრილიყვნენ წიგნში, პირიქით, ჯოისის აზრით, გაუხარდებოდათ კიდეც, რადგან ეს მათთვის რეკლამა იქნებოდა. მაგრამ რობერტსი არავის მონახულებას არ აპირებდა, მან

ეს საქმე თავის ადვოკატს, ვინმე დიქსონს გადააბარა, რომელმაც მწერალთან პირად საუპარში მოგვიანებით დანანებით აღნიშნა: „რა სამწუხაროა, რომ ტალანტს, რომელიც უთუოდ გაქვთ, ისეთი წიგნის შექმნისთვის იყენებთ, როგორიც „დუბლინელებია“ და არა სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.“

დიახ, ირლანდია თავისუფლებისთვის იპრიოდა, მას გამხნევება სჭირდებოდა, საპრძოლო შეძახილი და არა ისეთი ნანარმოები (თუნდაც გენიალური), რომლის პირველსავე მოთხოვნაში („დები“) ირლანდიის სიმბოლოდ დამბლადაცემული მღვდელი იქნებოდა გამოყვანილი.

რობერტსი და ჯოისი თითქოს შეთანხმდნენ კიდეც, მწერალი აბზაცებს არ გადააკეთებდა, თუმცა საკუთარ სახელებსა და საზოგადოებრივი ადგილების დასახელებებს შეცვლიდა. ჯოისი თანახმა იყო, ტექსტის აკრფის საფასურიც კი წინასწარ გადაეხადა, მაგრამ „დუბლინელები“ მაინც არ გამოიცა. ამჯერად მესტამბე, ჯონ ფალკონერი, ჩაერთო საქმეში, ის უარს ამბობდა, არაპატრიოტული წიგნის გამოცემაში მიეღო მონაწილეობა, კარგი გასამრჯელოს საფასურადაც კი. ჯოისის თხოვნამ არ გაჭრა, 1912 წლის 11 სექტემბერს „დუბლინელების“ სანახევროდ აწყობილი ტექსტის ფოლგები დემონსტრაციულად განადგურდა, ისინი ჯერ დააჭუცმაცეს, შემდეგ კი დაწვეს. ჯოისს ისლა დარჩენოდა, სარკასტული ლექსი დაეწერა წიგნის დამწველზე Gas from a Burner და ირლანდია დაეტოვებინა, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

## V არჩევანი

ადამიანის ფსიქიკაში ოდითგანვე ღრმად იყო გამჯდარი სამშობლოდან

წასვლისა და თავგადასავლების ძიების სურვილი. ზეპირი საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი პირველი წარლვნამდელი პატრიარქი, ვინც სახლიდან წასულა, იარედი გახდლათ. ის, ალბათ, კაენის მოდგმის ხალხით დასახლებულ ქალაქებში მოგზაურობას უნდა მოეხიბლა, სადაც მეძავებს დაახარჯა მთელი თავისი ქონება, მერე კი მონანიე და სასოწარკვეთილი მამას მუხლებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა. სწორედ ამ ამბავს ეხება იგავი უძლები შვილის შესახებ...

აი, ახლაც, ჰავანაში, კვლავ გაიმარჯვა, ისევე, როგორც მისმა ორმა ამხანაგმა. უძლიერეს მეტოქეს აჯობა 200 იარდზე მეტ დისტანციაზე ცურვაში, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ

გან. თამაში მანამდე დაიწყეს, ვიდრე ბერმუდის კუნძულებს მიუახლოვდებოდნენ. გემრიელად მოკალათდნენ, თითოეული ორ-ორ სკამზე. თუ როგორ უნდა განელაგებინათ თავ-თავიანთი სკამები, ამაზე ჯენტლმენურად წინას-

წარ შეთანხმდნენ: ერთს მეორის ყურ-თან ჰქონდა ფეხები სკამის საზურგებე შემოწყობილი. ასე დაიწყო მათი ზნეო-ბრივი დაცემა. ბერმუდის კუნძულები ჯერ არ ჩანდა.

მეგობრების გადაკრულმა ქირქ-ილმა ჯონი გააღიზიანა და ამიტომ თამაში სამმა დაიწყო. ერთმა მოიგო, ერთმა წააგო, ერთი საწყის მდგო-მარეობას ინარჩუნებდა. ისინი კოჭე-ბით თამაშობდნენ და თითოზე ხუთ-ხუთ ცენტს დებდნენ. მერე ერთ-ერთს ეს საქმიანობაც მობეზრდა და ფეხები სკამიდან ჩამოალაგა. მაშინ იგი ჯონიმ შეცვალა. ახლა უკვე მოსაწყენად არა-ვის ეცალა, რადგან ჯონიმ ხელად მოი-გო. რა არ იცოდა ჯონიმ და პოკერის თამაში, მაგრამ ის, რაც მან იცოდა, იყო პოკერის მოგება. ჯონი ისე თაღლითო-ბდა ხოლმე, რომ დედამინის ზურგებე ვერც ერთი პოკერისტი მას ვერ აპყვე-ბოდა. ხოლო თუკი ვინმე, ვინც ჯონის იცნობდა, მის თაღლითობაში ეჭვს შეი-ტანდა, ჯონი, ვითომც აქ არაფერიო, მაგიდაზე ფლეშს დააგდებდა.

ორი საათის განმავლობაში სრული-ად უსულგულოდ თამაშობდა. აი, დან-არჩენები კი აფორიაქდნენ. ამასობაში მეოთხე კაციც დაბრუნდა, რომელიც სამზარეულოში კარტოფილის მთლელს ადევნებდა თვალყურს და დაინახა, რომ კოჭები ისევ ჩამოერიგებინათ, ოღონდ ახლა უკვე თითოზე თითო დოლარს დებდნენ. თანხის ამ უმნიშვნელო ზრ-დით ჯონის პარტნიორებს ეძლეოდათ ერთადერთი შანსი, როგორმე თავისი წილი ფული უკან ეგდოთ ხელთ. ეს სრულიად უბრალოდ უნდა მომხდარი-ყო: ჯონისთვის უნდა გამოეძალათ ის ფული, რომელიც ჯონიმ მათ ცენტო-ბით აართვა. პირნავარდნილი ოჯახ-ის ბურჯიც კი ვერ ითამაშებდა ასე წინდახედულად, მაგრამ ჯონი კვლავ მართლაც რომ ხვეტდა ფულს.

ამჯერად ექვსი საათი ითამაშეს. ამ ექვსი საათის განმავლობაში

თითოეულს ჯერ კიდევ ყოველ წამს შეეძლო თამაშისათვის თავი მიენებე-ბინა და ჯონისთვის მხოლოდ ჰავანაში მოგებული ფული დაეტოვებინა. ამ ექვ-სი საათის სიმწრისა და დაძაბულობის შემდეგ კი ეს შეუძლებელი გახდა.

ამასობაში ვახშმის დროც მოახ-ლოვდა. სასწრაფოდ მოათავეს ჭამა. ჩანგლების მაგივრად ხელში თითქოსდა სტრიტი ეჭირათ. ჭამდნენ ბიფშტე-ქსს და ფიქრობდნენ როიალ-ფლეშზე. საგრძნობლად ნელა მიირთმევდა მეო-თხე მამაკაცი. მან განაცხადა, ახლა მართლაც გულითა და სულით ვითა-მაშებ, როგორც იქნა, აქაურ მოწყენი-ლობას ოდნავ მაინც მიეცა ხალისიო.

ვახშმის შემდეგ თამაში ოთხივემ განაახლა. რვა საათს თამაშობდნენ. ღამის სამი საათისთვის, როცა ბერმუ-დის კუნძულები უკვე უკან ჰქონდათ ჩამოტოვებული, ჯონი თავის მოგებულ ფულს ითვლიდა.

ხუთი საათი ეძინათ, მაგრამ საკ-მაოდ ცუდად. მერე ისევ განაახლეს თამაში. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელთაც ყველა შემთხვევაში სამუ-დამო გაკოტრება ელოდათ. წინ კიდევ ერთი დღის სავალი გზა ედოთ. ღამის თორმეტი საათისთვის ნიუ-იორკში უნდა შესულიყვნენ. მათ შორის იჯდა ადამიანი, რომელიც თავისი საზიზღა-რი თამაშით ყველას სისხლს უშრობდა და ისინი სწორედ ამ დღეს უნდა დარ-წმუნებულიყვნენ, რომ განგებას ისინი ჯერ სულ მთლად არ გაეწირა.

ნაშუადლებს, როცა სანაპიროს მიმარ-თულებით სხვა გემები შენიშნეს, თავი-ანთ ბინებზე დაიწყეს თამაში. ჯონიმ ყველაფერთან ერთად პიანინოც მოიგო.

ცოტა ხნის შემდეგ თავს უფლე-ბა მისცეს ერთი-ორი საათით მოეს-ვენათ. ამის მერე კი კვლავ ჩაეპნენ გააფთრებულ ბრძოლაში, ახლა უკვე ტანსაცმლისათვის, რომელიც ზედ ეცვათ. ნასადილებს, ასე ხუთი საა-თისთვის ცხადი გახდა, რომ თამაში

კვლავ უნდა გაეგრძელებინათ. იმ კაც-მა, რომელიც ბერმუდის კუნძულებზე შესვლის შემდეგ ჩაერთო თამაში და მაშინ, როცა სხვები თავთავიანთ ჩან-გლებსაც კი ვეღარ ხედავდნენ, მშვი-დად მიირთმევდა, ახლა ჯონის საკუ-თარი ნებით შესთავაზა, ჩემს გოგოზე მეთამაშეო, ანუ თუ ჯონი მოიგებდა, უფლება ეძლეოდა, ვინმე ჯენიფერ სმიტთან ერთად წასულიყო ჰოპოკენ-ში საგუნდო სიმღერის მოყვარულთა საზოგადოების ქვრივების მეჯლისზე, ხოლო, თუ წააგებდა, უნდა დაებრუნებინა ყველაფერი, რაც სხვებს მოუგო. ჯონი დასთანხმდა, მაგრამ ჯერ საქმის ვითარებაში გაერკვა:

- შენ თვითონ ხომ არ წამოგვყვები?
- არც მიფიქრია.
- და არც გაბრაზდები?
- არც გავბრაზდები.
- არც მას არ გაუბრაზდები?
- როგორ თუ არც მას?
- მოკლედ, არც ჯენის გაუბრაზდები?
- არა, ჯანდაბას, არც ჯენის გავუბრაზდები!

და ჯონიმ ისევ მოიგო.

როცა ითამაშებთ, მოიგებთ, მოგე-ბულ თანხას ჯიბეში ჩაიდებთ, საზოგა-დოებას ქუდს მოუხდით და წახვალთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხიფათი გელო-დათ და მას თავი დაალწიეთ, მაგრამ თუ გული საგულეში გიღევთ, კვლავ ზიხ-ართ და თქვენს პარტნიორებს ახალ-ახ-ალ შანსებს სთავაზობთ, თუ არ ჩავთვ-ლით იმ გამონაკლისს, რომ სიცოცხლეს უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში დაამთავრებთ, ივლით მთელი თქვენი ცხოვრება ასე მსარდამსარ თქვენს პარტნიორებთან ერთად და საკუთარი ხელით გაითხრით საფლავს, პოკერის თამაშის დროს ისეთივე მაგარი გული უნდა გქონდეთ, როგორიც ექსპროპრი-ატორს ექსპროპრიაციის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში.

იმ წამიდან, როდესაც ერთ-ერთმა

მოთამაშემ თამაშს თავი მიანება და ჯონი მის მაგივრად ჩაერთო თამაშში, იგი ყველაფერში დაჰყვა თავის პარტ-ნიორებს. მათ ჯონი აიძულეს, გა-ფაციცებით ედევნებინა თვალი ათასო-ბით კარტისთვის. ისინი ზრუნავდნენ, რომ მას დაეკარგა ძილი და მოს-ვენება, ნაჩექარევად ეყლაპა თავისი ულუფები, როგორც მოწინავე მუშას. დიდი სიამოგნებით ჩამოუკიდებდნენ ძაფით ცხვირწინ ბიფშტექსს, რომ ჯო-ნის ამ გაუთავებელი ექვსსაათიანი შუ-ალედებით თამაშისგან მოუწყვეტლად ეკბიჩა იგი. ყველაფერი ეს უზომოდ ეზიზლებოდა ჯონის.

მას მერე, რაც გოგონაზე თამაში მოათავეს, ჯონი წამოდგა. მისი აზრი-თაც კი მეტისმეტი იყო ეს ყველაფერი. გულუბრყვილოდ გაიფიქრა, ჩემმა მეტო-ქებმაც მოათავეს თამაში, როგორც ჩანს, მათთვისაც საკმარისიაო. მის პარტნიო-რებს კი მხოლოდ ჯონის იღბლიანობისა სჯეროდათ და ფიქრობდნენ, რომ მას პოკერის ისე გაეგებოდა, როგორც ლო-კომოტივის მემანქანეს გეოგრაფიისა, მა-გრამ საქმე ისაა, რომ მემანქანე დგას ლიანდაგზე, რომელმაც, ასე თუ ისე, იცის გეოგრაფია: ის მიექანება ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე და სხვაგან არსად არ აღ-მოჩენდება. ზუსტად ამ სისტემით მოიგო ჯონიმ და ახლა მისთვის მთავარი იყო, როგორ დაებრუნებინა მოგებული თანხა თავისი მეტოქებისთვის ისე, რომ მათთ-ვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. ჯონის შეცდომა მისი გული იყო, მისი ზედმეტად მგრძნობიარე გული.

დაუფიქრებლად უთხრა, არ იდარ-დოთ, ყველაფერი ეს ხუმრობა იყო. მათ პასუხი არ გაუციათ. ზუსტად ისე ისხდნენ, როგორც გუშინ და შეჰე-ურებდნენ თოლიებს, რომლებიც ახლა უფრო მომრავლებულიყვნენ.

ჯონიმ დაასკვნა, როგორც ჩანს, 24-საათიანი პოკერის თამაში მათ-თვის სახუმარო საქმე არ არისო. ის მოაჯირს დაყრდნობოდა და ცდი-

ლობდა, რაიმე მოეფიქრებინა. ბოლოს მოიფიქრა: თავის პარტნიორებს შეს-თავაზა, უპირველეს ყოვლისა, მოდი, განვიმუხტოთ და ერთად ვივახშმოთ. რასაკვირველია, მე გეპატიუჟებითო. მას თვალწინ წარმოუდგა მხიარული ქეიფი, ნამდვილი საზეიმო ტრაპეზი. თავად უნდოდა სასმელების შეზავება, ის-ეთების, მუნჯსაც რომ აალაპარაკებდა. ფულზე არ უფიქრია. ხიზილალაზეც კი იზრუნა. ამ ვახშმზე ჯონი დიდ იმედებს ამყარებდა.

მათ უარი არ უთქვამთ. დიდი ალ-ფრთოვანებით არ შეგებებიან ჯონის ამ წინადადებას, მაგრამ მისვლა მაინც გადაწყვიტეს, მეტადრე, რომ ისედაც ვახშმის დრო მოახლოვებულიყო.

ჯონი პურმარილის შესაკვეთად წავ-იდა. მზარეულთან მოსალაპარაკებლად იგი სამზარეულოში შევიდა, თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეპირფერებოდა მას. თავისთვის და თავისი მეგობრები-სთვის ისეთი დიდებული სუფრის გაშ-ლა უნდოდა, რომელიც დაჩრდილავდა ყველა იმ ქეიფის, რომელიც ოდესმე გაემართათ პირველი კლასის ყველა გემზე ჰავანასა და ნიუ-იორქს შორის. მზარეულთან ლაპარაკი ჯონის შვებას ჰგვრიდა.

ამ წახევარი საათის განმავლობაში კი ზემოთ, გემბაზზე კრინტი არ დაძრულა.

ჯონი თვითონ ხელმძღვანელობდა სუფრის გაშლას. თავისი ადგილის გვერდით საგანგებოდ დაადგმევინა პატარა მაგიდა, რომელზედაც სასმელი უნდა მდგარიყო. სკამიდან აუდგომლად უნდოდა მისი ჩამოსხმა. სტუმრების მიპატიუება მზარეულს დაავალა.

ისინი გულგრილი გამომეტყველებით შემოვიდნენ დარბაზში და სწრაფად მიუსხდნენ სუფრას, თითქოს ჩვეულებრივი ვახშამი ყოფილიყო. მხიარულად არავინ იყო. ჯონი ფიქრობდა, სუფრასთან ადამიანი ხალისდება, ვახშმის დროს ისინიც უფრო გახალისდებიან. ჩინებული საჭმელი იყო.

მეფურად ვახშმობდნენ, მაგრამ მაინც უგემური ეჩვენებოდათ ყველაფერი. ქორფა ბოსტნეულს ისე ჭამდნენ, როგორც მუხუდოს სუფს. შემწვარ წიწილებს – როგორც ბუფეტის ქონს. თავთავიანთი მოსაზრებები ჰქონდათ ამ ვახშმის თაობაზე.

უცებ ერთ-ერთმა ლამაზად მოჭიქული ფაიფურის ფიალა აიღო და იკითხა, ეს ხიზილალააო? ჯონიმ დამაჯერებლად უპასუხა, დიახ, თანაც საუკეთესო, ისეთი, როგორის შოვნაც შესაძლებელია ამ მიყრუებულ კიდობან-შიო. კაცმა თავი დაუქნია და პირდაპირ ფიალიდან ამოჭამა ხიზილალა კოვზით. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა მათგანმა მეორეს საუკეთესო ხარისხის გან-საკუთრებულად ლამაზად მორთული სალათი-მაიონეზი დაანახა და ორივემ ჩაიღიმა. ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი ამდაგვარი რამ მასპინძელს არ გამოჰქონდა.

მხოლოდ ყავის სმის დროს მიხვდა ჯონი, რომ მათი ამ ვახშამზე დაპატი-ჯება მისი მხრიდან თავებედობა იყო. ის ფიქრობდა, მოგებულ ფულს მათვე დავახარჯავო, მათ კი ეს ვერც წარ-მოედგინათ. ისინი სწორედ ახლა დაფიქრდნენ სერიოზულად იმაზე, რომ მათ მიერ წაგებული ფული ასე უაზროდ იყრებოდა ამ ქეიფში. ეს დაახლოებით იმას მიაგავს, ქალი რომ გამოსათხ-ოვარ ლამაზ წერილს მოგწერთ, როცა თქვენთან განშორებას გადაწყვეტს. თქვენ მას წაიკითხავთ და გესმით კიდეც თითქოს მისი, მაგრამ დაინახ-ავთ თუ არა, როგორ ჯდება იგი სხვა მამაკაცთან ერთად ტაქსიში, ხვდებით, რაც ხდება სინამდვილეში. ჯონი ახლა უკვე სერიოზულად დაფიქრდა.

საღამოს რვა საათი იყო. გარედან საპუქსირო გემბის საყვირის ხმები ის-მოდა. ნიუ-იორქამდე ოთხი საათის გზა იდო.

ჯონის გული ცუდს უგრძნობდა. იცოდა, რა აუტანელი იქნებოდა მისთ-

ვის გაკოტრებულ ადამიანებთან ერთად ამ მყუდროებას მოკლებულ კაიუტაში ჯდომა. ვერ მოეფიქრებინა, ასე უბრალოდ რა მოემიზეზებინა, რომ ამდგარიყო და გარეთ გასულიყო, მაგრამ ამ ვითარებაშიც გამონახა გამოსავალი: კიდევ ერთხელ შესთავაზა თავის პარტნიორებს, ვითამაშოთო, მე ყველაფერს ჩამოვდივარო.

მათ ყავის ჭიქები დადგეს, ნახევრადდაცარიელებული კონსერვის ქილები მაგიდის კუთხეში მისწიეს და კიდევ ერთხელ ჩამოარიგეს კარტი.

როგორც დასაწყისში, ახლაც ფულზე თამაშობდნენ, ოლონდ, კოჭებს ჩამოდიოდნენ. ჯონიმ შეამჩნია, რომ ფსონის გაზრდა არცერთს არ უნდოდა. ეს კი იმას მიანიშნებდა, რომ ამ თამაშს სამივე სრული სერიოზულობით მოჰკიდებოდა.

პირველივე ჩამორიგების შემდეგ ჯონის ხელში სტრიტი ეჭირა. მიუხედავად ამისა მეორე წრეზე თამაშიდან გავიდა და სვლა დანარჩენებს დაუთმო. როგორც ჩანს, მართლაც ჭუუა ესწავლა.

მეორე და მესამე ჩამორიგებაზე ფსონები საგრძნობლად გაზარდეს. ჯონი არ იმჩნევდა მათ თაღლითობას და თავს ატყუებინებდა, მაგრამ ერთ-ერთმა თვალი თვალში გაუყარა და უთხრა, ნორმალურად ითამაშეო. რამდენიმე ხელი, როგორც თამაშის დასაწყისში, ისე ითამაშა და ზუსტად ისევე მოიგო, როგორც მაშინ. მერე კვლავ მოუნდა კუდის მოქნევა. მასაც ისევე უნდოდა თავისი შანსის გამოყენება, როგორც დანარჩენებს. ისევ შეხედა თავის მეტოქებს. ჩაიხედეს თუ არა მათ თავთავიანთ კარტში, დაყარეს. ახლა ჯონის მთლად წაუხდა საქციელი. ცდილობდა, არ ეწყენინებინა თავისი მეგობრებისათვის, მაგრამ, როგორც კი რაიმე სვლის გაკეთებას დააპირებდა, თავისი პარტნიორების გამჭოლ მზერას გრძნობდა და ვერაფერს ბედავდა, ხოლო როგორც კი აფორიაქდებოდა

და ცუდ სვლას გააკეთებდა, ისინიც უარესად იწყებდნენ თამაშს, რადგან მხოლოდ ჯონის იღბლისა სჯეროდათ. ჯონის დამაჯერებლობა დაეკარგა, ისინი კი ამას მის თაღლითობას მიაწერდნენ. სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ იმაში, რომ ჯონი მათ კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა.

როცა უკვე ყველა სათამაშო კოჭი ჯონის წინ ეწყო, სამივე მოთამაშე წამოდგა. მხოლოდ ჯონი იჯდა გაუნძრევლად, დაბნეული, კარტსა და კონსერვის ქილებში ჩაფლული. თერთმეტი საათი იყო. ნიუ-იორკამდე ერთი საათის სავალი დარჩენილიყო. ოთხი მამაკაცი და ერთი დასტა ბანქოს ქაღალდი, გემის კაიუტაში „ჰავანა-ნიუ-იორკი“.

ცოტა დრო კიდევ ჰქონდათ. რადგან კაიუტაში მძიმე ჰაერი იდგა, სუფთა ჰაერზე ჩამოაგდეს სიტყვა. გემბაზე ასვლა გადაწყვიტეს. ამ ფიქრმა ისინი უკეთეს გუნებაზე დააყენა. ჯონის ჰაერთეს, ჩვენთან ერთად ხომ არ წამოხვიდოდი? ჯონის არ უნდოდა გემბაზე ასვლა.

როცა დაინახეს, რომ ჯონის არ უნდოდა გემბაზე ასვლა, აგრძნობინეს, რომ ამ ფაქტს ისინი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

და აი, მაშინ ჯონის პირველად უღალატა ნერვებმა და დიდი შეცდომა დაუშვა, იმ წამსვე რომ არ წამოდგა ადგილიდან. მათ საბაბი მიეცათ, მის სახეზე შიში ამოეკითხათ, ამან კი, თავის მხრივ, მათ ახალი გადაწყვეტილება მიაღებინა.

ჯონი ხუთიოდე წუთის დაყოვნებით წაჰყვა მათ გემბაზე ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავს. კაბე სიგანეში მხოლოდ ორ კაცს იტევდა. ამიტომ ერთი წინ მიუძღვდა ჯონის, ერთი უკან მისდევდა, ერთი კი მასთან ერთად მიუყვებოდა.

ზემოთ ავიდნენ. გრილი და ნისლიანი ღამე ჩამონილილიყო. გემბანი სველი იყო და მოლიპული. ჯონის უხაროდა, შუაში რომ აღმოჩნდა.

შტურვალს ჩაუარეს, იქ მეზღვაური იდგა. მან ისინი ვერც კი შეამჩნია. როცა მეზღვაურს ოთხიოდე ნაბიჯით გასცდნენ, ჯონის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რაღაც გაუშვა ხელიდან. ამასობაში კიჩოს ჩაუარეს და ბორტს მიუახლოვდნენ. ბორტთან რომ შეჩერდნენ, ჯონის მოუნდა, თავისი ჩანაფიქრი შეესრულებინა და ეყვირა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ამაში რატომ-ლაც ნისლმა შეუშალა ხელი, რადგან, როცა ადამიანი ცუდად ხედავს, ჰგონია, რომ მისი არც ესმით.

ჯონის ხელი ჰკერეს და ბორტიდან წყალში გადააგდეს.

მერე ისევ კაიუტაში შევიდნენ – სამი მამაკაცი და ერთი დასტა ბანქოს ქალალდი, გზად – ნიუ-იორკიდან ჰავანაში. ჭამდნენ ნახევრადდაცარიელებული კონსერვის ქილებიდან თავ-თავიანთ ულუფებს, უჭახუნებდნენ ერთმანეთს ნახევრადჩაცლილ ჭიქებს და საკუთარ თავს ეკითხებოდნენ, ნეტა ჯონი ბეიკერმა, რომელიც ეს-ესაა ბორტის წითელ ნათებასთან ერთად გაუჩინარდა წყალში, თუ იცის ისეთივე კარგი ცურვა, როგორიც პოკერის თამაშიო!?

მაგრამ, როცა ამქვეყნად მეტისმეტად გწყალობს ბედი, ისე კარგად ვერასდროს გაცურავ, რომ ადამიანების-გან იხსნა თავი.

## ღვთის წყალობა

აიღეთ თქვენი სკამები, ჩაის ჭიქები და მოდით ღუმელთან, თან რომის წამოლებაც არ დაგავიწყდეთ. როცა სიცივის შესახებ მოგითხოვთ, თბილად ყოფნა სულაც არ გაწყენთ.

ზოგიერთ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა კი მამაკაცების გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ეპრძვის სენტიმენტალიზმს, შობის დღესასწაულის მიმართ გააფთრებული ანტიპათია უწინდება, მაგრამ პირადად ჩემთვის ერთი შობადლე მთელი სიცოცხლის

მანძილზე უთუოდ საუკეთესო მოგონებად დარჩება. ეს იყო შობის ღამე 1908 წლის ჩიკაგოში.

ამ ქალაქში ნოემბრის დასაწყისში ჩავედი. როცა იქაური საერთო მდგომარეობის შესახებ გავიკითხე, მაშინვე მითხრეს, ამ ისედაც საკმაოდ უსიამოვნო ქალაქში უმკაცრესი ზამთარია მოსალოდნელიო. როცა ვიკითხე, მექვაბებს რა შანსები აქვთ-მეთქი, მითხრეს – არავითარიო. ღამის გასათევს ვეძებდი, ყველაფერი მექვირა. ამგვარი რამ 1908 წლის ზამთარში ჩიკაგოში საკუთარ ტყავზე იგემა ბევრმა, თითქმის ყველა ხელობის ადამიანმა.

მიჩიგანის ტბის მხრიდან მთელი დეკემბერი საშინელი ქარი ქროდა. თვის ბოლოსთვის დახურეს უამრავი ხორცის მაღაზია და საწარმო, უმუშევართა დიდი ტალღა კი ცივ ქუჩებში გამოყარეს.

დილიდან დალამებამდე ქალაქის სხვადასხვა კვარტალში დავწან-წალებდით, სასოწარკვეთილი ვეძებდით რაიმე სამუშაოს და გვიხაროდა, როცა სასაკლაოს უბნის ერთ პანაზინა, ხალხით გადატენილ დუქანში შევაფარებდით ხოლმე თავს. იქ ოდნავ ვთბებდით მაინც და მშვიდად ყოფნაც შეგვეძლო. ავიღებდით ერთ ჭიქავისკის და ვისხედით მანამ, სანამ არ მოგვწინდებოდა. ხოლო ამ ჭიქავისკის საყიდლად მთელი დღის განმავლობაში ყველაფერში ფულს ვზოგავდით. ამასთანავე სითბო, ხმაური და მეგობრები – ეს იყო იმედი, რომელიც ჟერ კიდევ შეგვრჩნოდა.

იმ წლის დამდეგი შობის სალამოსაც იქ ვისხედით. დუქანი ჩვეულებრივზე მეტად იყო გადატენილი, ვისკი – უფრო წყალწყალა, ხოლო საზოგადოება – კიდევ უფრო სასოწარკვეთილი.

არც სტუმარს და არც მასპინძელს საზეიმო განწყობილება აშკარად არ ეტყობოდა. სტუმრის პრობლემა ის გახლდათ, ეს ერთი ჭიქავისკი მთელი ღამე გამოეზოგა, ხოლო მასპინძლისა –

რომ ისინი, ვისაც წინ ცარიელი ჭიქები ელაგა, როგორმე კარში გაესვა.

ათი საათისთვის დუქანში ორმა თუ სამმა პიჭმა შემოაბოტა. ეშმაკმა უწყის, რა გზით ნაშოვნი ფული ედოთ ჯიბეში. ის-ის იყო, შობა უნდა დამდგარიყო. ჰაერში სენტიმენტალიზმი დაფრინავდა და ბიჭებმაც მთელი იქ მყოფი საზოგადოება რამდენიმე ჭიქა ვისკიზე დაპატიჟეს. ხუთი წუთის შემდეგ იქაურობას კაცი ვეღარ იცნობდა.

ყველამ აიღო თავისი კუთვნილი ვისკი (თანაც გაშმაგებით ადევნებდნენ თვალყურს, რომ სასმელი მათთვის კეთილსინდისიერად ჩამოესხათ), შეაერთეს მაგიდები და იქვე მჯდომ, დუქანში მომუშავე გათოშილ გოგოს სთხოვეს, იცეკვეო. თავად ამ ზეიმში მონაწილენი კი ტაქტს ტაშის ცემას აყოლებდნენ. რას გააწყობდი, თუკი თვით ეშმაკს უნდოდა ამ თამაშში მონაწილეობის მიღება. ხოდა, განწყობილებაც შესაბამისი შეიქნა.

დიახ, მთელი ეს ღონისძიება პირველივე წუთებიდან ბოროტებას ემსახურებოდა. ეს ბოროტება კი მიმართული იყო მათ მიმართ, ვისთვისაც საჩუქრების გადაცემა იყო ჩაფიქრებული და ვინც ამას თავად დანებდა. ყველა აღზნებული იყო. ამ ზეიმის მსხვერპლთ კეთილი თვალით არავინ უყურებდა. მუქთა ვისკის პირველივე ჭიქების დაცლის შემდეგ დაისახა გეგმა, ჩატარებულიყო ჭეშმარიტი საშობაო დასაჩუქრება, როგორც იტყვიან, მაღალი სტილის დემონსტრირება.

საჩუქრების არჩევანი ფრიად მწირი იყო, ამიტომ ყურადღება მათ ღირებულებაზე კი არ უნდა გამახვილებულიყო, არამედ იმაზე, რომ ისინი ამა თუ იმ ადამიანისთვის შესაფერისი ყოფილიყო. უფრო მეტიც – ღრმა შინაარსი ჰქონდათ. ჰოდა, დუქნის მეპატრონეს ვაჩუქერ დოქი, სავსე გარედან შემოტანილი თოვლ-ჭყაპით, რომელიც ეზოში ბლომად იდო, აქაოდა, ეს დოქი მომავალ წელსაც

გაგევსოს ასეთივე წყალწყალა ვისკითო. კელნერს ვაჩუქერ ნახმარი დაჭყლეტილი კონსერვის ქილა, რომ მისი სახით სადილის სერვიზის ერთი ნორმალური ნაჭერი მაინც შეჰქმატებოდა. დუქნის გოგოს – კბილებიანი დანა, რათა ამ დანით საპუდრიდან წინა წლებიდან შემორჩენილი პუდრი ამოეფხიკა. ყველა ამ საჩუქარს დამსწრე საზოგადოება, თუ არ ჩავთვლით თავად დასაჩუქრებულებს, გამომწვევი აპლოდისმენტებით შეეგება, მაგრამ მთავარი ხუმრობა ჯერ კიდევ წინ იყო.

საქმე ის გახლდათ, რომ ჩვენ შორის იყო კაცი, რომელსაც აშკარად რაღაც ღრღნიდა. იგი ყოველ საღამოს დუქანში იჯდა. მისი გულგრილობა ყველაფრის მიმართ ბადებდა ეჭვს, რომ ამ კაცს უთუოდ სტანჯავდა რაღაცის გადაულახავი შიში, რომელიც უეჭველად პოლიციასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ყოველი ჩვენგანი ატყობდა, რომ ის კარგ დღეში ნამდვილად არ იყო.

ამ კაცისთვის განსაკუთრებული რამ მოვიფიქრეთ: მეპატრონის ნებართვით ძველი მისამართების წიგნიდან ამოვხიეთ სამი ფურცელი, რომლებზეც მხოლოდ პოლიციის განყოფილებები იყო ჩამოწერილი. საგულდაგულოდ გავახვიეთ ეს ფურცელები გაზეთში და ჩვენს კაცს მივაწოდეთ. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. კაცმა პაკეტი ზანტად გამოგვართვა და გამყინავი ღილილით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. შევამჩნიე, როგორ სინჯავდა პაკეტს თითებით, სანამ მას გახსნიდა. უნდოდა გაეგო, რა იდო შიგ, მაგრამ მერე ძალიან სწრაფად გახსნა ის და მაშინ მოხდა საოცრება: როგორც კი ხელი წაავლო თასმას, რომლითაც „საჩუქარი“ იყო შეკრული, მისი გულგრილი მზერა მოხვდა გაზეთს, რომელშიც ეს ავადსახსნებელი ფურცელები იყო გახვეული. უეცრად გამომეტყველება შეეცვალა. მთელი მისი განელილი სხეული (იგი საოცარი აყლაყუდა იყო) თითქოს

ამ გაზეთთან ერთად დაიგრავნა. თავი ლრმად ჩაქინდრა და კითხვა დაიწყო. არც შემდეგ და არც მანამდე არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ასეთი გატაცებით ეკითხოს რაიმე. მერე თავი მაღლა ასწია და... არც შემდეგ და არც მანამდე არ მინახავს ასე სახეგაბრწყინებული კაცი.

„აი, ახლა, ამ გაზეთში ვკითხულობ“, – თქვა მან გაბზარული, ნაძალადევად მშვიდი ხმით, რომელიც მისი გაცისკროვნებული გამომეტყველებისათვის სასაცილოდ შეუსაბამო იყო. – „რომ, თურმე, მთელი ეს ამბავი კარგახნის გარკვეული ყოფილა. ყველამ იცის ოპაიოში, რომ მე ამ საქმესთან კავშირი არ მქონია“, – და გაიცინა.

ჩვენ კი ყველანი, ვინც იქვე ვიდექ-ით გაოგნებულნი და სულ სხვა რამეს მოველოდით, მივხვდით, რომ ამ კაცს რაღაცაში ბრალი ედებოდა და სწორედ ამ წუთებში შეიტყო გაზეთიდან, რომ, თურმე, რეაბილიტირებული ყოფილა. უეცრად ყველამ მასთან ერთად მთელი გულითა და სულით დავიწყეთ სიცილი.

ქეიფი კიდევ უფრო გახურდა. სულ მთლად მიგვავიწყდა ერთმანეთისთვის მიყენებული ტკივილები და მშვენივრად მოვილხინეთ. დროსტარებამ დილამდე გასტანა. ყველა კმაყოფილი იყო.

და ამ საერთო კმაყოფილებაში, რასაკვირველია, არავის მოსვლია თავში, რომ ხსენებული გაზეთის ფურცელი ჩვენი ნაპოვნი კი არ იყო, არამედ – ღვთისა.

## ჯარისპაცი ლა-სიოტადან

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მაშინ, როცა ზღვაში ახალი გემის შეცურვის აღსანიშნავი სახალხო სეირნობა გაიმართა, სამხრეთ საფრანგეთის პატარა საპორტო ქალაქ ლა-სიოტას მოედანზე ჩვენ ფრანგი ჯარისკაცის ბრინჯაოს ქანდაკება შევნიშნეთ. მის

ირგვლივ ხალხი ირეოდა. როცა მივუახლოვდით, აღმოვაჩინეთ, რომ ეს იყო ცოცხალი ადამიანი, რომელიც ივლისის თაკარა მზის ქვეშ გაუნძრევლად იდგა ქვის კვარცხლბეკზე.

მას მოყვითალო-ყავისფერი ქულაჯა ეცვა, თავზე ლითონის ჩაფხუტი ეხურა, ხელში ხიშტიანი შაშხანა ეჭირა, სახე და ხელები კი ბრინჯაოსფერი ჰქონდა. გაჯგიმული იდგა და სახეზე ერთი კუნთიც არ უტოკავდა. კვარცხლბეკზე, მის ფეხებთან, მიემაგრებინათ მუყაოს ნაგლეჯი. ზედ ეწერა:

## ადამიანი-ჩანდაკება (ჰომეი-სტატუს)

მე ვარ შარლ-ლუი ფრანშერი, ენის პოლკის ჯარისკაცი,

ვერდენთან კონტუზია მივიღე და შევიძინე საოცარი უნარი,

გავძლო სრულიად უმოძრაოდ და ვიდგე ქანდაკებასავით იმდენ

ხანს, რამდენიც საჭირო იქნება. მრავალმა პროფესორმა შეისწავლა

ჩემი ეს უნარი და ის უჩვეულო დაავადებად მიიჩნია. გთხოვთ,

მიწყალობოთ, რამდენსაც შეძლებთ და დამეხმაროთ უმუშევარ მეოჯახეს.

კვარცხლბეკთან ჯამი იდგა. ჩვენ შიგ მონეტა ჩავაგდეთ და აღშფოთებულებმა თავის ქიცინ-ქიცინით გზა განვაგრძეთ.

აი, ვფიქრობდით ჩვენთვის, დგას კბილებამდე შეიარაღებული, მრავალი ათასწლეულის ხნის უძლეველი ჯარისკაცი. ის, ვინც ქმნიდა ისტორიას, ეხმარებოდა აღექსანდრეს ყველა დიდ საქმეში; კეისარსა და ნაპოლეონს, რომელთა შესახებ ჩვენ სასკოლო სახელმძღვანელოებში თუ წავიკითხავთ. იგია, ასე უძრავად რომ დგას და სახეზე წარბიც არ უტოკავს. ის არის კიროსის მოისარი და დამტარებელი კამბიზის საომარი ეტლისა, რომელიც უდაბნოს ქვიშას ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაუ-

ფარავს. ის კეისრის ლეგიონერია, ჩინგიზ-ყავენის ხმალშემართული მხედარი, ლუდოვიკო XV-ის კარზე მომსახურე შვეიცარელი და ნაპოლეონ I-ის გრენადერი. ის არც თუ ისე იშვიათი ნიჭის პატრონია – შეუძლია იდგეს უძრავად მაშინ, როცა მასზე გამანადგურებელ იარაღს სცდიან, ყველანაირს, რომელიც ოდესმე არსებულა. როცა მას სიკვდილზე გზავნიან, ის მტკიცეა, როგორც სალი კლდე (თუ თავად მას დავუჯერებთ). განგმირულია ყველა საუკუნის ლახვრით – ქვის ხანისა, ბრინჯაოსი თუ რკინის. მას გადაუარეს ალექსანდრესა და გენერალ ლუდენ-დორფის საომარმა ეტლებმა, ჰანიბალის სპილოებმა და ატილას ესკადრონებმა. რომ არაფერი ვთქვათ კატაპულტებიდან გამოტყორცნილ ლოდებზე, მას ფლეთდნენ სხვადასხვა იარაღიდან ამოფრქვეული რკინის ნაგლეჯები, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ხვეწდნენ. მას უმიზნებდნენ ტყვიებს, დიდრონებს, მტრედის კვერცხისოდენებს და ფუტკრებივით ჰანინებს.

და აი, ის მაინც დგას, უძლეველი, ყველა ენაზე გაცემული ბრძანებების მორჩილი. იმ ბრძანებებისა, რომლებიც, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, რატომ გაიცა და რისთვის. ის არასდროს დაპჰატრონებია მის მიერ დაპყრობილ მიწებს, ისევე როგორც კალატოზი სახლს, რომელიც თავად ააშენა. მას თავისი იარაღი და ალქურვილობაც კი არ ეკუთვნის. დგას ის და თვითმფრინავებიდან აწვიმს სიკვდილის წვიმა, ზედ ესხმება გალავნებიდან გადმოღვრილი ადუღებული ფისი. დგას სამგლეორისა და დანალმულ მიწაზე, ისუნთქავს იპრიტსა და შავ ჭირს. ის კავალერიის ხმლებისთვის განკუთვნილი ცოცხალი ფიტულია, ცოცხალი სამიზნე. მას ებრძვიან ტანკები და ტყვიამფრქვევები. პირისპირ მტერი უდგას, ზურგს უკან – გენერალი.

ვინ მოსთვლის, რამდენი ხელი უკერ-

ავდა მას მუნდირსა და ჩექმას, უქსოვდა აბჯარს! რა ულევია ის სიმდიდრე, რომელიც მისი წყალობით სხვის ჯიბებში ჩაედინებოდა! ვინ დაითვლის, დედამიწაზე არსებულ რამდენ ენაზე გაცემულა მისთვის განკუთვნილი გამამნევებელი შეძახილები! არ არსებობს ღმერთი, რომელსაც ის არ დაელოცოს! ის, რომელიც შექმული ჰყავს მძვინვარე კეთროვან თმენას, დამარცხებული უსულეულობის განკურნებელ სენს!

ნეტა რა არის ეს კონტუზია, რომელმაც შვა ასეთი დაავადება, ასეთი საშინელი, უცნაური, გადამდები ავად-მყოფობა?

ჩვენ კი მაინც ვეკითხებით საკუთარ თავს: იქნებ მაინც შეიძლება მისგან განკურნება?

## პასუხი

ერთ მდიდარ კაცს ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, რომელიც მთელ თავის ქონებას ერჩია და ეს ცოტას როდი ნიშნავდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე აღარც ქალი იყო ძალიან ახალგაზრდა და აღარც კაცი, ისინი ერთად მაინც გუგულებივით ცხოვრობდნენ. ქმარს ორი მარჯვე ხელი ება – ეს ცოლის ხელები იყო, ხოლო ცოლს – კარგი თავი, ეს ქმრის თავი იყო. ხშირად ეუბნებოდა ქალი ქმარს: – „ძვირფასო, მე ბევრი ფიქრი არ შემიძლია, მე ყველაფერს გულახდილად ვლაპარაკობო“: ქმარს გამჭრიახი გონება ჰქონდა და ამიტომ მისი ავლა-დიდება დღითი დღე იზრდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მოხდა ისე, რომ კაცს ხელში ჩაუვარდა მოვალე, რომლის ქონება მას სულაც არ აწყენდა, თანაც ეს მოვალე კარგი ადამიანი ნამდვილად არ იყო. ამიტომ კაცს მასთან ბევრი ცერემონიები არც დაუწყია, ადგა და ქონება ალუნერა.

მოვალეს უკანასკნელი ღამე უნდა გაეთია იმ სახლში, სადაც მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა და მერე უცხოეთში გადახვეწილიყო. დილით

მისთვის ყვალაფერი უნდა ჩამოერთმიათ.

ის ღამე ქალმა თეთრად გაათია. იწვა ქმრის გვერდით და ფიქრობდა ამ ამ-ბავზე. ბოლოს წამოდგა და შუალამით წავიდა მეზობლად, იმ კაცთან, რომლისთვისაც მის ქმარს ქონება უნდა წაერთმია. იცოდა, საკუთარ ქმარს შეურაცხყოფას რომ აყენებდა, მაგრამ იმ მოვალის შველა მაინც უნდოდა, თანაც სრულიად გააზრებულად, რადგან ვერ იტანდა ადამიანის ჩაგვრას.

ქალმა ასეც იცოდა, მოვალეს ელვიძა, იჯდა ოთხ კედელს შუა და წუთებს ითვლიდა. ქალი რომ დაინახა, შეცბა. ის კი ჩქარობდა, ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად გადაეცა კაცისთვის თავისი სამკაულები.

ქმარს, იმიტომ, რომ ქალს დააგვიანდა, თუ იმიტომაც, რომ გვერდით უცოლობა იგრძნო, გაეღვიძა. სასწრაფოდ წამოდგა და მთელი სახლი შემოიარა. ეძახდა ცოლს, შეშინდა და გარეთ გავიდა.

ამ დროს მეზობლის სახლში შუქი შენიშნა და იქითქენ გაეშურა, ვნახავ ერთი ჩემი მოვალე რაიმეს ისეთს ხომ არ მალავს, რაც უკვე მას ალარ ეკუთვნისო. ფანჯარაში რომ შეიჭყიტა, დაინახა თავისი ცოლი მეზობელი კაცის სახლში, შუალამით! მისი ხმა არ ესმოდა და ვერც იმ ყუთს ხედავდა, ქალს ხელში რომ ეჭირა. ბრაზისგან სისხლი თავში აუვარდა, საკუთარ ცოლში ეჭვი შეეპარა. ჯიბეში დანას სწვდა და გადაწყვიტა, ორივეს მოველავო. უცებ შემოესმა: „გამომართვი ეს ყუთი, მე არ მინდა ჩემმა ქმარმა ასეთი დიდი ცოდვა დაიდოს კისერზე. გულიც არ მინდა ვატკინო, შენ რომ გეხმარები, რადგან კაცად არ ვარგიხარ“, – უთხრა ეს და კარისკენ გასწია. ქმარი სასწრაფოდ მიიმალა. ქალი ძალიან ჩქარა გამოვიდა გარეთ და შინისკენ გაიქცა.

კაცი ჩუმად მიჰყვებოდა უკან. სახლში რომ შევიდნენ, წამოეწია

და უთხრა, ძილი გამიტყდა და ეზოში გავედი, ფიქრებმა შემჭამეს, ვნანობ, იმ საცოდავს სახლ-კარს რომ ვართმევო. ქალს ეს ისე გაუხარდა, ქმარს ჩაეხუტა და ატირდა, მაგრამ, როცა ლოგინში შეწვნენ, კაცი წამუსმა შეაწუხა და ძალიან შერცხვა, რადგან იგი ზედიზედ ორჯერ მოექცა ცოლს ულირსად: ერთხელ, როცა მის პატიოსნებაში შეეპარა ეჭვი, ხოლო მეორედ, როცა მოატყუა. იმდენად შერცხვა, რომ საკუთარ თავს გამოუტყდა, არ ვარ ჩემი ცოლის ლირსიო. ისევ ადგა, ჩაუყვა კიბეს და საფეხურზე ჩამოჯდა. იჯდა დიდხანს, ზუსტად ისე, როგორც მისი მოვალე თავის სახლში. სულ უფრო და უფრო უარესად გრძნობდა თავს და, რადგან მხარში არავინ ედგა და ვერაფერი იღონა, უთენია, ჯერ კიდევ ბინდში, სახლიდან გავიდა და გაჰყვა ქარს, ასე, უმისამართოდ...

მთელი ღამე მირბოდა, უჭმელ-უსმელი. დაადგა ქუჩას, რომელსაც სიცარიელისკენ მიჰყავდა. ჩაუარა სოფლებს, გადაუხვია გზიდან და მოსალამოებულს მიადგა ერთ შავ მდინარეს. მის ნაპირას ერთი დაფეხვილი, უკაცრიელი ქონი იდგა. ირგვლივ, ტრიალ მინდორზე, მსუქანი კომბოსტოები ყვაოდნენ. მდინარე თე-



ვზით იყო სავსე. კაცმა სამი წელიწადი აქ იცხოვრა. დროს თევზაობასა და კომბოსტოს კრეფაში კლავდა, მაგრამ ფიქრები კიდევ უფრო აეშალა. აქაურმა სამარისებურმა სიჩუმებ სულ მთლად გააგიუა და ქალაქს მიაშურა. მერე ქალაქიდან ქალაქში უმისამართოდ ხეტიალი იწყო. ეგდო ეკლესიების კარებთან და მათხოვრობდა. მოგონებებმა ისე შეჭამეს, რომ მათ ველარ უმკლავდებოდა და სმას მიჰყო ხელი. დაძრნოდა, როგორც მანანნალა ძალლი, რომელიც დასაბმელადაც კი უვარგისია.

ამასობაში გამოხდა მრავალი წელი და სწორედ მაშინ, როცა უკვე თითქმის დაპრმავებულიყო, როცა საკუთარი სახელიც კი დავიწყებოდა, მიადგა იმ ქალაქს, რომელშიც მრავალი წლის წინ დიდხანს ცხოვრობდა. მშობლიური ქალაქიც კი ვეღარ იცნო. გარეუბანს არც გასცდენია, ისე დაეგდო იქვე, ერთი დუქნის ეზოში.

ერთ მშვენიერ დღეს, ნასადილევს, ამ დუქნის ეზოში გზად ვიღაც დედაკაცმა შემოუსვია და მედუენეს ლაპარაკი გაუბა. გაიგონა თუ არა მანანნალამ მისი ხმა, გულმა რეჩხი უყო. ისეთი შეგრძნება დაუუფლა, თითქოს შეცდომით შესულიყო დიდ დარბაზში, სადაც უმშვენიერესი მუსიკა უდერდა, იქ შესვლის ნება კი არ ჰქონდა. კაცმა იცნო თავისი ცოლი. ის იქვე იდგა და ლაპარაკობდა. კრინტიც ვერ დაძრა და, როცა ქალმა გვერდით ჩაუარა, მხოლოდ ხელის გაშვერა მოახერხა. ქალმა ქმარი ვერ იცნო, იმდენად აღარ ჰგავდა იგი თავის თავს. სახეზე ისეთი ტანჯვა ენერა, კაცს მეორედ მისკენ გახედვაც არ მოუნდებოდა. ამდენ მათხოვარში ის ყველაზე ამაზრზენი იყო. მოკლედ, ის იყო, ქალი მანანნალისთვის გვერდის ავლას აპირებდა, რომ კაცმა, როგორც იქნა, გახსნა პირი და ამოიღოულლუდა: – „ქალო!“

მაშინ დაიხარა ქალი და მიაშტერდა მათხოვარს. მუხლები მოეკვეთა, გაფითრდა. კაცს ახლა უკვე თავისი გულისცემაც კი არ ესმოდა, მხოლოდ

ცოლის ხმა გაიგონა. ის ეუბნებოდა: ჩემო საყვარელო, იმდენ ხანს მალოდინე, სანამ საზიზლარი შესახედი არ შევიქენი. ეს შვიდი წელი წამებით განვ-ვლე და შენში კინალამ ეჭვი შემეპარაო.

## პველი ქუდი

პარიზში ჩემი „სამგროშიანი ოპერის“ რეპეტიციის დროს თვალში იმთავითვე ერთი ახალგაზრდა მსახიობი მომხვდა. იგი თამაშობდა ფილხს – დაბეჩავებულ ყმაწვილს, რომელიც ცდილობს ჭეშმარიტი მათხოვრის ხელობის დაუფლებას. მსახიობმა სხვებთან შედარებით რეპეტიციას ადვილად გაართვა თავი. იქცეოდა ფრთხილად და მოზომილად, უსმენდა საკუთარ თავს და მაყურებლის ყურადღება მის მიერ აღმოჩენილ ადამიანურ თვისებებზე გადაჰქონდა. სულაც არ გამკვირვებია, როცა ერთ მშვენიერ დილას მთავარი როლის შემსრულებელთან ერთად ვნახე იგი საგრიმიორში შესული, ისე, რომ მისთვის ეს არავის დაუვალებია. თავაზიანად მითხრა, ჩემი როლისთვის ქუდი უნდა შევარჩიოთ. სანამ მე მთავარი როლის შემსრულებელ ქალს კოსტიუმის ამორჩევაში ვეხმარებოდი, რამაც რამდენიმე საათს გასტანა, ცალი თვალით ვუთვალთვალებდი, თუ როგორ არჩევდა ახალგაზრდა ქუდს. მან თავის საქმიანობაში გარდერობის მომსახურე პერსონალიც ჩააბა და ძალიან მალე მის წინ ქუდების მთელი გროვა ეწყო. თითქმის ერთი საათის განმავლობაში კი ამ გროვიდან ორ ქუდს ათვალიერებდა. ახლა ამ ორიდან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. ამასაც ერთი საათი მოანდომა. არასოდეს დამავიწყდება ის ტანჯული გამომეტყველება, რომელიც მას დამშეულ და მრავლისმთქმელ სახეზე ედო. ასე ადვილად ვერ მიეღო გადაწყვეტილება. ყოყმანობდა, აიღო ერთი მათგანი და უყურებდა იმ კაცის გამომეტყველებით, რომელსაც

თითქოს თავისი სიმწრით ნაგროვები უკანასკნელი ფული ისეთ საჭომანო საქმეში ჩაედო, რომლისგანაც მოგებას არც უნდა მოელოდე. მერე ყოყმანითვე დადო უკან, თუმცა არც ის იყო გამორიცხული, კვლავ რომ აეღო. ეს ქუდი, რასაკვირველია, სულაც არ იყო უბადლო, მაგრამ სხვებს, როგორც ჩანს, სჯობდა. მეორე მხრივ, საუკეთესოდაც რომ მიგვეჩინია, მაინც არ იყო სრულყოფილი. მერე ხელი დაავლო მეორე ქუდს, რომელიც ცოტა წნის წინ განზე გადადო, ისე, რომ იმ პირველისთვის თვალი არ მოუწყვეტია. ამ ქუდს, როგორც ჩანს, რაღაც უპირატესობა ჰქონდა, თუმცა ეს უპირატესობა და იმ პირველი ქუდის წუნი სრულიად სხვადასხვა სახისა უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ უჭირდა ამ ორიდან ერთის ამორჩევა. ამ ქუდს უნდა გამოეხატა ადამიანის დაბეჩავების სტადიების ყველა ნიუანსი, ძნელად შესამჩნევი უცხო თვალისთვის. ამ ორი ქუდიდან ერთი, ალბათ, თავის დროზე მეორეზე ძვირფასი იქნებოდა, მაგრამ ახლა მასზე უფრო გაქუცული ჩანდა. ნეტა ფილხს ოდესმე თუ ჰქონია ძვირფასი ქუდი? ან თუნდაც უკეთესი, ვიდრე ის მეორე ქუდი იყო. ნეტა რამდენად შელახული იქნებოდა იგი? უვლიდა ნეტა საწყალი ფილხი თავის ქუდს? ექნებოდა კი მისი მოვლის თავი? ეხურა საერთოდ ფილხს ქუდი ოდესმე, კარგ დროს? ან კი რა ხნის წინ იყო ეს კარგი დროება? რამდენ ხანს შეძლებდა ამ ქუდის ტარებას? ფილხს საყელო რომ არ სჭირდებოდა, ეს ერთ-ერთ ძილგატეხილ დამეს გადაწყდა: ქუჭყიან საყელოს სჯობს, საერთოდ არ გეკეთოს იგი (ლმერთო, დიდებულო, ხომ მართლაც ასეა?!?) საკამათო აღარაფერი იყო, მაგრამ მაინც რანაირი უნდა ყოფილიყო ეს ქუდი? მე დავინახე, როგორ დახუჭა მსახიობმა თვალები, თითქოს ზეზეულად სძინავსო. კვლავ წარმოუდგა თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით

ადამიანის დაბეჩავების ყოველი სტადია. კვლავ გაახილა თვალები, როგორც ჩანს, გონება არ უნათდებოდა. ქუდი მექანიკურად ჩამოიფხატა თავზე, ცდილობდა, გადაწყვეტილება ემპირიულად მიეღო. შემდეგ ისევ მოჰკრა თვალი მეორე ქუდს, რომელიც იქვე იდო. სტაცა მას ხელი და იდგა ასე კარგა ხანს – თავზე ერთი ქუდი ეხურა, ხოლო ხელში მეორე ეჭირა. იდგა ეჭვებით განადგურებული ხელოვანი, გატანჯული და განჯადოებული, ყოყმანით გვთავაზობდა თავის გადაწყვეტილებებს. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, საჭირო იყო იმ ერთადერთი გზის პოვნა, რომლის მეშვეობითაც უნდა წარმოეჩინა თავისი ჰერსონაჟი, გადმოეცა მისი ბედ-ილბალი და ხასიათი, მისი არსებობის ეს ერთი ეპიზოდი, სასცენო ცხოვრების ოთხეწიანი დროის მონაკვეთში.

როცა ისევ გავხედე მას, დამაჯერებელი უესტით მოიხადა თავზე ჩამოფხატული ქუდი, ქუსლებზე მკვეთრად შემობრუნდა და ფანჯარასთან მივიდა. ქუჩას კი გაჰყურებდა, მაგრამ მისი ფიქრი სხვაგან ქროდა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გახედა ისევ ქუდებს. ამჯერად – უდიერად, თითქმის ნალვლიანად. იგი მათ შორიდან, ცივი მზერით სინჯავდა, მინიმალური ინტერესით. შემდეგ ისე, რომ ფანჯარაში არც გაუხედავს, ფეხაკრეფით მიეპარა ქუდებს, დასტაცა ხელი ერთერთს და მაგიდაზე მოისროლა, ანუ ეს გამიხვიეთო.

შემდეგ რეპეტიციაზე დავუნახე კბილის ჯაგრისი, რომელიც პიჯაკის მარჯვენა ჯიბიდან გამოსჩროდა, დასტურად იმისა, ხიდის ქვეშაც რომ მომიწიოს ცხოვრება, ცივილიზაციის ამ აუცილებელი რეკვიზიტის გარეშე მაინც ვერ გავძლებო. ამ ჯაგრისმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ფილხი საუკეთესო ქუდის პოვნის შემთხვევაშიც კი არ იქნებოდა კმაყოფილი.

აი, ეს კაცი, – გავიფიქრე ბედნიერ-მა. – არის სამეცნიერო-ტექნიკური საუკუნის ჭეშმარიტი მსახიობი.

## მთარგალი

თუ რა მრავლისმთქმელი შეიძლება იყოს ადამიანის ქცევა, მშვენივრად გამოჩნდა ამასწინანდელი ერთი შემთხვევის დროს კინოსტუდია „მეურაბ-კომ-რუსში“. თავისითავად ეს შემთხვევა დიდს არაფერს წარმოადგენდა და არც არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ რაღაც შემზარავი მასში მაინც იყო.

იღებდნენ ფილმს „თეთრი არწივი“, რომელშიც ნაჩვენები იყო ჩრდილოეთ რუსეთში პოლიციის სამარცხვინო საქციელად მიჩნეული ომის წინა პერიოდის დარბევები. უეცრად პავილიონში ვიღაც მოხუცი გამოცხადდა და გადამდებ ჯგუფს სამსახური შესთავაზა. მან როგორდაც მთავარი შესასვლელიდან საგარდერობოში შეაღნია და შევიცარს გამოუცხადა, თავს უფლებას მივცემ დამსწრეთა ყურადღება მივაპყრო ჩემსა და გუბერნატორ მურატოვის საოცარ მსგავსებაზეო. მურატოვი გახლდათ ზემოხსენებული სისხლისღვრების ინიციატორი და ამ ფილმის მთავარი პერსონაჟი. შევიცარმა კაცი აბუჩად აიგდო, მაგრამ გაგდებით იმ წამსვე ვერ გააგდო, რადგან იგი მეტისმეტად მოხუცი იყო. და, აი, იდგა მსახიობებს შორის მაღალი და ხმელი მოხუცი, შლაპით ხელში, სტატისტებისა და სცენის მუშების ორომტრიალში, როგორც ჩანს, იმ იმედით, რომ მისი ასეთი გასაოცარი მსგავსება ადამიანთან, რომელიც ცნობილი იყო პირსისხლიანი ძალის სახელით, ცოტა ხნით მაინც უზრუნველყოფდა მას ჭერითა და სარჩოთი.

ასე იდგა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. რადგან იძულებული გახდა, დანარჩენებისათვის გზა დაეთმო, ნაბიჯ-ნაბიჯ, უკან-უკან მიჩოჩავდა მანამ, სანამ რეჟისორის პულტთან არ

ამოყო თავი. აი, მაშინ კი იმ წამსვე მიაქციეს ყურადღება. გადაღებაზე შესვენება იყო გამოცხადებული. მსახიობთა ნაწილი ბუფეტში წასულიყო, ნაწილი კი პავილიონში შეჯგუფებულიყო და ლაყბობდა. მურატოვის როლის შემსრულებელი, ცნობილი მოსკოველი მსახიობი კოხალოვი, დასარეკად შვეიცარის ჯიხურში შესულიყო და ტელეფონით ლაპარაკობდა. მომღიმარმა შვეიცარმა მას მუჯლუგუნი წაჰერა. მსახიობი მობრუნდა და პულტთან მოხუცი დაინახა. კოხალოვს ძველი ფოტოების მიხედვით ჰქონდა გრიმი გაკეთებული და ერთბაშად ყველამ შენიშნა მისი საოცარი მსგავსება პულტთან მდგომ კაცთან, რომლის შესახებ შვეიცარი უკვე მსახიობს ელაპარაკებოდა.

ნახევარ საათში მოხუცი რეჟისორებისა და ოპერატორების გარემოცვაში აღმოჩნდა. იდგა, როგორც თორმეტი წლის იესო ტაძარში და მათ თავის სამუშაო პირობებს უთანხმებდა. სიტუაცია არ დაძაბულა, რადგან კოხალოვს თავიდანვე არ ჰქონდა მაინცადამაინც იმისი სურვილი, რომ თავისი პოპულარობა ამ საშინელი მტარვალის როლის შესრულების რისკის ფასად საფრთხეში ჩაეგდო, ამიტომ უყოყმანოდ დასთანხმდა „საოცარი მსგავსების“ მოხუცის გასინჯვაზე.

კინოსტუდია „მეურაბკომრუსისთვის“ ისტორიულ როლებზე მსახიობების მაგივრად ტიპაჟის მიხედვით ქუჩიდან მოყვანილი ადამიანების აყვანა უცხო არ იყო. სრულიად განსაზღვრული სარეჟისორო სისტემის მიხედვით, რომელსაც მსგავს შემთხვევებში მიმართავდნენ, ახალ მურატოვს სქემატურად განუმარტეს იმ ისტორიულ მოვლენათა ვითარება, რომელიც ფილმში უნდა ასახულიყო და სთხოვეს, პირველ ჯერზე თავად განესახიერებინა ისეთი მურატოვი, როგორიც მას წარმოედგინა. ყველა იმედოვნებდა, რომ მოხუცის გარეგნულ მსგავსებას მურა-

ტოვთან ასეთივე შესაფერისი ქცევის მანერა ექნებოდა.

ამოარჩიეს სცენა, სადაც მურატოვი ებრაელთა დეპუტაციას იღებს. ისინი მას შემდგომი სისხლისლვრების შეწყვეტას ემუდარებიან (სცენარის მე-17 გვერდი). დეპუტაცია იცდის. შემოდის მურატოვი. საკიდზე კიდებს შლაპასა და ხმალს. მიდის საწერ მაგიდასთან, ფურცლავს დილის გაზეთს და ა.შ.). მეფის გუბერნატორის მუნდირში გამოწყობილი და ოდნავ გრიმნასმული „საოცარი მსგავსება“ გადასაღებ პავილიონში შემოვიდა. პავილიონის ერთი ნაწილი ასახავდა ისტორიულ კაბინეტს გუბერნატორის სასახლეში. მუხუცმა გაითამაშა ისეთი მურატოვი, „როგორც მას იგი წარმოედგინა“, ხოლო წარმოედგინა მას იგი შემდეგნაირად: (დეპუტაცია იცდის. შემოდის მურატოვი). „საოცარი მსგავსება“ ჯიბეებში ხელებრიანყობილი და წელში მოხრილი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში (საკიდზე კიდებს ხმალსა და ქუდს). რეჟისორის ეს მითითება, როგორც ჩანს, დაავიწყდა და სასწრაფოდ მიუჯდა მაგიდას ქუდიანსმლიანად. (ფურცლავს დილის გაზეთს) – „საოცარმა მსგავსებამ“ ეს სხვათა შორის გააკეთა (იწყებს დეპუტაციის დაკითხვას). საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება წელში მოკაკული ებრაელების სალმისთვის. გაბრაზებულმა გადადო განზე გაზეთები, რადგან არ იცოდა, როგორ გადასულიყო დაკითხვაზე. დაიპნა და საცოდავად გახედა რეჟისორსა და მის თანამემნეს. ყველამ გადაიხარხა. ერთერთი ასისტენტი ადგა, თვალი ჩაუპაჭუნა მოხუცს, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, უდიერი ნაბიჯით შევიდა შემოლობილ სივრცეში, მოუჯდა გვერდით საწერ მაგიდასთან მჯდომ „საოცარ მსგავსებას“ და სცადა, როგორმე დახმარებოდა.

– ახლა ვცადოთ სცენა ვაშლებით, – ამხნევებდა იგი მოხუცს. – როგორც ცნობილია, მურატოვს ძალიან უყვარდა ვაშლი და მისი მოღვაწეობა მხოლოდ ულმობელი განკარგულებების გაცე-

მით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ უზღვავი რაოდენობის ვაშლების ყლაპვითაც. ის მათ, აი, ამ უჯრაში ინახავდა. შეხედეთ, აქ აწყვია ვაშლები, – და ასისტენტმა საწერი მაგიდის მარცხენა უჯრა გამოაღო. – მოკლედ, ახლა შემოვა დეპუტაცია და, როგორც კი პირველი მათგანი დაილაპარაკებს, თქვენ, ჩემო კარგო, დაიწყებთ თქვენი ვაშლის ჭამას.

„საოცარმა მსგავსებამ“ დიდი გულისყრით მოუსმინა ახალგაზრდას. ეტყობოდა, რომ ვაშლებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სცენის გადალება თავიდან დაიწყეს. მურატოვმა გამოიღო საწერი მაგიდის მარცხენა უჯრიდან ვაშლი და ჩაკბიჩა. ვერ იტყოდი, ხარბად ჭამსო, ჩვეულებრივად მიირთმევდა. მარცხენა ხელით ამ დროს ქაღალდზე რაღაცას ჯღაბნიდა და, სანამ დეპუტაცია თავისი მოთხოვნების შესახებ ელაპარაკებოდა, ის მართლაც მხოლოდ თავისი ვაშლის ჭამით იყო გართული. მათ არც უსმენდა. რამდენიმე წუთში, მარჯვენა ხელის ერთი უდიერი გაქნევით შუა გზაზე გააწყვეტინა სიტყვა ერთ-ერთ ებრაელს და მორჩა საქმეს. მერე მოუბრუნდა რეჟისორებს და ჩაიბურტყუნა: – ვინ გაიყვანს ამათ? – მთავარი რეჟისორი არ ამდგარა, ისე ჰკითხა, რა, უკვე მოათავეთო?

– ხო, მე მეგონა, რომ ისინი უნდა გაიყვანონ, – უბასუსა მოხუცმა. მთავარმა რეჟისორმა დანარჩენებს ირონიულად გადახედა და ჩაილაპარაკა:

– არა, მტარვალთან საქმე ასე მარტივად არ არის. ისევ მოგიწევთ ყურადღების დაძაბვა. – წამოდგა და სცენის გათამაშება თავიდან დაიწყეს.

– მტარვალები ასე არ იქცევიან, – თქვა მან. – ასე ჩვეულებრივი წვრილი მოხელეები ირჯებიან. შეიგენით, რომ კარგად უნდა გაიაზროთ ყველაფერი. ამის გარეშე ვერაფერს გააწყობთ. უნდა წარმოიდგინოთ ეს პირსისხლიანი ძალლი, მთელი არსებით უნდა

შეიგრძნოთ იგი. მოდი, ვცადოთ კიდევ ერთხელ.

რეჟისორი ამ სცენის შინაგანი დრა-  
მატურგის აგებას ცდილობდა, ეძე-  
ბდა დამახასიათებელ დეტალებს და  
აძლიერებდა მათ. „საოცარი მსგავსება“  
არც ისე უნიჭო აღმოჩნდა. რასაც ავა-  
ლებდნენ, ყველაფერს აკეთებდა, თანაც  
არც თუ ისე ურიგოდ. ზუსტად ისევე  
განასახიერებდა მტარვალს, როგორც  
ამას გააკეთებდა ნებისმიერი სხვა ადა-  
მიანი. ნახევარსაათიანი ვარჯიშის შემ-  
დეგ ეს სცენა ასე გამოიყურებოდა:

(შემოდის მურატოვი) მხრებში  
გამლილი, გაჯვიმული, მკვეთრი მოძ-  
რაობებით. კარიდანვე ესვრის ველურ  
მზერას მისასალმებლად გამზადებულ  
წელში ნახევრადმოკაკულ ებრაელებს  
(კიდებს შლაპასა და ხმალს საკიდზე),  
მხრებიდან შინელი ჩამოუსრიალდება  
და იატაკზე დაუვარდება. არც იღებს,  
იქვე ტოვებს მას (მაგიდასთან მიდის,  
ფურცლავს დილის გაზეთს), გადაათ-  
ვალიერებს თეატრის ახალ ამბებს,  
მოდური სიმღერის ტაქტს მაგიდაზე  
თითებით უკაკუნებს (იწყებს დაკითხ-  
ვას), ხელის ზიზღნარევი მოძრაობით  
ანიშნებს ებრაელებს, სამიოდე მეტრით  
უკან დაიხიეთო.

– არა, თქვენ ვერაფერი ვერ გაიგეთ.  
ის, რასაც თქვენ აკეთებთ, კაპიკად არ  
ვარგა, – თქვა მთავარმა რეჟისორმა. –  
ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თეატ-  
რია, ძველი სკოლის ბოროტმოქმედი.  
ხოლო ის, ძვირფასო, როგორადაც  
დღეს ჩვენ ტირანი გვესახება, სრული-  
ად სხვა რამაა. ეს არა მურატოვი!

ყველა წამოფრინდა. გადამღები ჯგუ-  
ფის მონანილენი ლამის თავზე დაახტნენ  
კოხალოვს, რომელიც თვალყურს ად-  
ევნებდა ამ სინჯებს და რაღაცას უხს-  
ნიდნენ მას. ერთად შექტებულიყვნენ და  
ერთდროულად ყაყანებდნენ. თითოეული  
მათგანი ცდილობდა, თავისებურად დაე-  
ხატა ტირანის სახე.

გენერალ მურატოვის ისტორიულ სკა-

მზე კი იჯდა ყველასგან მივიწყებული,  
წელში მოკაკული „საოცარი მსგავსე-  
ბა“ და სევდიანი მზერით გაჰყურებდა  
სივრცეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც  
უგდებდა ყურს ლაპარაკს, უნდოდა,  
გარკვეულიყო საქმის ვითარებაში.

გარჩევაში ებრაელთა დეპუტაციის  
როლის შემსრულებლებიც იღებდნენ  
მონანილეობას. დიდხანს უსმენდნენ  
ორ სტატისტს, ამ ქალაქის ძველ ბი-  
ნადრებს, რომლებიც თავის დროზე  
მართლაც ამ სსენებული დეპუტაციი-  
ს წარმომადგენლობის წევრები ყო-  
ფილან. ამ ორ მოხუცს იმიტომ შეს-  
თავაზეს გადალებაში მონანილეობის  
მიღება, რომ ფილმისთვის უფრო მეტი  
დამაჯერებლობა და სახასიათო ელფ-  
ერი მიენიჭებინათ. უცნაურად ჩანდა,  
მაგრამ, მათი აზრით, სულ პირველი  
დუბლი არცთუ ისე ცუდი იყო. არ ვიც-  
ით, როგორი შთაბეჭდილება იქონია  
ამ სცენამ იმათზე, ვინც ყველაფერს  
ამას არ შესწრებია, მაგრამ ჩვენზე  
მაშინ სწორედ იმ მიმდინარე მოვლე-  
ნების ბიუროკრატიზმი და ყოფითობა  
ახდენდა ყველაზე შემზარავ შთაბეჭ-  
დილებასო. თავის დაჭერის ეს მანერა  
„საოცარმა მსგავსებამ“ ზედმიწევნით  
კარგად გადმოგვცა. ისიც, ვაშლს მექა-  
ნიკურად რომ ჭამდა პირველ დუბლში,  
თუმცა ჩვენი ლაპარაკისას მურატოვი  
ვაშლს არ ჭამდაო, – ამბობდნენ ისინი.  
რეჟისორის თანაშემწემ ყოველივე ეს  
გააპროტესტა.

– მურატოვი ყოველთვის ჭამდა ვაშ-  
ლს, – განაცხადა მან დამცინავად. –  
განა თქვენ თავად არა ხართ ამ ამისი  
მომსწრე?

ებრაელები შეშინდნენ, აქაოდა ეჭვი  
არავინ შეიტანოს იმაში, რომ ჩვენ მარ-  
თლაც სიკვდილმისჯილები ვიყავითო  
და ასეთი მოსაზრება გამოთქვეს: მუ-  
რატოვმა ვაშლი ან უშუალოდ ჩვენ  
შეხვედრამდე შექამა, ან ჩვენი წასვლის  
შემდეგო.

უცრად კოხალოვისა და რეჟისორის

გარშემო ჩოჩქოლი ატყდა. „საოცარმა მსგავსებამ“ მისწი-მოსწია ხალხი და მთავარ რეჟისორს მიეჭრა. გამხმარი სახე ასჭროდა, ხარბი გამომეტყველებით ამტკიცებდა რაღაცას. მიუხვდა, როგორც ჩანს, რას ითხოვდნენ მისგან, გასამრჯელოს დაკარგვის შიშით გონება გაუნათდა და რეჟისორს შესთავაზა:

– მოგნი, მიგიხვდით, როგორ წარმოგიდგენიათ ყოველივე ეს. თქვენ გინდათ, რომ ეს კაცი იყოს მტარვალი. ჩვენ ამის გაკეთება ვაშლების საშუალებით შეგვიძლია. წარმოიდგინეთ, მე, ასე უბრალოდ, ვიღებ ერთ ვაშლს და ცხვირში ვთხრი რომელიმე ებრაელს. ხეთქე! – ვეუბნები. და ვიდრე ის... – ყურადღება! – მიუბრუნდა ებრაელთა დეპუტაციის მთავარი როლის შემსრულებელს, – და ვიდრე შენ ამ ვაშლს ჭამ, წარმოიდგინე, რომ სიკვდილის შიშით ის ყელში გეჩხირება, მაგრამ შენ ის უნდა შეხეთქო, რადგან მე, გუბერნატორი, გთავაზობ ამას. თანაც უნდა შეხეთქო სიხარულით, ეს ხომ ჩემი მხრიდან მეგობრული უესტია შენ მიმართ. ასე არ არის? – და მოხუცი ისევ მიუბრუნდა რეჟისორს. – ამ დროს კი მე, ვითომც აქ არაფერიო, ხელს ვაწერ სასიკვდილო განაჩენს. ის კი, ვინც ვაშლს ჭამს, ამას უყურებს.

რამდენიმე წამის განმავლობაში მთავარი რეჟისორი მოხუცს გაშტერებული შესცეკროდა. ის კი იდგა მის წინაშე წელში მოკავული, დაჩამიჩებული, აღელვებული და ახლა უკვე კვლავ დამცხრალი, ერთი თავით რეჟისორზე მაღალი, ზემოდან დაჰყურებდა მას და ერთ წამს რეჟისორს მოეჩვენა, რომ ბე-

ბრის დანთებულ თვალებში უცნაურმა დაცინვამ გაიელვა, რაღაც დამამცირებელმა, მიუწვდომელმა.

ამ დროს საუბარში კოხალოვი ჩაერია. ის სულგანაბული უსმენდა მათ. „საოცარი მსგავსების“ მიერ შეთავაზებულმა ვარიანტმა ვაშლებით მსახიობს „აქტიორული ფანტაზია“ გაუღვივა. უხეშად გასწია ბებერი განზე და გადამღებ ჯგუფს მიმართა:

– საუცხოოა! აი, რას გულისხმობს იგი!

და მან დაიწყო თამაში. თამაშობდა ისე, რომ ყველას სუნთქვა შეეკრა. როცა სასიკვდილო განაჩენს აწერდა ხელს, სიმწრის ოფლი ასხამდა. მთელ პავილიონზე მქუჩარე ტაში გაისმა.

მოათრიეს „იუპიტერები“. დაუწყეს დეპუტაციას იმის ახსნა, თუ რა უნდა ეკეთებინა. მოამზადეს აპარატები. გადალება დაიწყო. კოხალოვი მურატოვს განასახიერებდა.

ამგვარად, კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ მხოლოდ საოცარი მსგავსება პირსისხლიან ტირანთან თავისთავად არაფერს იძლევა და რომ მტარვალის ჭეშმარიტი სახის დასახატვად საჭიროა ოსტატობა.

მეფის ყოფილმა გუბერნატორმა კი საგარდერობოდან თავისი შლაპა აიღო, მონური უესტით დაემშვიდობა შვეიცარს და ოქტომბრის სუსხიან დღეს ლასლასით გასწია გარეთ, ქალაქში. იგი დამის სათევზი ბარაკების კვარტალში გაუჩინარდა. იმ დღეს მურატოვმა იმდენი ფული კი იშოვა, ლამის გასათევად რომ ჰყოფნოდა და ამასთანავე ორი ვაშლიც ჩაეხრამუნებინა.